ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ოთხშაბათი, 19 ოქტომბერი, 2011 №248 (5628) ფასი: 30 თეთრი

„ახალი თაობა“+ ჩარლი ჩაპლინი 8 ლარი 11 ოქტომბრიდან




# ივანიშვილის ბანკ „ქართუს“ ინკასაციის მანქანას თავს დაესხნენ

გვ.3

დაკავებულია 6 ინკასატორი

## ბერასა და კახი კალაძის მეგობარი დაიჭირეს

გვ. 3

ქართველი ჩინოსნებისა და გლამურული ელიტის საყვარელ დიჯეი რემბოს ნარკოდანაშაულს ედავებიან



## ირაკლი ალასანია: „მე და ივანიშვილი ელიტურ კორუფციას უნდა ვებრძოლოთ“



გვ. 2

ვურჩევ ბატონ ივანიშვილს, ოპოზიციური ძალების მეტ წარმომადგენლებს შეხვდეს

## ცხინვალში საკონსტიტუციო გადატრიალება გადაიდო

გვ. 5



## ანქვაბი შს მინისტრის დაჭერას აპირებს

გვ. 3

ძიაპშპა მოსკოვში გაიქცა



გვ.

## პენსიების 10 ლარით გაზრდის პიარი 200 ათასი დაჯდა

რომელი ამერიკული ფირმები ზრუნავენ სააკაშვილის იმიჯზე და რა გვიჯდება ეს

## ნინო ბურჯანაძე ივანიშვილის ხათრით ალასანიასთან თანამშრომლობას აპირებს

გვ. 4





## ჯონდი ბაღათურია საპარლამენტო კომისიის შექმნას ითხოვს

გვ. 4

3090 sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 3090 მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

3 ნონა გაფრინდაშვილი სოციალური ქსელებით სარგებლობას უარყოფს

5 ბიძინა ივანიშვილს ეროვნული საბჭოს ლიდერებიც შეხვდნენ

3 ეკა ბესელია: ბიძინა ივანიშვილი საქართველოში ლეგალურად იმყოფება

4 ივანიშვილის გაერთიანება დემოკრატიული ფრონტის სახეს იღებს

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ირაკლი ალასანია: „მე და ივანიშვილი ელიტურ კორუფციას უნდა ვებრძოლოთ“

## ვურჩევ ბატონ ივანიშვილს, ოპოზიციური ძალების მეტ წარმომადგენლებს შეხვდეს

ქეთი ხომერიკი

**რაზე ისაუბრეს და რა ტიპის თანამშრომლობა შედგება ალასანიასა და ივანიშვილს შორის, რით მოხიბლა ბიზნესმენი, რა კითხვები აქვს „რესპუბლიკელებთან“, ითანამშრომლებენ თუ არა უშიშროების საბჭოს მდივან ბოკერიასთან, რას ერჩის თარგამაძის პარტიას, დაიწყო თუ არა „კომპრომატების ომი“ და რა საგამოძიებო მასალებს ამზადებს სააკაშვილის წინააღმდეგ ალასანია? „ახალი თაობა“ „ჩვენი საქართველო — თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერ ირაკლი ალასანიას ესაუბრა.**

**ირაკლი ალასანია:**

— ჩვენ გვქონდა შეხვედრა, რომელიც ძირითადად ჩვენს ორმხრივ თანამშრომლობას შეეხებოდა, ბევრ საკითხში გვაქვს საერთო ხედვა, იმავე სტრატეგიულ საკითხებში, როგორიც არის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა და მე ძალიან მხიბლავს მისი ბიზნესგამოცდილება. ჩვენ ვისაუბრეთ იმაზე, თუ როგორ უნდა შეიქმნას ამ ტოტალური უმუშევრობის პირობებში ახალი სამუშაო ადგილები წვრილი და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობით. ჩვენი აზრები ასევე დაემთხვა სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებს. მთავარი პრინციპული შეთანხმება რაზეც შედგა, არის ის, რომ ელიტურ კორუფციასა და მონოპოლიებს უნდა ვებრძოლოთ და ამ მონოპოლიური მართვის დასრულების ერთადერთი გზა არის ჩვენი წარმატება საპარლამენტო არჩევნებზე, გამარჯვება და პარლამენტში უმრავლესობით მოსვლა. აი, სწორედ აქ შედგა ჩვენი შეთანხმება, ჩვენ ამას ერთად გავაკეთებთ. რაც შეეხება ჩვენი თანამშრომლობის კონკრეტულ ფორმებს, ამაზე კონსულტაციებს ვაგრძელებთ.

***— და როდის ჩამოყალიბდებით თანამშრომლობის ფორმებზე, სავარაუდოდ, ბლოკს შექმნით?***

— მთავარია, პრინციპული შეთანხმება შედგა და დანარჩენი, ტექნიკური საკითხები, მომავალში კონსულტაციების რეჟიმში გაირკვევა.

***— ის მაინც თუ იცით, ქმნის თუ არა ივანიშვილი პარტიას და თუ ქმნის, როდის და როგორ? არ გითხრათ ამის შესახებ?***

— არა, მაგრამ ამას პრინციპული მნიშვნელობა არ ექნება ჩვენთვის, რადგან ეს თანამშრომლობის ხასიათსა და სულს მხარეს შორის არ შექმნის. ჩვენი თანამშრომლობა შედგა, უბრალოდ, კონსულტაციებს ვაგრძელებთ. ასევე მომავალში გაირკვევა, როგორი სტრატეგია იქნება არჩეული თვითონ საარჩევნო ინფრასტრუქტურის მზადების საკითხში. ყველა დანარჩენი საკითხი კონსულტაციების დროს გაირკვევა.

***— რესპუბლიკელებისა და ფორუმის გარდა, რომელ ოპოზიციურ ძალასთან აპირებს თანამშრომლობას, თუ აპირებს?***

— ჩვენ ამ ეტაპზე საუბარი ერთმანეთთან მხოლოდ ორმხრივ ურთიერთობებზე გვქონდა, არც რესპუბლიკელებზე ან რომელიმე სხვა პარტიაზე საუბარი არ გვქონია, თუმცა მგონია და ვურჩიე კიდეც ბატონ ივანიშვილს, რომ შეხვდეს ოპოზიციური ძალების


ირაკლი ალასანია

რაც შეიძლება მეტ წარმომადგენელს, რათა თავად დაინახოს, ვის რა რესურსის საშუალება აქვს.

***— როგორ ფიქრობთ, რატომ შეაჩერა არჩევანი „თავისუფალ დემოკრატებზე“, რა ნიშნით შეგარჩიათ?***

— როგორც მე მქონდა მის მიმართ სიმპათია იმ დიდი სიკეთის გამო, რასაც ის აკეთებდა საქართველოში, მასაც, როგორც აღმოჩნდა, ამ წლების განმავლობაში გარკვეული სიმპათია ჰქონდა იმ საქმიანობის მიმართ, რასაც მე ვეწეოდი. იქნება ეს გაეროში, აფხაზეთში მოლაპარაკების დროს თუ უკვე პოლიტიკაში მოსვლის შემდეგაც და ეს აბსოლუტურად ბუნებრივად მოხდა, თუმცა აქამდე ერთმანეთს პირადად არ ვიცნობდით.

***— რაც შეეხება საგარეო ორიენტირებს, როგორ აპირებს ივანიშვილი რუსეთთან ურთიერთობების აღდგენას, აშშ-თან და დასავლეთთან ურთიერთობებს?***

— ბუნებრივია, ამაზე საუბარი პირველივე შეხვედრაზე გვქონდა და ვთანხმდებით იმაზე, რომ საქართველოსა და ქართველ ხალხს ნათლად აქვს გადაწყვეტილი, უნდა გახდეს ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი. ევროპულ ინტეგრაციას ვხედავთ, როგორც ერთ-ერთ მთავარ საგარეო პოლიტიკურ მიმართულებას, ასევე ვაპირებთ ურთიერთობების გაღრმავებას სხვა სტრატეგიულ პარტნიორებთან, როგორიც არის აშშ, მაგრამ ჩვენ აქვე გვაქვს ნათლად ჩამოყალიბებული ხედვა, რომ საგარეო პოლიტიკურ გამოწვევას, რასაც რუსეთი ჰქვია, ერთობლივად, მასთან ურთიერთობის ნორმალიზებით უნდა მოვახერხოთ ამ საფრთხის განეიტრალება.

***— მაინც როგორ? ისე, ხელისუფლება ივანიშვილს რუსული ინტერესების გამტარებელ ძალას უწოდებს... ალბათ, ჰკითხავდით, აქვს თუ არა რაიმე კავშირები რუსეთში...***

— ალბათ, ბატონი ივანიშვილი თავად გაგცემთ ამ და სხვა საკითხებზე პასუხს, თუმცა ჩვენ ვისაუბრეთ და ვთანხმდებით იმაზე, რომ უნდა დაიწყოს ღია, გულწრფელი, პოლიტიკური დიალოგი რუსეთთან და ეს უნდა დავიწყოთ იმ საკითხებით, რომელიც შეიძლება, რომ რეალურად განხორციელდეს. ესენია სავაჭრო ურთიერთობების გახსნა, რაც აუცილებელია ჩვენი ეკონომიკისთვის, რაც პოლიტიკურ ურთიერთობებში ნდობის აღდგენას გამოიწვევს და შემდეგ უკვე რეალურად უნდა დავილაპარაკოთ მთავარ საკითხზე — ჩვენ გვინდა, რომ საქართველო იყოს გეოპოლიტიკური ძლიერი ძალების შეთანხმების ადგილი და არა დაპირისპირებისა, რადაც ის აქცია სააკაშვილმა. რაც შეეხება კავშირებს რუსეთში, ივანიშვილი არის დამოუკიდებელი ადამიანი და დამოუკიდებელი მოთამაშე.

***— „ალიანსის“, „ექვსიანის“ დაშლის შემდეგ კვლავ „რესპუბლიკელებთან“ თანამშრომლობა როგორ წარმოგიდგენიათ, თან მათ ბევრი კითხვა აქვთ თქვენთან...***

— უსუფაშვილთან ყოველთვის მქონდა და მექნება კარგი მეგობრული ურთიერთობა, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ან ერთ ბლოკში ვიქნებით, ან არ ვიქნებით. ამ პარტიაში მყოფ ძალიან ბევრ ადამიანს პატივს ვცემ, ძალიან ბევრის მიმართ კი მე თვითონაც ბევრი კითხვა მაქვს, რომელსაც ჩემს თავში უკვე გავეცი პასუხი და ამიტომ აღარ ვკითხავ, თუმცა, ურთიერთობის პრობლემა არ გვაქვს და არც არასდროს გვექნება.

***— რა კითხვები გაქვთ?***

— ვიმეორებ, ჩემთვის გავეცი პასუხი და აღარ ვკითხავ.

***— ისიც კი ითქვა, ალასანიამ „ექვსიანი“ იმიტომ დატოვა, ივანიშვილთან გეგმავდა თანამშრომლობასო.***

— უსაფუძვლოა ეს მოსაზრებები.

***— მოქალაქეობის გაუქმების გამო ივანიშვილს პოლიტიკური აქტივობა ეზღუდება. რას აპირებს ამ მხრივ? სააკაშვილს სასამართლოში ჩივილი შეაშინებს და უკან დაახევინებს?***

— ამაზე, ალბათ, ივანიშვილი და მისი ადვოკატი გაგცემთ პასუხს, მე ჩემს შეფასებას გეტყვით. ვთვლი, რომ ეს არის პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილება, სააკაშვილმა უცებ გადაწყვიტა, რომ მისთვის მიუღებელია, ივანიშვილი იყოს ქართველი, საქართველოს მოქალაქე და ჩამოართვა მოქალაქეობა. ეს მე ორ რამეს მეუბნება, პირველი — სააკაშვილი არის შეშინებული და დგამს გაუთვლელ ნაბიჯებს, მეორე — მას სისტემა და ქვეყნის ძალაუფლება ისე კონცენტრირებული აქვს ერთ ხელში, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილების საშუალებას აძლევს. არ აქვს ამ წამს მნიშვნელობა, ივანიშვილი არის საქართველოს მოქალაქე თუ არა. ეს ადამიანი არის რეალური ფაქტორი საქართველოს დღევანდელ პოლიტიკაში. მან ტექტონური ცვლილება მოახდინა პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჩემი და მისი ვალია, რომ ეს შანსი გამოვიყენოთ ბოლომდე და მის შედეგად ხელისუფლება, რომელიც არის ავტორიტარული და არაეროვნული, უნდა შეიცვალოს.

***— ისე, ივანიშვილმა მაინცდამაინც ახლა რატომ გადაწყვიტა პოლიტიკაში მოსვლა?***

— მას ჰკითხეთ.

***— კულუარული ინფორმაციით, ივანიშვილი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, იმავე ბოკერიასთან გეგმავს თანამშრომლობას.***


ბიძინა ივანიშვილი

— არა, აბსოლუტურად უსაფუძვლოა ეს. ჩვენი პოზიცია ემთხვევა იმაზე, რომ სახელმწიფო სამსახურში მომუშავე ადამიანებს, საჯარო მოხელეებს უნდა ჰქონდეთ დაცულობის განცდა, რომ ისინი გააგრძელებენ მუშაობას. ჩვენი მოსვლა ხელისუფლებაში, პირდაპირ გეტყვით, არ ნიშნავს იმას, რომ მოხდება ხელისუფლების, დაწყებული პოლიტიკური ხელმძღვანელიდან, დამთავრებული კარისკაცამდე, ყველას ცვლილება, არა, პირიქით, 80% ადამიანებისა, რომლებიც საშუალო საშემსრულებლო დონეზე და მაღალ თანამდებობებზე მუშაობენ, შეინარჩუნებენ თანამდებობებს. ვისაც, რა თქმა უნდა, საკმარისი პროფესიული გამოცდილება აქვს, ეს ცვლილება არ შეეხება. შეიცვლება პოლიტიკური ხელმძღვანელობა, მაგალითად, შსს და თავდაცვის სამინისტრო რომ ავიღოთ, იქ მომუშავე უამრავი ადამიანი არის თავისი ქვეყნის პატრიოტი, მაგრამ კონკრეტულ ჯგუფებს — კუდს პოლიტიკურ დაკვეთას აძლევს სააკაშვილი, შემდეგ — მისი მინისტრი, აი, ეს მოეხსნება მათ, ისინი პოლიტიკური დიქტატის ქვეშ აღარ იქნებიან, აი, ამაში ვთანხმდებით. სხვათა შორის, მე ახლაც მყავს მეგობარ-ახლობლები ხელისუფლებაში.

***— დავუშვათ, ივანიშვილმა მომავალში ბოკერიასთან თანამშრომლობა დააპირა. როგორი იქნება თქვენი პოზიცია?***

— ეს ძალიან ჰიპოტეტური შეკითხვაა. თუკი მოინანიებს ვიღაც თავის დანაშაულს და გადადგმას ქვეყნისთვის საჭირო ნაბიჯს, ვინც არ უნდა იყოს, ბუნებრივია, მიეცემა შანსი, საქართველოს უერთგულოს, რადგან, ჩემი ხედვით, საქართველო არის ყველასი. არ შეიძლება, საქართველო იყოს მხოლოდ ალასანიასი, ივანიშვილის ან პეტრიაშვილის. საქართველოს ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს თანამონაწილეობის განცდა ქვეყნის მშენებლობაში, მათ შორის, იმათაც, ვინც დღეს ხელისუფლებაშია. თუმცა, აქ არის წყალგამყოფი, ანუ აქვს თუ არა ამ ადამიანს სისხლის სამართლის დანაშაული ჩადენილი და ყველა, ვისაც სისხლის სამართლის დანაშაული აქვს ჩადენილი, უნდა წარდგეს მართლმსაჯულების წინაშე. აი, ეს არის ჩემი პრინციპული პოზიცია და მე ვუთხარი კიდეც ყველა ჩემს პარტნიორს ეს.

***— ივანიშვილმა მერაბიშვილს რჩევებიც კი მისცა, ეს იყო პიარ-სვლა, გადმობირების თუ ნაციონალებში ბზარის გაჩენის მცდელობა?***

— მას ჰკითხეთ, მე, ჩემს აზრს ვერ გეტყვით.

***— ოპოზიციური ძალებისადმი მისი დამოკიდებულება, მათი გამიჯვნა სწორი იყო, მაგალითად, ქდმ-თან მიმართებით.***

— აბსოლუტურად სწორი იყო. რა თქმა უნდა, ამ ძალებს მეც ასე ვუყურებ, მეტიც, არც განვასხვავებ ქდმ-ს ნაციონალური მოძრაობისგან. ესენი არიან მათ მიერ დაფინანსებული და კონტროლირებადი პოლიტიკური ძალები.

***— მაშინ, რატომ უმშვენებდით გვერდს „რვიანში“ თარგამაძეს?***

— იმიტომ რომ ჩვენ ერთად გადავწყვიტეთ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის ბრძოლა და აუცილებელი იყო, ის ძალაც ყოფილიყო იქ.

***— ისე, ახლა რა ხდება ამ მხრივ, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება დაგავიწყდათ?***

— როგორ დავივიწყეთ, პირიქით, ახალი ენერგიით, ახალი წინადადებებით ვაპირებთ ბრძოლას, მზად ვართ საპარლამენტო განხილვებისათვის, ალტერნატიული შემხვედრი წინადადებები გვექნება.

***— დაბოლოს, როგორ აპირებს ივანიშვილი სააკაშვილის რეჟიმის დამარცხებას, შესწევს ამის უნარი?***

— მე დავინახე, რომ ეს ადამიანი არის ძლიერი პიროვნება, მისი გადაწყვეტილება საბოლოოა, ბოლომდე აპირებს ბრძოლას. მას აქვს, რა თქმა უნდა, წარმოდგენილი ის, რომ ახლა წამოვა ნიაღვარი პოლიტიკური ცილისწამების, რომელიც ასევე უკვე წამოვიდა ჩემზეც.

***— ითქვა, „კომპრომატების ომი“ დაიწყებაო.***

— ჩვენზე არავითარი კომპრომატი არ აქვთ, მათ მოუწევთ, გააგრძელონ ტყუილების გამოგონება, მაგრამ ვპირდები სააკაშვილს, რომ მასზე და მის კორუმპირებულ რეჟიმზე სერიოზულ საგამოძიებო მასალებს ვამზადებთ, რომელსაც უახლოეს პერიოდში მივაწვდით საზოგადოებას, მის მიერ ბიზნესის მონოპოლიურ მართვაზე. ძალა ერთობაშია, სწორი პოლიტიკური ძალების გაერთიანებაში. ჩვენი ტანდემი, რა თქმა უნდა, არის ახალი პოლიტიკური რეალობა, რომელსაც სააკაშვილს ძალიან ეშინია და ყველა ის ნაბიჯი, რაც გადადგმული აქვს ბოლო პერიოდში, სწორედ შიშითაა გამოწვეული. რეალურად გაჩნდა შანსი, რომ შემდეგი არჩევნები იქნება ორპოლუსიანი.

***— თუ არ დაგინიშნათ მოულოდნელად ვადამდელი არჩევნები და არ აგრიათ, კი.***

— გამორიცხული არაფერია, მაგრამ მგონია, რომ პოლიტიკური კალენდარი არ შეიცვლება, სხვათა შორის, ადრეც გეუბნებოდით ამას.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ბერასა და კახი კალაძის მეგობარი დაიჭირეს

## ქართველი ჩინოსნებისა და გლამურული ელიტის საყვარელ დიჯეი რემბოს ნარკოდანაშაულს ედავებიან

შალვა ჯოხაძე

**„ლევან მდინარაძე (დიჯეი რემბო) ქართული ოცნებისთვის დაიჭირეს! გუშინ, საღამოს დააკავეს ჩემი და თქვენი მეგობარი, ცნობილი დიჯეი ლევან მდინარაძე (დიჯეი რემბო). ის „ქართული ოცნების“ მაისურებს არიგებდა... ვერ შევჩერდებით, მთელი თაობა მოგვყვება!“ – ეს სიტყვები ბერას ეკუთვნის, ბიძინა ივანიშვილის ვაჟს.**

ბერა მეგობრის დაკავების ფაქტს 18 ოქტომბერს „ფეისბუქში“ თავის ოფიციალურ გვერდზე ასე გამოეხმაურა.

დიჯეი რემბო 17 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე დაიჭირეს. სამართალდამცავებმა მდინარაძის სახლი გაჩხრიკეს, თუმცა, მისი ოჯახის წევრების ინფორმაციით, იქ საეჭვო არაფერი უპოვიათ.

ლევან მდინარაძის დაკავების ფაქტი მალევე ბერას პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა თამთა ასლამაზიშვილმა ოფიციალურად დაადასტურა. მისი თქმით, ლევან მდინარაძე ბერასთან მეგობრობდა. თუმცა, მოგვიანებით, ლამის მთელმა შსს-მ გააკეთა კომენტარი იმის შესახებ, თუ რატომ დააკავეს ცნობილი დიჯეი.

შსს-ს ცნობით, ლევან მდინარაძე სამართალდამცავებმა ნარკოტიკების უკანონოდ შეძენა-შენახვის გამო დააკავეს. მის დაკავებასთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა ზურაბ გვენეტაძემ განაცხადა: „ლევან მდინარაძე 260-ე მუხლითაა დაკავებული ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონოდ შეძენა-შენახვის ფაქტთან დაკავშირებით“.

გვენეტაძემ მომღერლის „ქართული ოცნების“ მაისურების დარიგების გამო დაკავება უარყო.

შსს ადმინისტრაციის უფროს შოთა ხიზანიშვილის ინფორმაციითაც, დაკავებული ლევან მდინარაძე ეჭმიტანილია სსკ 260 მუხლის I ნაწილში, რომელიც ნარკოტიკების შეძენას ითვალისწინებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსმა შოთა უტიაშვილმა კი ჟურნალისტებს დაუკონკრეტა, რომ დაკავებული სსკ 260 მუხლის I ნაწილით გათვალისიწნებულ დანაშაულშია ეჭვმიტანილი, რაც საქართველოში კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების I ან II სიაში შეტანილი ფსიქოაქტიური ნივთიერების ან მისი ანალოგის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნას მცირე ოდენობით ითვალისწინებს. ლევან მდინარაძეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

შეგახსენებთ, რომ ბერას ახალი



ლევან მდინარაძე

კლიპის, „ქართული ოცნების“ პრემიერა სოციალურ ქსელებში სულ რამდენიმე დღის წინ მოეწყო. ამ კლიპში ახალგაზრდებს სპეციალური აპლიკაციებით დამშვენებული მაისურები აცვიათ. სწორედ ასეთ მაისურებს არიგებდა ლევან მდინარაძე და მისი დაკავებაც ამ ფაქტს იმიტომ დაუკავშირეს.

აღსანიშნავია, რომ დიჯეი რემბო ჩვენი გლამურული ელიტის საყვარელი დიჯეი გახლდათ და მის გარეშე არც ერთი „სვეცკი ტუსოვკა“ არ იმართებოდა. თუმცა, სამწუხაროდ, გადაცემა „თბილისი ლაივის“ ყურადღების ეპიცენტრში ყოფნამ მდინარაძეს ვერ უშველა. მეტიც, ლევანი ბევრ ჩინოსანთანაც მეგობრობდა. როგორც გავარკვიეთ, ივანიშვილის ვაჟთან მეგობრობის გარდა, ის კახი კალაძესთანაც ახლობლობს. დიჯეი რემბო კალაძის დახურულ წვეულებაზე ხშირად უკრავდა. სხვათა შორის, დიჯეობა კალაძის ჰობი ყოფილა. ასე რომ, ბერა, კახი – ეს სახელები საკმარისი იყო იმისათვის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგი საქმე შეეკერა. ყოველ შემთხვევაში, დიჯეი რემბოს დაკავება პოლიტიკაში მიმდინარე ხმაურიან ამბებს საეჭვოდ დაემთხვა.

საეჭვო დამთხვევებს რაც შეეხება, შინაგან საქმეთა სამინისტრო ძალიან უცნაურ განცხადებას ავრცელებს:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს თანამშრომლების მიერ დაკავებულია რამდენიმე პირი, რომლებსაც თან ჰქონდათ დიდი ოდენობით ნაღდი ფული. სისხლის სამართლის საქმე აღძრულია საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის მესამე ნაწილით. (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფულის გათეთრება). საქმეს იძიებს ძველი თბილისის რაიონული სამმართველო“.

ეს ყველაფერი იმიტომაა საეჭვო, რომ ასეთი ბრალდებით ადამიანების დაკავების შესახებ ინფორმაცია შსს-ს ჯერ, მგონი, არც კი გაუვრცელებია. არ გაგიკვირდეთ, თუკი იტყვიან, რომ ამ ხალხს ეს ფული ივანიშვილისაგან ჰქონდათ მიღებული.

მით უმეტეს, ბიძინა ივანიშვილმა ოფიციალური განცხადება გააკეთა იმის შესახებ, რომ მისი გარემოცვის დევნა დაიწყო.

ივანიშვილის პრესსამდივნოს განცხადებას უცვლელად გთავაზობთ: „დააკავეს ბიძინა ივანიშვილის შვილის ბერას მეგობარი ლევან მდინარაძე (მუსიკალური ფსევდონიმი დიჯეი რემბო), რომელიც მუსიკოს ბერა ივანიშვილის თაყვანისმცემლებს მუსიკალური კლიპის „ქართული ოცნების“ მაისურებს ურიგებდა.

ივანიშვილის პოლიტიკური განცხადების პირველი მსხვერპლი (2011 წლის 11 ოქტომბერი), საქველმოქმედო ფონდი „ქართუს“ პრეზიდენტის სიმამრი თამაზ თამაზაშვილი გახდა. ბერა ივანიშვილის მეგობრის ლევან მდინარაძის დაკავების ფაქტი უკვე მოწმობს, რომ ივანიშვილის ახლობლებზე და თანამოაზრეებზე ხელისუფლება ზეწოლას ახორციელებს.

ხელისუფლების მხრიდან უმიზეზო ბრალდების ორი ცნობილი ბინძური მეთოდი არსებობს: უკანონო იარაღის ტარება და ნარკოტიკების მოხმარება-გავრცელება. ასაკიდან გამომდინარე თამაზ თამაზაშვილის დაკავება „იარაღის უკანონო ტარების“ გამო მოხდა, ხოლო ლევან მდინარაძეს ნარკოტიკების ბრალდება „მიუსადაგეს“.

ივანიშვილის პრესსამდივნოს განცხადებით, ხელისუფლების მხრიდან ივანიშვილის წინააღმდეგ დაწყებული კამპანიის ორივე მსხვერპლს ბიძინა ივანიშვილის იურიდიული ჯგუფის ადვოკატები დაიცავენ.

# ანქვაბი შს მინისტრის დაჭერას აპირებს

## ძიაპშპა მოსკოვში გაიქცა

თეა მარხვაიძე

აფხაზეთში პასპორტებთან დაკავშირებული სკანდალი გრძელდება. ერთ დღეს სამართალდამცავებმა აღმოაჩინეს, რომ 137 საპასპორტო ბლანკი გაუჩინარდა. ამის გამო თანამდებობიდან რამდენიმე მაღალჩინოსანი გადააყენეს, რამდენიმე კი გისოსებს მიღმა გაისტუმრეს.

ეს სკანდალი კარგად არ იყო ჩაფერფლილი, როცა მორიგი სკანდალი აგორდა. გაირკვა, რომ შს სამინისტროდან 238 პასპორტის ბლანკი გაუჩინარდა. ამის გამო გენპროკურატურამ შსს-ში ჩხრეკის ჩატარება მოითხოვა.

ჩხრეკა წინა კვირაში ჩატარდა. პროკურატურამ რამდენიმე ათეული პასპორტი ამოიღო. საინტერესოა, რომ ეს პასპორტები კრიმინალური ავტორიტეტების სახელზეა გაცემული.

„ექსპერტთა კლუბის“ ინფორმაციით, აფხაზეთში უკონტროლოდ არის გაცემული პასპორტის 604 ბლანკი. მათ შორის პასპორტები გაცემულია ე.წ. კანონიერ ქურდებზეც. საქმეში მერაბ ბახია, ძმები გელა და გიზო ქარდავები და ასევე მურმან ლემონჯავა ფიგურირებენ.

ამასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ მთელი რიგი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ აღძრა სისხლის სამართლის საქმე.

როგორც „ექსპერტთა კლუბისთვის“ გახდა ცნობილი, აფხაზეთი უკვე დატოვა ყოფილმა მინისტრმა ლეონიდ ძიაპშპამ. ოფიციალური ვერსიით ის შვებულებაშია ახალი ხელმძღვანელის დანიშვნამდე, არაოფიციალური ვერსიით კი მან დაწყებულ გამოძიებას თავი დააღწია.

ქართველი ექსპერტების განმარტებით, ძიაპშპას არაერთხელ მიუთითეს დარღვევებზე საპასპორტო სფეროში, თუმცა ის მუდმივად თავს იკავებდა დამნაშავეთა გამოვლენისა და დასჯისაგან.

და რადგან ასე იქცეოდა, ამის გამო ახლა მას ანქვაბი დასჯის. ყველამ კარგად უწყის, რისი გაკეთება შეუძლია ანქვაბს. ის წესრიგის მოყვარული ადამიანია. გაპრეზიდენტების შემდეგ თქვა, რომ ყველაფერს გააკეთებს ქვეყანაში წესრიგის დასამყარებლად.

როგორც ექსპერტები ამბობენ, რუსეთმა ანქვაბს სწორედ წესრიგის ხათრით არ შეუშალა ხელი. აფხაზეთ-



ალექსანდრე ანქვაბი

ში რთული კრიმინოგენური ვითარება რუსებსაც ყელში ამოუვიდათ.

ანქვაბსა და კრიმინალურ სამყაროს შორის უკვე დაიწყო ომი. მისი გაპრეზიდენტებიდან მოკლე ხანში აფხაზეთში რამდენიმე ხმაურიანი აფეთქება მოხდა. დაუდგენელმა პირებმა საკუთარ მანქანაში ააფეთქეს ყაბარდოელი ბიზნესმენი. რომელიც, ამავე დროს, აფხაზეთის გმირი იყო.

ამის გარდა, სოხუმში სხვა ინციდენტებიც მოხდა. ექსპერტების ვარაუდით, ამით კრიმინალურმა სამყარომ ანქვაბი გააფრთხილა, რომელსაც ასეთი გაფრთხილებების აღარ ეშინია. სხვა თუ არაფერი, კაცი 5 ტერაქტს არის გადარჩენილი. ისე, არც ის იქნებოდა ურიგო, ანქვაბს თავისი ამბავიც გაერკვია.

# ივანიშვილის ბანკ „ქართუს“ ინკასაციის მანქანას თავს დაესხნენ

ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნო საგანგებო განცხადებას ავრცელებს. განცხადებას გთავაზობთ უცვლელად.

– საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო ღია, აგრესიული და კრიმინალური შეტევა ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ. 2011 წლის 18 ოქტომბერს, დღის 17 საათზე, განხორციელდა პირდაპირი თავდასხმა ბანკ „ქართუზე“, რომელიც ბიზნესმენ ივანიშვილს ეკუთვნის.

სს „საქართველოს ბანკის“ სათავო ოფისიდან გამოსული ბანკ „ქართუს“ ინკასაციის მანქანას თავს დაესხნენ ძალოვანი უწყების წარმომადგენლები, სპეცდანიშნულებისა და პოლიციის თანამშრომლები. იარაღისა და ძალის გამოყენებით დააკავეს ბანკ „ქართუს“ 6 თანამშრომელი, წაიყვანეს ბანკის კუთვნილი ინკასაციის მანქანა, რომელსაც გადაჰქონდა ბანკ „ქართუს“ საკუთრებაში არსებული დიდი ოდენობით თანხა.

ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ადგილი აქვს ძალადობრივ აქტს. ქმედება განხორციელებულია საქართველოს კონსტიტუციისა და ყველა საერთაშორისო ნორმის ფეხქვეშ გათელვით.

ჩვენ მოვითხოვთ უკანონოდ დაკავებული ადამიანების სასწრაფოდ გათავისუფლებასა და ბანკ „ქართუს“ მიტაცებული ქონების დაბრუნებას.

აღნიშნული წარმოადგენს პოლიტიკური ნიშნით დევნის უპრეცედენტო ფაქტს. მივმართავთ საზოგადოებრივ ინსტიტუტებს, დიპლომატიურ წარმომადგენლობებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს დაუყოვნებლივი რეაგირებისათვის!

დაკავებული არიან ბანკ „ქართუს“ თანამშრომლები: მოლარეები – ინგა ჯავახია, ირმა ქეთიშვილი, ლია მაღრაძე, ნატო დავითულიანი. ინკასატორები – არჩილ ჯაფარაშვილი და ზაზა ყაველაშვილი“.

ამ ფაქტთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა შინაგან საქმეთა სამინისტრომაც.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს თანამშრომლების მიერ დაკავებულია რამდენიმე პირი, რომლებსაც თან ჰქონდათ დიდი ოდენობით ნაღდი ფული. სისხლის სამართლის საქმე აღძრულია საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის მესამე ნაწილით. (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფულის გათეთრება).

საქმეს იძიებს ძველი თბილისის რაიონული სამმართველო.

# ნონა გაფრინდაშვილი სოციალური ქსელებით სარგებლობას უარყოფს

სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე ნონა გაფრინდაშვილი სოციალური ქსელებით სარგებლობას უარყოფს. როგორც მის განცხადებაში არის ნათქვამი, მისთვის შემთხვევით ცნობილი გახდა, რომ ბოლო პერიოდში „ფეისბუქში“ მისი სახელით დარეგისტრირებული რამდენიმე გვერდი გაჩნდა.

თუმცა ის სინამდვილეში არცერთი სოციალური ქსელის მომხმარებელი არაა.

– გამორიცხული არ არის, რომ ეს გვერდი ჭადრაკის რომელიმე მოყვარულმა დაარეგისტრირა რაც ნამდვილად მისასალმებელია. თუმცა ქვეყანაში არსებული დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, არ გამოვრიცხავ, რომ ჩემი სახელი სოციალურ ქსელებში ვინმემ პროვოკაციული მიზნებისთვის გამოიყენოს და საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს, – ნათქვამია გაფრინდაშვილის განცხადებაში.

აქედან გამომდინარე, ნონა გაფრინდაშვილი საზოგადოებასა და ჟურნალისტებს უცხადებს, რომ იგი არცერთი სოციალური ქსელით არ სარგებლობს და, შესაბამისად, ამ ქსელებში მისი სახელით დარეგისტრირებული გვერდებიდან გასული ინფორმაციების წყაროდ მას ნუ განიხილავენ.

მედიანიუსი



ეკა ბესელია

# ეკა ბესელია: ბიძინა ივანიშვილი საქართველოში ლეგალურად იმყოფება

ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი საქართველოში ლეგალურად იმყოფება, – ამის შესახებ ჟურნალისტებს ივანიშვილის პირადმა ადვოკატმა ეკა ბესელიამ განუცხადა. მისი თქმით, საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, ბიძინა ივანიშვილს აქვს საქართველოში ლეგალურად ყოფნის უფლება და 360 დღის განმავლობაში არანაირი ვიზა არ სჭირდება.

როგორც ცნობილია, ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა ჩამოერთვა. მას ამ დროისთვის რუსეთისა და საფრანგეთის მოქალაქეობა აქვს, თუმცა აპირებს, რომ რუსეთის მოქალაქეობაზე უარი თქვას.

ინტერპრესნიუსი

# ივანიშვილის მრჩეველთა საბჭოს მხოლოდ სამი წევრის ვინაობაა ცნობილი

ბიძინა ივანიშვილის მრჩეველთა საბჭოში ადგილები შეზღუდული არ არის. როგორც „მედიანიუსს“ ექსპერტმა უსაფრთხოების საკითხებში ირაკლი სესიაშვილმა განუცხადა, მუშაობის პროცესი უკვე დაწყებულია და ამჟამად საბჭოს დაკომპლექტება მიმდინარეობს.

სესიაშვილის განცხადებით, ამ ეტაპისთვის მრჩეველთა საბჭო დასრულებული ფორმით არ არსებობს და შესაბამისად, ვერც მის პოტენციურ წევრებს დაასახელებს, თუმცა ექსპერტის ინფორმაციით, საბჭოს დაკომპლექტების პროცესში ის ადამიანებიც მონაწილეობენ, ვისაც საბჭოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით ჯერჯერობით თავისი გადამწყვეტი პასუხი არ უთქვამთ.

ექსპერტის განცხადებით, საბჭოს წევრთა რაოდენობა წინასწარ განსაზღვრული არ არის და ამ ეტაპზე არავინ იცის, რამდენი მრჩეველი ეყოლება ივანიშვილს. ამ დროისთვის უკვე ცნობილია, რომ ივანიშვილის მრჩეველთა საბჭოს წევრები ირაკლი სესიაშვილი, პოეტი რატი ამაღლობელი და დრამატურგი ბასა ჯანიკაშვილი იქნებიან.

„მედიანიუსთან“ საუბარში ივანიშვილის მრჩეველთა საბჭოში გაწევრიანება გამორიცხა ეკონომიკის ექსპერტმა გია ხუხაშვილმა, რომელიც ექსპერტთა წრიდან პირველი იყო, ვინც ქართველ მილიარდერს შეხვდა.

– ივანიშვილმა თანამშრომლობა შემომთავაზა, თუმცა იქ საბჭო ნახსენები არ ყოფილა, მაგრამ მე არ ვარ ადამიანი, რომელსაც შეუძლია პოლიტიკურ სისტემაში ჩაჯდეს, აქედან გამომდინარე მრჩეველთა საბჭოში გაწევრიანებასაც გამოვრიცხავ, – განაცხადა ხუხაშვილმა.

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, მრჩეველთა საბჭოში ჯიპას რექტორი, ექსპერტი გიორგი მარგველაშვილიც წევრიანდებოდა. „მედიანიუსთან“ საუბარში მარგველაშვილმა ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყო და განაცხადა, რომ მას ივანიშვილისაგან მსგავსი შეთავაზებაც კი არ მიუღია. მცდარი აღმოჩნდა გავრცელებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ივანიშვილის მრჩეველი ექსპერტი ზაზა შათირიშვილი ხდებოდა.

ცნობისთვის: ივანიშვილის მრჩეველთა საბჭოში ექსპერტებთან ერთად მწერლები, ჟურნალისტები და სხვა ინტელექტუალური წრეების წარმომადგენლებიც იქნებიან თავმოყრილი. მრჩეველთა საბჭოს უმთავრესი ფუნქცია მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების ანალიზი და რისკების შეფასება იქნება.

მედიანიუსი

# ნინო ბურჯანაძე ივანიშვილის ხათრით ალასანიასთან თანამშრომლობას აპირებს

თამარ ნინიძე

**ითანამშრომლებს თუ არა „დემოკრატიული მოძრაობა" ბიძინა ივანიშვილთან, ექნება თუ არა ნინო ბურჯანაძეს მის მიერ არაერთხელ გაკრიტიკებულ ირაკლი ალასანიასთან ურთიერთობა და როგორ ცდილობს სააკაშვილი ძლიერი მეტოქის თავიდან მოშორებას, ამ თემებზე „ახალ თაობას" „დემოკრატიული მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი გიორგი კობახიძე ესაუბრა.**

***— როგორ შეაფასებთ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ გააქტიურებას?***

— თავად ფაქტს, რომ ბატონი ივანიშვილი პოლიტიკაში გადმოვიდა, დადებითად ვაფასებ. პარტიაც და სახალხო კრებაც დადებითად აფასებს მის პოლიტიკურ პროცესებში ჩართვას. ბატონი ბიძინას ღია წერილში კარგად ჩანს ქვეყანაში არსებული ვითარების ანალიზი და ის გზები, რომლითაც ეს მძიმე მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს. შეფასების ნაწილში ჩვენი პოზიციები მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს. ქართულ პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე რეალური პოლიტიკური სუბიექტი შემოვიდა.

ხელისუფლების ქმედებები მიმართული იყო იქითკენ, რომ მის გარშემო ყოფილიყო ჭაობი. ჩვენ კი მარტონი ვცდილობდით იმას, რომ ამ ჭაობიდან პოლიტიკური პროცესები ამოგვეთრია.

***— ბიზნესმენმა ბიძინა ივანიშვილმა თავის წერილში გამყოფი ხაზი გაიყვანა რიგ მედია საშუალებებს, ექსპერტებსა და პოლიტიკოსებს შორის; ერთნი სააკაშვილის ხელისუფლების განმამტკიცებლებად მონათლა, სხვები კი სათანამშრომლოდ მიიწვია. თქვენი აზრით, რას ნიშნავს ეს განაცხადი?***

— ჩემი აზრით, ეს ხაზები უნდა გაიყოს, ქვეყანაში „დიპლომატიისა" და პირფერობის დრო დიდი ხანია დამთავრდა. ბიძინა ივანიშვილის განცხადებაში სამჯერ არის ნახსენები 26 მაისი. ამ თარიღს ის პოლიტიკაში მოსვლის გადაწყვეტილებას უკავშირებს და ასევე ხელისფლების უსაზღვრო აღვირახსნილობის დასრულებისკენ სწრაფვას.

***— სახელისუფლებო მედიაში ნაციონალების ლიდერების მიერ უკვე დაიწყო მკვეთრი კრიტიკა და თავდასხმები ივანიშვილის მიმართ, სრულად მას თავისი პოლიტიკური გეგმები არ წარუდგენია საზოგადოებისთვის, არც მისი საგარეო კურსი და საშინაო პოლიტიკური მიმართულებებია სრულყოფილად წარმოდგენილი, თუმცა ივანიშვილი უკვე პუტინის „პროექტად" არის მიჩნეული. როგორ ფიქრობთ, ეს რით არის გამოწვეული?***

— ეს არის დიქტატორის თვისება. ის ვერ იტანს განსხვავებულ აზრს და ახლა იმდენად განსხვავებულ აზრთან კი არ აქვს საქმე, არამედ მეორე პოლუსთან. ბუნებრივია, ხელისუფლებამ ყველა შესაძლო რესურსი ჩართო ივანიშვილის წინააღმდეგ. დღეს საქართველოში დიქტატურა მძვინვარებს.

***— ხელისუფლების შეფასებით, აქამდე ბურჯანაძე იყო კრემლის ფავორიტი, ახლა კი ივანიშვილია. თქვენი აზრით, ბატონი ივანიშვილის სიმპათიები კრემლისკენ არის მიმართული თუ თეთრი სახლისკენ?***

— ჩვენი გასვლა და გამოცხადება კრემლის საყრდენ ძალად სრული სისულელე იყო, 26 მაისს განვითარებულმა პროცესებმაც ხომ აჩვენა, რომ რუსეთის ტანკები თბილისში არ შემოვიდნენ. ხელისუფლებას მოწინააღმდეგის მიმართ სხვა პიარი არ გააჩნია. კრემლის ლიდერების ლანძღვა პოლიტიკა არ არის. საერთაშორისო პოლიტიკაში მას სხვა თემა სავაჭროდ არ დარჩა. იგივე სტრატეგია აქვს არჩეული ივანიშვილის მიმართ. ადამიანი მოდის სოფლის მეურნეობის განვითარების კონკრეტული გეგმით, ამაზე დიდი ქართული საქმე არ შეიძლება იყოს ქართულ პოლიტიკაში. ამაზე რომ ყურადღებას არ ამახვილებ და სანაცვლოდ აცხადებ, ივანიშვილს ფული რუსეთში აქვს ნაშოვნიო, სულელის მდგომარეობაში იყენებ თავს. ეს ადამიანი ქართულ საქმეს ემსახურება, ეს არის რეალობა და ამიტომ არიან გაწიწმატებული.

***— ნინო ბურჯანაძე ალასანიას ბოლო დროს მუდმივად აკრიტიკებს, თუმცა ივანიშვილმა სწორედ მას გაუწოდა სათანამშრომლოდ ხელი, სახალხო კრება მაინცდამაინც არც რესპუბლიკელების ქებით გამოირჩევა. ამ თვალსაზრისით, როგორ წარმოგიდგენიათ ურთიერთობა ბიძინა ივანიშვილთან და მის რჩეულ პოლიტიკურ პარტნიორებთან?***

— ერთი კვირა ჯერჯერობით საკმარისი არ არის ივანიშვილის გეგმის ამ მხარის შესაფასებლად. მთავარი სადემარკაციო ხაზი როცა გაივლო, იგულისხმებოდა, რომ დარჩა ის პარტიები, ვისთანაც შესაძლებელია თანამშრომლობა. თავად თანამშრომლობის ფორმა როგორი იქნება, ეს შეთანხმების საკითხია. დარწმუნებული ვარ, ჩვენსა და ივანიშვილს შორის გარკვეული სახის თანამშრომლობა იქნება. რაც შეეხება ალასანიასთან და „რესპუბლიკელებთან" დამოკიდებულებას, ჩვენ ერთადერთი პოლიტიკური პარტია ვიყავით, რომელიც „რვიანს" აკრიტიკებდა დაარსების დღიდან და სწორედ იმ შედეგს ვვარაუდობდით, რომელიც ამჟამად გვაქვს. „რვიანმა" არათუ შედეგი არ მოიტანა, ინტერესიც კი არ გააჩინა იმ თემისადმი, რის გამოც ის შეიქმნა. მას შემდეგ, რაც „რვიანმა" დაასრულა თავისი წარუმატებელი არსებობა, ბუნებრივია, წაქცეულს არ ურტყამენ და კრიტიკაც აღარ გავაგრძელეთ. ახლა ის საკითხი, თუ რატომ უნდა იყოს ალასანია ამ პროცესში? ქართული პოლიტიკური სპექტრი უკვე ჩამოყალიბდა. ხელისუფლებასთან ასოცირებული პარტიები რჩებიან ოპოზიციური პროცესის მიღმა. ალასანია კი ასეთად არ ითვლება.




***— უკაცრავად, თქვენი მხრიდან არ ითვლება თუ ივანიშვილის მხრიდან?***

— როგორც ჩვენი, ასევე ივანიშვილის მხრიდან. ხელისუფლებამ „რვიანი" კარგად გამოიყენა, თუმცა ივანიშვილის პარტნიორობა ალასანიასთან გარკვეული ინტერესებით აიხსნება. ჩვენც არ გვაქვს უფლება, ხელი ვკრათ ალასანიას. ივანიშვილი რომ არ გამოჩენილიყო, ჩვენ მაინც ვაპირებდით ალასანიასთან და სხვა პოლიტიკურ სუბიექტებთან ურთიერთობას.

***— როგორც მახსოვს, ალასანია არ აპირებდა ბურჯანაძის გვერდით დადგომას.***

— გვერდით დადგომა სხვა არის და კონსულტაციები კი სხვა რამ.

***— როგორ გესახებათ ივანიშვილის ირგვლივ იმ სუბიექტების ერთმანეთთან თანამშრომლობა, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ ერთმანეთს მწვავედ აკრიტიკებდნენ?***

— ქვეყნის ინტერესის ირგვლივ შემდგარი გაერთიანება არის მხოლოდ წარმატებული. ივანიშვილს გააჩნია იმის დიდი რესურსი, არა მხოლოდ ფინანსური, არამედ სხვა რესურსიც, რომ სახელმწიფო ინტერესის ირგვლივ ყველა გააერთიანოს, თუნდაც რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკური ორგანიზაციები.

***— ხელისუფლება ახლა ცდილობს, ისეთი ცვლილება შეიტანოს კანონმდებლობაში, რომელიც საარჩევნო სუბიექტს ქრთამის აღებასა და გაცემაში ხელს შეუშლის და ამას იმით ხსნის, რომ ამომრჩევლის მოსყიდვა აღარ მოხდება. საინტერესოა, ახლა რატომ გაახსენდა მმართველ პარტიას ეს საკითხი?***

— ეს რიტორიკული კითხვაა, თქვენც კარგად იცით ამ ხელისუფლების სახე, ისევ ჩაკეტილ სივრცეში სურს ქვეყანა ამყოფოს და მუდმივად თვითონ მართოს ჩვენი სახელმწიფო. სააკაშვილის მარადიული მმართველობის სურვილს ემსახურება ნებისმიერი გადაწყვეტილება და კანონი. მეორეს მხრივ, სააკაშვილის რეჟიმი მსხვერპლის მდგომარეობაშია, ცდილობს კონფლიქტი რევოლუციის გზით გადაწყვიტოს და არა საარჩევნო მარათონში კონკურენტების ჩართვით. იგივე კურსი ჰქონდა აღებული სახალხო კრების მიმართ. სახელისუფლებო ტელეარხებიდან იღვრებოდა სიძულვილი, ზიზღი და საზოგადოების წაქეზება სახალხო კრების წინააღმდეგ.

***— საპარლამენტო არჩევნების დროს თქვენი პარტია მხარს თუ დაუჭერს ივანიშვილს იმის მიუხედავად, შემოგთავაზებთ თუ არა ის თანამშრომლობას?***

— ამაზე დღეს ნამდვილად ვერ ვილაპარაკებ, უნდა შევხედოთ, როგორ წავა პროცესები.

***— ალბათ, გახსოვთ, ბადრი პატარკაციშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში ნაციონალების კანდიდატ სააკაშვილთან რა მიზეზით დამარცხდა, ეს იყო ხმების წართმევის ბრალი, მაშინ ლევან გაჩეჩილაძე, დავით გამყრელიძე, შალვა ნათელაშვილი ცალკე მონაწილეობდნენ არჩევნებში. სწორედ ამაზე მინდა გკითხოთ — საპარლამენტო არჩევნებში ხმების გაყოფის საფრთხე იქნება?***

— საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები სპეციფიკურად სხვადასხვაა. როცა ბატონი პატარკაციშვილი გამოვიდა პოლიტიკურ ასპარეზზე, ცაიტნოტური მდგომარეობა იყო. სააკაშვილმა თავის გადარჩენის მიზნით მოულოდნელობის ეფექტი ჩართო და საპრეზიდენტო არჩევნები ისეთ დროს დანიშნა, როცა საზოგადოებას სულ სხვა მოთხოვნა ჰქონდა, კერძოდ, საპარლამენტო არჩევნების ვადაში გამართვა. დღეს სხვა რეალობაა. საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი წელია დარჩენილი.

# ჯონდი ბაღათურია საპარლამენტო კომისიის შექმნას ითხოვს

თეა მარხვაიძე




ჟურნალისტების მდგომარეობა საქართველოში სახარბიელო ნამდვილად არ არის. თავისუფალ მედიაზე ზეწოლის ფაქტები ჩვენში იშვიათობას ნამდვილად არ წარმოადგენს. ამის გამო პროტესტი ოპოზიციამ და არასამთავრობოებმა არაერთხელ გამოხატეს. თავი ხელისუფლებამაც გაინერვიულა რამდენჯერმე. ხელისუფლება მხოლოდ მაშინ ღელავს, როცა მედიას ოპოზიციონერები აკრიტიკებენ, სხვა შემთხვევაში კი გუგულებივით მშვიდად შეჰყურებენ მედიის უბედურებას.

ჩვენში ყველას კარგად ახსოვს ტელეკომპანია „იმედში" ჩატარებული სპეცოპერაცია. არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, ეს დარბევა გამოძიებული არ არის.

„იმედში" ჩატარებული სპეცოპერაციის გამოძიებას კარგა ხანია ითხოვს დეპუტატი ჯონდი ბაღათურია. მან ამ საქმესთან დაკავშირებით რამდენიმე თვის წინ დაიწყო ხელმოწერების შეგროვება. მან პარლამენტის სხდომაზე საგანგებო განცხადებაც გააკეთა.

მაშინ ბაღათურია დამოუკიდებელი დეპუტატი იყო. მის აქტიურობას შედეგი არ მოჰყოლია. ახლა დეპუტატი ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის" წევრია. მედიაზე ზეწოლის ფაქტების გამოძიებაში მას თანაფრაქციელებიც დაეხმარებიან. ისე, საეჭვოა, ამაში მათ პარლამენტის თანხმობა მიიღონ.

საპარლამენტო ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის" მედიაზე და ჟურნალისტებზე ზეწოლის ფაქტების შესახებ საგამოძიებო კომისიის შექმნას მოითხოვს.

ამასთან დაკავშირებით გუშინ ჯონდი ბაღათურიამ საგანგებო ბრიფინგი გამართა, სადაც თავისი ძველი ინიციატივაც გაიხსენა.

—„ქართული დასი" გამოვიდა ინიციატივით, რომ შექმნილიყო საგამოძიებო კომისია, რომელიც შეისწავლიდა 2007 წელს ტელეკომპანია „იმედში" შეჭრას, ასევე „თრიალეთზე", 25-ე არხზე თუ სხვა მედიასაშუალებებზე ზეწოლის ფაქტებს, 26 მაისის მოვლენებსა და სხვა ფაქტებს, რომლებსაც საქართველოში ყოველდღიურად აქვს ადგილი, — განაცხადა ბაღათურიამ.

როგორც თავში უკვე აღვნიშნეთ, მაშინ ბაღათურიამ დიდი მხარდაჭერა ვერ მოიპოვა. გუშინდელ ბრიფინგზე ბაღათურიამ სინანულით აღნიშნა, რომ მან მხოლოდ 6 ხელმოწერა შეაგროვა.

— მაშინ ჩემს ინიციატივას მხარი არც ქრისტიან-დემოკრატიულმა ფრაქციამ დაუჭირა, — განაცხადა ბაღათურიამ.

მათი უარი დეპუტატმა მაშინაც გაიკვირა, რადგანაც ამ ფრაქციის წევრები „იმედის" ყოფილი ჟურნალისტები არიან. ეს ადამიანები დარბევის მომენტში ტელევიზიაში იყვნენ.

— ქრისტიან-დემოკრატებმა ჩემს ინიციატივას მხარი არ დაუჭირეს, თქვეს, რომ ამ საქმის პოლიტიკური ნება არ არის. თქვე დალოცვილებო, სოფლის მეურნეობის მინისტრის გადაყენების საკითხი რომ დააყენეთ, რა, ამის პოლიტიკური ნება არის? — იკითხა მაშინ ბაღათურიამ.

როგორც უკვე ითქვა, ამ ინიციატივას მხარი მხოლოდ 6-მა ადამიანმა დაუჭირა. ამ ადამიანებმა თავი ერთ ფრაქციაში მოიყარეს. ბაღათურია ახლა უკვე ფრაქციის სახელით აპირებს სამართლიანობისთვის ბრძოლას. მათ ფრაქციის სახელით საკითხის ინიცირების უფლება აქვთ.

ბაღათურიას განმარტებით, „ერთობა სამართლიანობისთვის" მომავალი კვირიდან პარლამენტს საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატივით მიმართავს.

— ის ტრაგიკული მდგომარეობა, რომელიც დღევანდელ მედიაშია, სწორედ დაუსჯელობის სინდრომის გამოა შექმნილი და, სანამ ვინმე არ დაისჯება, ვითარება არ გამოსწორდება, — აცხადებს ბაღათურია.

დეპუტატს რეგიონებში მედიის მდგომარეობაც აშფოთებს. აქ მართლა ძალიან ცუდად არის საქმე. რეგიონულ მედიას თითქმის საომარ მდგომარეობაში უწევს მუშაობა, რაზეც ბევრი განცხადება გაკეთდა, მაგრამ ხელისუფლება მაინც დუმს. ვნახოთ, რას იზამს ბაღათურია.

ბაღათურიასა და მის თანაფრაქციელებს კიდევ სხვა მიზეზის გამო ექნებათ თავი გასანერვიულებელი.

27 სექტემბრის პარლამენტის სხდომაზე დავით ბაქრაძემ დეპუტატ დიმიტრი ლორთქიფანიძეს საკმაოდ მძიმე ბრალდება წაუყენა. სპიკერმა თქვა, რომ ლორთქიფანიძე პატიმრების ოჯახის წევრებს ფულს სძალავდა. დეპუტატმა სპიკერს სასამართლოში უჩივლა და კომპენსაციის სახით მისგან 1 ლარი მოითხოვა.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ პარლამენტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელის წარმოება შეწყვიტა.

როგორც ჟურნალისტებს დეპუტატმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ განუცხადა, სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონო და დაუსაბუთებელია.

— ამ გადაწყვეტილებით კიდევ ერთხელ გახდა ნათელი, თუ როგორი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელია სასამართლო, — შესჩივლა ჟურნალისტებს დეპუტატმა.

დეპუტატის განმარტებით, სასამართლოს ჰქონდა სრული საფუძველი, გამოეკვლია როგორც ბაქრაძის, ასევე კუბლაშვილის განცხადებები.

— „მაესტროს" ეთერში ჟურნალისტის კითხვაზე, გულისხმობდა თუ არა აღნიშნულ ბრალდებაში ბაქრაძე ლორთქიფანიძეს, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ პირდაპირ უპასუხა, რომ გულისხმობდა. სასამართლოს ისიც უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ისინი ერთი გუნდის წარმომადგენლები არიან და საკითხი გამოეკვლია. თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქმის წარმოება ჩემი სარჩელის გამო მოპასუხე დავით ბაქრაძის მიმართ მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე შეწყდეს დავის საგნის არარსებობის გამო, — განაცხადა ლორთქიფანიძემ.

დეპუტატი ამ საქმის ასე დატოვებას არ აპირებს. ის ზედა ინსტანციაში გეგმავს ჩივილს და უახლოესი 12 დღის განმავლობაში სააპელაციო სასამართლოს მიმართავს.

ამ ბოლო დროს ლორთქიფანიძე საკმაოდ ბევრ უსიამოვნებას გადაეყარა. ჯერ ის საპარლამენტო კომისიებიდან გამოიწვიეს, წინა კვირაში კი ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეობას ჩამოაცილეს. ნაციონალები და გია თორთლაძე მას ფრაქცია „ძლიერი საქართველოს" დატოვებას არ პატიობენ. ეს კიდევ შეიძლება ეპატიებინათ, მაგრამ ლორთქიფანიძემ ახალ ფრაქციაში მოინდომა შესვლა, რამაც ნაციონალების მოთმინების ფიალა აავსო.

# ივანიშვილის გაერთიანება დემოკრატიული ფრონტის სახეს იღებს

ბიზნესმენ ივანიშვილის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე, მის ახალ პარტნიორებზე, რუსეთისა და პუტინის შესახებ მის განცხადებებზე, ასევე მისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევისა და მოქალაქეობის აღდგენის პერსპექტივებზე, „ინტერპრესნიუსი“ საზოგადოებრივი საქმეთა ინსტიტუტის დირექტორს, პოლიტოლოგ გიორგი მარგველაშვილს ესაუბრა.

***— ბატონო გიორგი, ბიზნესმენ ივანიშვილთან შეხვედრის შემდეგ „ეროვნული ფორუმის“ ლიდერებმა განაცხადეს, ნოდარ ჯავახიშვილის „ქართუ ჯგუფის“ ხელმძღვანელად დანიშვნის გარდა, მხარეები თანამშრომლობის შესახებ შეთანხმდნენ. იმის გათვალისწინებით, რომ „რესპუბლიკელები“ და ალასანიას „თავისუფალი დემოკრატები“ მსოფლმხედველობით „ფორუმისაგან“ მნიშვნელოვნად განსხვავდებიან, თქვენი აზრით, რა შეიძლება ვიფიქროთ ივანიშვილის „ფორუმულ“ არჩევანთან დაკავშირებით? ყოველ შემთხვევაში, პირველ განცხადებაში იგი „ფორუმს“ მის სავარაუდო პარტნიორებად არ ასახელებდა. რჩება შთაბეჭდილება, რომ ივანიშვილი ცდილობს, შექმნას არა კონკრეტული პოლიტიკური ოდეოლოგიის მატარებელი ჯგუფი, არამედ ფართო ფრონტი, რომლის იდეოლოგიურ ვექტორებს და სახეს მომავალში დავინახავთ.***




ბატონ ივანიშვილს „რესპუბლიკელებთან“, „თავისუფალ დემოკრატებთან“ და „ფორუმთან“ ერთად მოუწევს საზოგადოების წინაშე იმ ერთიანი პროგრამით წარდგენა, რომლის ფარგლებშიც ისინი გაერთიანდნენ. არსებულ ვითარებაში არა მგონია, ეს ძალიან რთული იყოს, რადგანაც საქართველოში ბოლო დროს არ დაობენ გადასახადების ფორმებზე, ლიბერალიზმისა თუ კონსერვატორული შეხედულებების შეხამების საკითხებზე, არ დაობენ აბორტებზე, ქალთა უფლებებზე და ასე შემდეგ. საქართველოში ძირითადად დავა მიდის იმაზე, რამდენად დასაშვებია დემოკრატია, თუ დიქტატურა და რა ფორმით უნდა გაიმართოს არჩევნები. ასე რომ, ამ გაერთიანებას ბუნებრივად ექნება ზოგადი მისწრაფება დემოკრატიული ღირებულებების ხელახალი დეკლარაციის. ჩემი აზრით რასაც ივანიშვილი ქმნის, უფრო დემოკრატიული ფრონტის ფორმა ექნება, ვიდრე — იდეოლოგიური ნიშნით გაერთიანების. ამავე დროს, ამ პარტიების წინაშე დგება საკითხი, თავის იდეოლოგიაზე საუბარი დროებით შეაჩერონ და ერთიან პოზიციაზე ისაუბრონ.

***— ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ივანიშვილის გუნდში ბურჯანაძე და ნოღაიდელიც და სხვებიც ვიხილოთ?***

— ალბათ შეიძლება, ყველა ვიხილოთ. ჩემთვის ძნელია ამის თქმა. ვხედავ, რომ ერთიანდებიან საკმაოდ განსხვავებული შეხედულებების პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლები. ვიმეორებ, ივანიშვილის გაერთიანება დემოკრატიული ფრონტის სახეს იღებს და ასეთ ვითარებაში გამოროცხული არაფერია.

***— გავრცელდა ივანიშვილის „რეიტერისათვის“ მიცემული ინტერვიუ. ამ ინტერვიუში მან მეტად საინტერესო განცხადებები გააკეთა. ძალიან ოპტიმისტურად კი ჟღერს, მაგრამ მაინც — „თუ ჩვენ სწორი ნაბიჯები გადავდგით, რუსეთთან შეგვიძლია მივაღწიოთ ინტერესების თანხვედრას“, კიდევ — „90%-იანი დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ პარლამენტში აბსოლუტური უმრავლესობით გავალთ“ და კიდევ სხვა. თქვენ როგორ შეაფასებდით ივანიშვილის ამ განცხადებებს?***

— ნებისმიერი პოლიტიკოსი მხოლოდ ასეთ ოპტიმისტურ განცხადებებს გააკეთებდა. ეს ჩვეულებრივი და ნორმალურია. აბსოლუტურად ნორმალურია, რომ პოლიტიკოსები დაპირებებს იძლევიან. ბოლომდე რომ არ ასრულებენ, ესეც, პრინციპში, ნორმალურია.

***— თქვენ როგორ შეაფასებდით პუტინთან დაკავშირებულ განცხადება — „რუს ხალხს მოსწონს პუტინი. ეს მათი არჩევანია და აუცილებელია მასთან მოლაპარაკებების დაწყება“?***

— მე მომეწონა ამ განცხადების ფორმა. ამ განცხადებაში იყო რამდენიმე საინტერესო რამ. ეს ზრდასრული პოლიტიკოსის განცხადებაა. იგი არ აკეთებს აქცენტენს პუტინის დადებით მხარეზე, არამედ აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ პუტინი რუსეთის არჩევანია პატივს სცემს რუსეთს, როგორც სახელმწიფოს. ამიტომ ვამბობ, რომ განცხადების ეს ნაწილი საკმაოდ ნორმალური იყო და პირადად მე მომეწონა. ძნელია იმის თქმა, თუ როგორ შეხვდებიან რუსეთში ივანიშვილის მსგავს განცხადებებს, მაგრამ ისიც ფაქტია, რო ივანიშვილის განცხადება პუტინის მიმართ, მთლად დადებითი ტიპის განცხადება არ იყო.

***— ხელისუფლების მხარდამჭერებიც კი აღიარებენ, რომ ივანიშვილისა და მისი მეუღლისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა ხელისუფლების დიდი პოლიტიკური შეცდომა იყო. თქვენ როგორ შეაფასებდით მომხდარს და იმას, რომ ხელისუფლებამ კანონში ცვლილებებიც კი მიიღო, რომლითაც საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირისგან პოლიტიკური საქმიანობის მიზნით ფინანსების მიღებისთვის პოლიტიკური სუბიექტი დაისჯება კიდეც?***

— მე მაინც ამას ერთიან კონტექსტში აღვიქვამდი. პასპორტების თემა და ხელისუფლების მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი უსუსურ შთაბეჭდილებას ტოვებს და ხელოვნურია. თუ ამას კანონში განხორციელებულ ცვლილებას მივაბამთ, უსუსურობასთან ერთად, ეს ყველაფერი ძალიან უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. ჩვენ კი ვართ მიჩვეული, რომ კონსტიტუცია პოლიტიკურ ფიგურებზე მორგებით უნდა შეიცვალოს, მაგრამ პრეზიდენტობის პოტენციურ კანდიდატზე ქვეყნის მოქალაქეობის ჩამორთმევა გარდა იმისა, რომ უსუსური და კომიკურია, იმავდროულად ამაზზრენიცაა.

პრაქტიკულად ხელისუფლება თავის მოქმედებით ამბობს — ამ ქვეყნის პოლიტიკაში ჩვენ არავის არ მოვუშვებთ. აქ უკვე საუბარი აღარ არის დემოკრატიულობა-არადემოკრატიულობის თემაზე და სახელმწიფოებრიობის თემას სცდება. ეს დაახლოებით იმას ჰგავს, ვინმე სოფელს რომ დაეპატრონება და სოფელს ღობეს აკრავდეს. გარკვეულწილად, ეს სასირცხვილოც კია, ვინაიდან საერთაშორისო ასპარეზზე ამას ვერავინ გაიგებს. თბილისში ვიზიტისას სარკოზი საბჭოთა კავშირის აღდგენის საფრთხეზე საუბრობდა, მრჩება შთაბეჭდილება, რომ იგი ჩამოვიდა ქვეყანაში, სადაც საბჭოთა სისტემა არსებობს, დიახ, თუ პუტინს საბჭოთა კავშირის აღდგენა აქვს განსაზღრული, სააკაშვილმა საქართველოში საბჭოთა სისტემა უკვე კარგა ხანია, აღადგინა.

ისეთი პარანოია, შიში და რკინის ფარდების მშენებლობა საფრანგეთის მოქალაქე ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ყოვლად გაიგებარია. სააკაშვილი ხელებ დაკაპიწებული ისეთი ტემპებით აშენებს საქართველოში საბჭოთა საქართველოს, რომ პუტინს ამ თვალსაზრისით აჯობა კიდეც. შეიქმნა ვითარება, როცა ყველაფერი ცდება ივანიშვილის მოქალაქეობა-არმოქალაქეობის პრობლემას. როცა ხელისუფლებას ნებისმიერი შესაძლო ოპონენტის მიმართ ამ დონის ფობია ეწყება, ეს უკვე სამოქალაქო საზოგადოების თემაა. ფაქტია, რომ ჩვენ ვხდებით ჩაკეტილი საზოგადოება, რომლისთვისაც უცხოელი საშიშია. ეს ხომ თავისთავად ძალიან ცუდი ტენდენციაა.

***— თქვენი აზრით, ივანიშვილის მოქალაქეობასთან დაკავშირებით როგორ შეიძლება განვითარდეს პროცესები? რამდენად სავარაუდოა, რომ ბატონ ივანიშვილსა და მის მეუღლეს ხელისუფლებამ თავად აღუდგინოს საქართველოს მოქალაქეობა?***

— ვთქვი და გავიმეორებ, ეს უკვე სამოქალაქო საზოგადოების თემაა. პრინციპში, ჩვენ ახლა ლაითტირანიის რეჟიმში ვცხოვრობთ. ახლა ეს ლაითტირანია შეშინებულია. ლაითტირანია ქვეყანას ისე მართავდა, როცა საზოგადოება ცალკე იყო და თავად — ცალკე, ატარებდა დროს და ჩვენ მხოლოდ არსებობის საშუალებას გვაძლევდა. ახლა, როცა ხელისუფლებას გაუჭირდა, ის ჩვენზე ძალადობს, მას სხვა რესურსი არ გააჩნია. ის ჩვენ უფლებებს კიდევ უფრო შეზღუდავს.

ხელისუფლება ივანიშვილს ვერანაირად ვერ დააბალანსებს, თუ კიდევ უფრო მეტად არ დაჩაგრა საზოგადოება. იგი ივანიშვილს ვერ დაჩაგარავს, მაგრამ მას უნდა ივანიშვილის გაჩენით უფრო მეტად უნდა ჩვენ დაგვჩაგროს. უფრო მეტად კონტროლირებადი გაგვხადოს, შეგვაშინოს და ქვეყანაში უფრო მეტად პარანოიული ვითარება შექმნას. ხელისუფლება მთლად რკინის ფარდას ვერა, მაგრამ რკინის ხუხულის აგებას რომ ცდილობს, ფაქტია.

ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორი რეაქცია ექნება საზოგადოებას სააკაშვილის რეჟიმის მიერ ქართული სახელმწიფოსგან საბჭოთა საქართველოს შექმნაზე. ეს მალე გამოჩნდება. თავისთავად, ეს იმდენად ხელოვნური კონსტრუქციაა, რომ თვითონ ხელისუფლების გუნდში უნდა გაჩნდეს მიუღებლობა იმის მიმართ, რაც ხდება. ჩვენ რომ სასირცხვილო მდგომარეობაში ვართ, ფაქტია, მაგრამ ეს გარედანაც ხომ სამარცხვინოდ ჩანს. ანუ ჩვენ გავხდით ქვეყანა, რომელსაც ეშინია ყველასი — რუსეთის, ევროპის, ამერიკის, „რესპუბლიკილებისაც“, „თავისუფალი დემოკრატებისაც“ და „ფორუმისაც“. და ამის გამო ამკაცრებს კანონებს და ამბობს, რომ ქვეყანაში არავის ფინანსებს არ შემოუშვებს.

იმის მაგივრად, რომ სააკაშვილმა ივანიშვილი ბრძოლაში გამოიწვიოს და პოლიტიკური ხერხებით დაუპირისპირდეს პრინციპში გამოუცდელ პოლიტიკოსს, მას ბრძოლა ქართველ ხალხზე გადააქვს. ის ცდილობს დაჩაგროს ქართველი ხალხი. აქამდე გვეგონა, რომ სააკაშვილმა პოლიტიკური ბრძოლის წესები იცოდა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — პოლიტიკური თვალსაზრისით გამოუცდელმა ივანიშვილმა გამოცდილი პოლიტიკოსი აშკარად შეაშინა. ვერ ვხდები, რატომ უნდა ურტყან ქართველს თავში იმისთვის, რომ შემდეგ პრეზიდენტი სააკაშვილი მოაწონონ. ძალიან უცნაური და სამარცხვინო კონსტრუქციაა არა მარტო ქვეყნაში მცხოვრებთათვის, არამედ მათთვის, ვინც ჩვენ დასავლეთიდან ჯერ კიდევ ინტერესით გვადევნებს თვალს.

**ინტერპრესნიუსი**

# ცხინვალში საკონსტიტუციო გადატრიალება გადაიდო

თეა მარხვაიძე



გუშინ ცხინვალის ცენტრში კოკოითის საწინააღმდეგო მშვიდობიანი მიტინგი გაიმართა. აქციის ორგანიზება მოძრაობის „დემოკრატიული არჩევნებისათვის“ კომიტეტმა გააკეთა.

აქციის ორგანიზატორებმა მოსახლეობას კოკოითის დაჯგუფების საქმიანობის წინააღმდეგ ქუჩებში გამოსვლისაკენ მოუწოდეს.

ადგილობრივი მოსახლეობის გარდა, მათ მოწოდება მოსკოვშიც აფრინეს. ისინი რუსეთს სთხოვენ, ამ უკანასკნელმა გამოიყენოს ყველა საშუალება, რათა ცხინვალის რეგიონში მოსალოდნელი გადატრიალება თავიდან იქნეს აცილებული.

კომიტეტში თვლიან, რომ კოკოითი ხელისუფლებაში დარჩენის გზებს ეძებს. ამ მიზნით მოფიქრებულია მარტივი სქემა. ოპოზიციის განმარტებით, იგეგმება სამხრეთ ოსეთის საპარლამენტო რესპუბლიკად გამოცხადება, რის განხორციელების შემთხვევაში კოკოითი უკვე სამხრეთ ოსეთის პარლამენტის თავმჯდომარე გახდება.

ოპოზიციის მტკიცებით, ეს გადატრიალება დღეს უნდა მომხდარიყო. ოპოზიციამ სწორედ დღეს უხმო ხალხს. აქცია ცხინვალის ცენტრშია დაგეგმილი, თუმცა შეიძლება ეს აქცია აღარ ჩატარდეს, რადგან პარლამენტი დღეს იმ საკითხის განხილვას აღარ აპირებს.

დღეს სამხრეთ ოსეთის პარლამენტში პრეზიდიუმის სხდომა გაიმართა, სადაც საკონსტიტუციო ცვლილებებზე არ უმსჯელიათ. — ეს იმას ნიშნავს, რომ საკითხის განხილვა არც 19 ოქტომბერს მოხდება, — განაცხადა დეპუტატმა ვადიმ ცხოვრებოვმა, რომელიც ამ კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორია.

ადგილობრივი ოპოზიცია სხვა საკითხსაც აპროტესტებს. ისინი აღშფოთებული არიან ალან კოჩიევის პატიმრობის გამო.

„ექსპერტთა კლუბის“ ცნობით, კოკოითის რეჟიმმა კიდევ ორი თვით გაუგრძელა პატიმრობის ვადა მარიონეტული რეჟიმის ე.წ. პრეზიდენტობის კანდიდატ ალან კოჩიევსა და ამ საქმის მეორე ფიგურანტ ალექსანდრე კოტაევს. როგორც ცხინვალის უმაღლესი სასამართლოს პრეს-სამსახურმა სააგენტო „რესს“ შეატყობინა, ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა გამომძიებლის შუამდგომლობის საფუძველზე, ხოლო საქმის კიდევ ერთი ფიგურანტი თიმურ დოგუზოვი შინაპატიმრობაში იმყოფება.

ეს უკანასკნელი პატიმრობიდან მუხარ კოკოევმა გაათავისუფლა. ამის გამო ის კოკოითიმ სამსახურიდან დაითხოვა, უფრო სწორად, აპირებდა, მაგრამ მუხარმა თავად დატოვა თანამდებობა. ის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე იყო და, როგორც ადგილობრივები ამბობენ, კოკოითის არასდროს უწევდა ანგარიშს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ახლო ნათესავები არიან.

რაც შეეხება კოჩიევს, მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე ჯანმრთელობისათვის განზრახ დაზიანების მიყენების მუხლით არის აღძრული.

მის წინააღმდეგ საქმე 19 აგვისტოს აღიძრა.

— საქმე ეხება 17 აგვისტოს ცხინვალელ „დეპუტატ“ ალექსანდრე პლიევთან (მეტსახელად „პუპუშა“) მომხდარ ინციდენტს. 18 აგვისტოს ცხინვალში მცხოვრებმა ალექსანდრე კოტაევმა ოსურ საიტ „უაზდანს“ უამბო წინა დღეს მასსა და პლიევს შორის მომხდარი ინციდენტისა და შემდგომი ჩხუბის შესახებ. მან აღნიშნა, რომ მხოლოდ დილით გაიგო ამ ამბავთან დაკავშირებით ალან კოჩიევის დაკავების ამბავი, რის გამოც იგი თავისი ფეხით მიემართებოდა პროკურატურაში აღიარებითი ჩვენებების მისაცემად. „ალანი აქ არაფერ შუაშია, — აღნიშნა კოტაევმა, — იგი იქ საერთოდ არ ყოფილა, იქ მე ვიყავი“, — იუწყება „ექსპერტთა კლუბი“.

სხვათა შორის, კოჩიევი პრეზიდენტობის კანდიდატია. მამამისი, გრი კოჩიევი, ცნობილი საველე მეთაური იყო.

სააგენტო „რესის“ ცნობით, სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტობისთვის 17 დარეგისტრირებული კანდიდატი იბრძოლებს. ასეთი გადაწყვეტილება დეფაქტო ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო.

რეგისტრაციის საბოლოო მონაცემები დღეს გახდა ცნობილი. დარეგისტრირებულ კანდიდატებს შორის არიან ყოფილი დე-ფაქტო განათლების მინისტრი, ოპოზიციონერი ალა ჯიოევა, ამჟამად პატიმრობაში მყოფი ალან კოჩიევი, ინფორმაციისა და მასობრივი კომუნიკაციების დე-ფაქტო კომიტეტის ხელმძღვანელი გიორგი კაბისოვი, საგანგებო სიტუაციების დეფაქტო მინისტრი, კრემლის ფავორიტი ანატოლი ბიბილოვი, პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში პრეზიდენტის წარმომადგენლის მოადგილე მერაბ ჩიგოევი, დე-ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ალან პლიევი.

თითოეულ კანდიდატს ტელე და რადიოეთერში 60 წუთი დაეთმობა. ამ დროის განმავლობაში ისინი მოსახლეობისთვის საკუთარი წინასაარჩევნო პროგრამის წარდგენას შეძლებენ.

## ბიძინა ივანიშვილს ეროვნული საბჭოს ლიდერებიც შეხვდნენ

კობა დავითაშვილი და ზვიად ძიძიგური გუშინ ბიზნესმენის რეზიდენციაში მივიდნენ.

როგორც შეხვედრის დაწყებამდე დავითაშვილმა და ძიძიგურმა ჟურნალისტებს განუცხადეს, ისინი ივანიშვილმა მიიწვია, თუმცა არ იციან, კონკრეტულად რა თემაზე ექნებათ საუბარი.

როგორც ძიძიგურმა აღნიშნა, „ეროვნული საბჭო“ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენას მიესალმება, რადგან შესაძლებლობა გაჩნდა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დისბალანსი ოპოზიციის სასარგებლოდ შეიცვალოს.

**მედიანიუსი**

## დანიის ელჩმა საგარეო საქმეთა სამინისტროში შეხვედრა გამართა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ თორნიკე გორდაძემ დანიის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი (რეზიდენციით ქ. კიევში) მიხაელ ბორგჰანსენი მიიღო.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საქართველოსა და დანიის სამეფოს შორის არსებული ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების აქტუალური საკითხები და თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები. საუბარი ასევე შეეხო 2011 წლის 29-30 სექტემბერს ვარშავაში გამართული აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის შედეგებს და 2012 წლის პირველ ნახევარში დანიის მიერ ევროკავშირის თავმჯდომარეობას.

**მედიანიუსი**

## საქართველოს სახალხო დამცველი წამების წინააღმდეგ კომიტეტის წევრი გახდა



გუშინ ჟენევაში წამებისა და სხვა სასტიკი, არაჰუმანური, დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ კონვენციის მონაწილე ქვეყნების მე-13 შეხვედრაზე გაიმართა წამების წინააღმდეგ კომიტეტის (ჩომმიტტეე აგაინსტ თორტურე) 5 ახალი წევრის არჩევნები. საქართველომ წარადგინა სახალხო დამცველის (ომბუდსმენი), გიორგი ტუღუშის კანდიდატურა.

არჩევნებში 97 ხმის მიღების შედეგად, საქართველოს კანდიდატურა არჩეულ იქნა წამების წინააღმდეგ კომიტეტის წევრად 2012-2015 წლების ვადით. კომიტეტში ასევე არჩეული იქნა ჩილეს (111 ხმა), მავრიტიუსის (105 ხმა), ამერიკის შეერთებული შტატებისა (82 ხმა) და სენეგალის (72 ხმა) კანდიდატურები.

წამების წინააღმდეგ კომიტეტი 10 დამოუკიდებელი ექსპერტისგან შედგება და მონიტორინგს უწევს წამებისა და სხვა სასტიკი, არაჰუმანური, დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ კონვენციის იმპლემენტაციას კონვენციის მონაწილე ქვეყნების მიერ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მიესალმება საქართველოს კანდიდატურის წარმატებას და მადლობას უხდის კონვენციის მონაწილე ყველა ქვეყანას მხარდაჭერისთვის.

**მედიანიუსი**

# პენსიების 10 ლარით გაზრდის პიარი 200 ათასი დაჯდა

## რომელი ამერიკული ფირმები ზრუნავენ სააკაშვილის იმიჯზე და რა გვიჯდება ეს

შალვა ჯოხაძე



ჩვენი ხელისუფლება რომ სხვადასხვა პიარხერხის დიდი მოყვარულია, ყველამ კარგად ვიცით. თუმცა, რომელმა „პიარშჩიკმა" ურჩია „ნაციონალებს" დედაქალაქის მცხოვრებთა 5-5 ლარით მოთაფლვა, მართლაც საინტერესოა. საზოგადოებაში ეს პიარხერხი უკვე საკმაოდ კრიტიკულად შეაფასეს. სამგზავრო ბარათ „მეტრომანზე" საჩუქრად ჩარიცხული 5 ლარი იქით იყოს და, ცოტა ხნის წინ პენსიონერებს ტელევიზიით ლამის ყოველ 10 წუთში ერთხელ ჩასჩიჩინებდნენ, რომ პენსია 10 ლარით გაეზარდათ და ეს უდიდესი მოვლენა იყო. როგორც ირკვევა, ამ სატელევიზიო პიარზე იმდენი თანხა დაიხარჯა, პენსიონერებზე რომ გადაენაწილებინათ, ხალხს უფრო მეტად მოიმადლიერებდნენ.

თუმცა, არა, ცხადია, ეს ყველაფერი სახელისუფლებო პიარისთვის გაკეთდა. სხვადასხვა ტელეარხზე გასული ეს რეკლამები თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ჩემი თბილისის" წარმომადგენელმა ვიქტორ დოლიძემ გააპროტესტა. ვიქტორ დოლიძემ კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას მიმართა, რომ სოციალური რეკლამა, რომელშიც პენსიების 10 ლარით გაზრდაა ასახული და მადლიერი პენსიონერები არიან ნაჩვენები, სააკაშვილის პიარია და მეტი არაფერი.

„ეს რეკლამა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პიარს ემსახურება. ფაქტობრივად, საარჩევნო კამპანია მას და „ნაციონალურ მოძრაობას" ასეთი სოციალური რეკლამებით უკვე დაწყებული აქვთ", – განაცხადა ვიქტორ დოლიძემ.

დოლიძემ კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას ამ საკითხის შესწავლის მოთხოვნით მიმართა.

პენსიების გაზრდის „გარეკლამების" საკითხით არასამთავრობო ორგანიზაციებიც დაინტერესდნენ. მაგალითად, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის დირექტორმა, გიორგი კლდიაშვილმა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ამ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვით მიმართა. გარდა რეკლამების საკითხისა, კლდიაშვილი სოციალურ ქსელებში სამინისტროს პიარზე დახარჯული თანხებითაც დაინტერესდა. ჯანდაცვის სამინისტროს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა თამარ მანჯავიძემ მართალია დაგვიანებით, თუმცა მაინც გასცა ეს საჯარო ინფორმაცია.

აი, რა მისწერა მანჯავიძემ კლდიაშვილს:

„სოცილაურ ქსელ „ფეისბუქში" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის სოციალურ რეკლამაზე ხარჯები არ გაწეულა;

ქართულ ტელესივრცეში „პენსიის 7-დან 100 ლარამდე" გაზრდის შესახებ სარეკლამო რგოლის დამზადების ხარჯი შეაქდგენს 11 862 ლარს;

„პენსიის 7-დან 100 ლარამდე" გაზრდის შესახებ გადაღებული სარეკლამო რგოლის ქართულ ტელესივრცეში განთავსების ხარჯი შეადგენს 74 470 აშშ დოლარს (გადახდის დღისათვის არსებული ეროვნული ბანკის კურსით ლარში)".

თუკი პიარზე დახარჯული ამ თანხების შესახებ ინფორმაცია გამოიმეტეს საზოგადოებისათვის, დღემდე ბოლომდე არ გვიმხელენ, მიშას პიარზე საქართველოს ბიუჯეტიდან სულ რამდენი იხარჯება.

იმ დროს, როდესაც აქ, საქართველოში ვმსჯელობთ სააკაშვილის პიარზე დახარჯულ თანხებზე, ამ თემაზე არც დასავლური მედია ხუჭავს თვალს. მით უფრო, სააკაშვილი სწორედ დასავლეთში ცნობილი პიარზე მომუშავე ფიმრების მომსახურებით სარგებლობს. უცხოური მედიის ცნობით, საქართველოს მთავრობამ ამერიკულ პიარ-კომპანიებთან გააფორმა კონტრაქტები. ერთ-ერთი კომპანია „პოდესტა გრუპია". ეს ის კომპანიაა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს 2010 წელს აშშ-ში ვიზიტის მოწყობაში დაეხმარა. ეს ბარაკ ობამას პრეზიდენტობის პერიოდში მისი პირველი ვიზიტი იყო.

საქართველომ ლობისტურ ფირმასთან 300 000 დოლარის ღირებულების ექვსთვიანი კონტრაქტის ვადა გააგრძელა. კომპანიის მიერ შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტროსთვის წარდგენილი დოკუმენტების თანახმად, „პოდესტა გრუპმა" ლობირება უნდა გაუწიოს საქართველოს ინტერესებს და უნდა დაეხმაროს მას კავშირების დამყარებაში სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან და პრესასთან. გარდა ამისა, მისი ვალდებულებაა ამერიკელ კონგრესმენებთან ქართველი პოლიტიკოსებისთვის შეხვედრების მოწყობა უზრუნველყოს.

ჟურნალისტები წერენ, რომ წარსულში სააკაშვილი შეერთებული შტატების პრეზიდენტის, უმცროსი ჯორჯ ბუშის ფავორიტი და დასავლური ტელეარხების ხშირი სტუმარი იყო. ის ყოფილ საბჭოთა კავშირში დემოკრატიას განასახიერებდა. თუმცა მისი პოზიცია გართულდა, როდესაც ევროკავშირმა 2008 წლის აგვისტოს კავკასიურ კონფლიქტზე ანგარიში გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამია, რომ სამხრეთ ოსეთში ომი საქართველომ დაიწყო. ერთ დროს თბილი ურთიერთობები თბილისს და ვაშინგტონს შორის გაცივდა მას შემდეგ, რაც ბუშმა თეთრი სახლი დატოვა.

„პოდესტა გრუპთან" კონტრაქტი ერთადერთი შეთანხმება არ არის, რომელიც საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ხელმძღვანელმა გააფორმა. მსგავსი მოქმედი კონტრაქტი არსებობს ანალოგიურად გავლენიან ლობისტურ კომპანიასთან ვაშინგტონში – „გეპარდტ გოვერმენტ აფეართანაც". მის ოფიციალურ ვებგვერდზე კომპანიის წარმომადგენელი აღნიშნავენ, რომ ფირმამ ხელი მოაწერა 430 000 დოლარის ღირებულების ერთწლიან კონტრაქტს საქართველოს მომსახურების უზრუნველსაყოფად.

# ონიშენკო ქართულ ღვინოს ელოდება

შორენა გონგლაძე

**რუსულ ბაზარზე ქართული ღვინის დაბრუნების საკითხი ისევ აქტუალურია. როგორც ცნობილი გახდა, მიმდინარე კვირას, რუსეთში ღვინის ქართველი მწარმოებლების ვიზიტი იგეგმება, რომლებიც „როსპოტრებნადზორში" მოლაპარაკებებს გამართავენ. აღნიშნულ ინფორმაციას „ინტერფაქსი" ავრცელებს.**

– საქართველოს მხრიდან ამ პროცესებთან დაკავშირებით არსებული ისტერიისა და საკითხის პოლიტიზების მიუხედავად, მიმდინარე კვირას ჩვენთან ჩამოვლენ ადამიანები, რომლებსაც ცივილიზებურად ვაჭრობის სურვილი აქვთ – განუცხადა „ინტერფაქსს" რუსეთის მთავარმა სანიტარმა, გენადი ონიშენკომ.




მისივე თქმით, ის დარწმუნებულია, რომ ეს პროცესი გაჭიანურდება იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის მთავარი მოთხოვნაა რუსი ექსპერტების საქართველოში ჩასვლა საწარმოების სერთიფიცირებისთვის. ონიშენკო გამოთქვამს ეჭვს, რომ შესაძლოა, რუსი ექსპერტები საქართველოში არ შეუშვან. თავის დროზე, მოლდოვური ღვინოების რუსეთის ბაზარზე დასაშვებად, რუსი ექსპერტები მოლდოვაში იმყოფებოდნენ.

ამასთან, ონიშენკომ განაცხადა, რომ აღიზიანებს ქართველი ბიზნესმენების ცვალებადი პოზიციები მათი პროდუქციის რუსულ ბაზარზე დაბრუნებასთან დაკავშირებით.

– ჯერ ამბობენ, რომ განაახლებენ თავისი პროდუქციის რუსული ბაზრისთვის მიწოდებას. შემდეგ იწყება საქართველოს ხელისუფლების ისტერია, რომ არ სურთ რუსული ბაზარი. თუ არ გჭირდებათ, ნუ გჭირდებათ. მიზერული ოდენობით ქართული პროდუქცია რუსულ ბაზარს არ დააზარალებს" – განაცხადა ონიშენკომ.

მართალია რუსეთის მთავარი სანიტარი აშკარად მონდომებულია, ქართული ღვინო დააგემოვნოს და შემდეგ პახმელიაზე ასევე ქართული მინერაური წყლით გამოვიდეს, მაგრამ მისი ოცნების ასრულებას კიდევ რაღაც აკლია, ეს არის საქართველოს ხელისუფლების კეთილი ნება, რომელმაც ვერა და ვერ დაივიწყა ძველი წყენა.

როგორც ერთი შეხედვით ჩანს, ონიშენკოს განცხადებებს ქართული მხარე არცთუ დიდი სერიოზულობით ეკიდება, ეს ზერელე დამოკიდებულება საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის, ბაკურ კვეზერელის განცხადებებიდანაც კარგად ჩანს. კვეზერელის განცხადებით, გენადი ონიშენკოს მოსმენა არც ღირს, – ამის შესახებ მინისტრმა „ინტერპრესნიუსს" რუსეთის მთავარი სანიტარული ექიმის განცხადების კომენტირებისას განუცხადა.

კვეზერელის ამ ორსიტყვიანი განცხადებიდან ბევრი რამის ამოკითხვა შეიძლება, პირველი ის, რომ როდესაც კვეზერელი ამ სიტყვებს ამბობდა, თავადაც არ იყო დარწმუნებული იმაში, მართლაც ღირს თუ არა ონიშენკოს მოსმენა, ალბათ ღირს და სავარაუდოდ სააკაშვილის ხელისუფლება დიდი ყურადღებითაც უსმენს დიდი რუსეთის მთავარი სანიტარის, პუტინის პოლიტიკური რუპორის ყველა განცხადებას, ვინაიდან ონიშენკოს განცხადებების მიღმა რუსული გეგმების სამომავლო მონახაზები იკვეთება. აშკარაა, რომ ქართველ მეღვინეებს სააკაშვილის ევროპული ზღაპრები და ბაქი-ბუქი უკვე ყელში ამოუვიდათ და ხელისუფლების გვერდის ავლით, პირადი შეხედულებებით გადაწყვიტეს საკუთარი ბიზნესის მართვა და სულაც არ დარდობენ, თუ ეს თემა ხელისუფლებისთვის პოლიტიკური ვაჭრობის საგანია და მასზე ხელისუფლება გარკვეულ იმედებსაც ამყარებს.

ის აზრი, რომ ღვინისა და მინერალური წყლების საკითხი პოლიტიკურიდან სუფთა ეკონომიკურ ჭრილში გადავიდა, რუსულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციებითაც მყარდება, რუსეთის ფედერაციის მთავარ სანიტარ გენადი ონიშენკოს განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ ქართული ღვინო ხარისხის შემოწმების პროცედურებს გაივლის და შესაბამის სტანდარტებს დააკმაყოფილებს, გამორიცხული არ არის, რომ ქართული ღვინო რუსულ ბაზარს ოფიციალური მხარეების გვერდით ავლითაც დაუბრუნდეს.

რუსული მედიის ინფორმაციით, ონიშენკოს ამის შესახებ საუბარი უკვე ჰქონდა ქართველ ბიზნესმენებთანაც, რომელთა ვინაობასაც არ ასახელებს.

–კრიტერიუმი ერთია და ხარისხი. იქნება ხარისხი და იქნება ნებართვაც", – განაცხადა ონიშენკომ და დასძინა, რომ ხარისხის გარეშე ქართული ღვინისთვის რუსული ბაზარი არ გაიხსნება. თუმცა კვეზერელის სასარგებლოდ იქვე უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში არც ონიშენკოს სჯერა ბოლომდე საკუთარი სიტყვების, რადგანაც ყველამ კარგად ვიცით, რომ ქართული ღვინო რუსული ბაზრიდან არა ხარისხის გამო, არამედ პოლიტიკური მოტივებით იქნა გამოძევებული. მაგრამ არც ის დაგვავიწყდეს, რომ რუსეთის ხელისუფლებისთვის სულაც არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, იქნება თუ არა ქართული ღვინო რუსულ ბაზარზე, ეს არის პუტინისეული შურისძიება ქართველი კოლეგის მისამართით, რომელიც სხვა ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით ალბათ თავის ლოგიკურ დასასრულამდე აუცილებლად მივა.

## ნიკა გილაური კანადის პრემიერ-მინისტრს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური კანადის პრემიერ-მინისტრს სტეფან ჰარპერს შეხვდა.

ნიკა გილაურის განცხადებით, კანადა საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარტნიორია საერთაშორისო პოლიტიკაში და დიდი მხარდამჭერია ყველა საერთაშორისო ორგანიზაციაში, მათ შორის ნატო-ში.

– შევხვდი კანადის პრემიერ-მინისტრს. ვისაუბრეთ რამდენიმე საკითხზე, მათ შორის მომავალი წლის ნატო-ს სამიტზე, რომელზეც კანადის მხარდაჭერის იმედი გვაქვს და ეს მხარდაჭერა გარანტირებულია. ვისაუბრეთ ეკონომიკურ საკითხებზეც. კერძოდ, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებაზე, რომელიც დღეს არ გვაქვს კანადასთან. უახლოეს მომავალში ვაპირებთ მოლაპარაკებების დაწყებას ამასთან დაკავშირებით. გვქონდა საუბარი კანადის „ექსპორტ ბანკთან" ხელშეკრულებაზე, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი საფინანსო ინსტიტუტი იმისთვის, რომ კანადური კომპანიები ჩამოვიდნენ საქართველოში, – აღნიშნა ნიკა გილაურმა კანადის პრემიერ-მინისტრთნ შეხვედრის შემდეგ.

მისივე თქმით, საუბარი შეეხო ასევე, სტრატეგიულ ხელშეკრულებას საქართველოსა და კანადას შორის, რომელიც მომავალში თავდაცვის სექტორში ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების საფუძველი იქნება.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები თემთა პალატის სპიკერთან ენდრიუ შირთან, სენატის სპიკერთან ნოელ კინესლასთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან ჯონ ბერდთან.

**მედიანიუსი**



## საქართველოს 1 ნოემბერს სერჟ სარგსიანი ეწვევა

საქართველოს 1 ნოემბერს ოფიციალური ვიზიტით სომხეთის პრეზიდენტი სერჟ სარგსიანი ეწვევა.

ამის შესახებ გუშინ ტრადიციულ ბრიფინგზე პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ განაცხადა.

მისივე თქმით, სომხეთის პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტი საქართველოში სამ დღეს გაგრძელდება. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია მაღალი დონის შეხვედრები.

**ინტერპრესნიუსი**

## წყლის რესურსების მართვის საკითხებზე მემორანდუმი გაფორმდება

„სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასში" დღეს წყლის რესურსების მართვის საკითხებზე საქართველოსა და გაეროს ევროპის ეკონომიკურ კომისიას შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდება. როგორც „ინტერპრესნიუსს" გარემოს დაცვის სამინისტროდან აცნობეს, გარემოს დაცვის მინისტრი გოგა ხაჩიძე და პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე გიგი წერეთელი გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის წარმომადგენლებს შეხვდებიან და წყლის რესურსების მართვის საკითხებს განიხილავენ.

მემორანდუმი საქართველოში წყლის რესურსების მართვის შესახებ ეროვნული პოლიტიკური დიალოგის გამართვას და წყალთან დაკავშირებულ საკითხებზე ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევის ხელშეწყობას ითვალისწინებს. შეხვედრაში 20-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელი, გაეროს წყლის კონვენციის – „წყალი და ჯანმრთელობის პრობლემების ოქმის" წევრი და არაწევრი ქვეყნების სამთავრობო დაწესებულებების წარმომადგენლები, კერძო სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და დაინტერესებული მხარეები მიიღებენ მონაწილეობას.

სამუშაო შეხვედრის მონაწილეები ერთმანეთს ოქმის შესრულებასთან დაკავშირებით თავისი ქვეყნის გამოცდილებას გაუზიარებენ, რომელიც წყალთან დაკავშირებული დაავადებების, წყალმომარაგების, სანიტარიისა და საზოგადოების მონაწილეობის საკითხებს მოიცავს.

ღონისძიება საქართველოს წყლის ეროვნული პარტნიორობის ორგანიზებით გაიმართება.

**ინტერპრესნიუსი**

## „ლეიბორისტული პარტიის" წევრს იტალიამ პოლიტიკური დევნილის სტატუსი მიანიჭა

„ლეიბორისტული პარტიის" წევრს, არჩილ ბენიძეს, იტალიის მთავრობამ პოლიტიკური დევნილის სტატუსი მიანიჭა. ამის შესახებ პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა პაატა ჯიბლაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, არჩილ ბენიძე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და შს მინისტრ ვანო მერაბიშვილის ბრძანები, 10 თვის განმავლობაში ციხეში იმყოფებოდა და მას „ლეიბორისტების" თავმჯდომარის, შალვა ნათელაშვილის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას აიძულებდნენ.

ჯიბლაძის განცხადებით, ბენიძის თხოვნის დაკმაყოფილებით, მიენიჭებინათ პოლიტიკური დევნილის სტატუსი, იტალიის მთავრობამ დაადასტურა, რომ საქართველოში მოქმედებს რეჟიმი, რომელიც პოლიტიკურ ოპონენტებს რეპრესიებით უსწორდება.

ჯიბლაძის თქმით, „ლეიბორისტული პარტია" ქვეყანაში არსებული უმძიმესი პოლიტიკური რეალობის დაფიქსირებისა და თანადგომისათვის იტალიის მთავრობას და საელჩოს მადლობას უხდის და ამასთან, მსოფლიოს დემოკრატიულ, ცივილიზებულ ქვეყნებს მოუწოდებს, მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებიდან ჩამოსაშორებლად უმკაცრესი ზომები მიიღონ.

**ინტერპრესნიუსი**

# „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში როსტომ და პაატა ჩხეიძეების წიგნის განხილვა გაიმართა

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში დღეს პაატა და როსტომ ჩხეიძეების წიგნის „კონსერვატიზმის ისტორია პიტერ ვიერიკის თარგზე“ განხილვა მოეწყო.

როგორც აღინიშნა, ის საუკეთესო წიგნია მათთვის, ვინც აქტიურად არის ჩართული პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში

პროფესორ მაია ჯალიაშვილის თქმით, სამწუხაროდ კონსერვატიზმი არასწორად არის გაგებული და მკითხველი ამ წიგნის საშუალებით, ნამდვილ ჭეშმარიტ კონსერვატიზს შეიცნობს.

განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი, რთული თემის მიუხედავად, წიგნის შედგენის სიმარტივეს და სიმსუბუქეს.

— გასაკვირიც არ არის, რომ წიგნიც ასეთი კარგი გამოვიდა, რადგან ის ისეთმა მოღვაწეებმა შეადგინეს, როგორებიც არიან პაატა და როსტომ ჩხეიძეები. სიტყვა „მოღვაწეები“ ტყუილად არ მიხსენებია, რადგან მათი საქმიანობა არის მართლაც ღვაწლი. ორივე ადამიანი არის საქმე სიტყვიანი და სიტყვა საქმიანი. ამის ერთ-ერთი მაგალითია ეს წიგნიც, — აღინიშნა... მაია ჯალიაშვილმა.

მომხსენებელმა, პროფესორმა ნინო ვახანიამ დარბაზში შეკრებილ მსმენელს პაატა და როსტომ ჩხეიძეების ახალ წიგნზე დაწერილი მოხსენება გააცნო და წიგნს „შესანიშნავი მეგზური“ უწოდა. ვახანიამ ხაზი გაუსვა, რომ ავტორებმა ექვთიმე ათონელისეული მთარგმნელობით მეთოდი აირჩიეს, რითიც ნაშრომს მეტი ორიგინალობა და სიღრმისეულობა შესძინეს.

პოლიტოლოგ ნიკა სანებლიძის შეფასებით კი, გარდა იმისა, რომ ამ წიგნს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ღირებულება აქვს, ლიტერატურული ღირებულებითაც გამოირჩევა.

მისი თქმით, „კონსერვატიზმის ისტორია პიტერ ვიერიკის თარგზე“ მკითხველს საერთოდ უცვლის წარმოდგენას კონსერვატიზმზე. სანებლიძემ მნიშვნელოვნად შეაფასა ერთ-ერთი თავი „ქართული კონსერვატიზმი“, რომელიც მისი თქმით, ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენის იდეაზეა დამყარებული.

პოეტმა ქეთი შენგელიამ კი, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩხეიძეების ნაშრომს ძალიან დროული და დიდი ფუნქციის მატარებელი უწოდა.

საგულისხმო გახლდათ ჟურნალისტ ვახტანგ ბახტაძის გამოსვლა, ვინც კონსერვატიზმზე დაწერილი ერთი სტატიის თარგმანიც გააცნო მსმენელს.

ლონისძიების დასასრულს ავტორებმა წიგნის შექმნის ისტორიაზე ისაუბრეს.

როგორც პაატა ჩხეიძემ აღნიშნა, საბჭოთა კავშირის დროს ინფორმაციული ვაკუუმიდან გამომდინარე, მას მცირე ინფორმაცია ჰქონდა კონსერვატიზმზე და მის მიმდევრებზე. მოგვიანებით, გაცვლითი პროგრამით ამერიკაში წასვლა მოუწია და იქ გაეცნო მნიშვნელოვან ლიტერატურას კონსერვატიზმის თემაზე. ამ მასალების მიხედვით შექმნილ ნაწერებს როსტომ ჩხეიძეს უგზავნიდა, რომელმაც წიგნის გამოცემისკენ უბიძგა.

— როდესაც საქმეს როსტომ ჩხეიძე მოჰკიდებს ხელს, იქ ყველაფერი შესანიშნავად გამოდის. სწორედ მან წამახალისა და ბოლოს გადავწყვიტეთ წიგნზე ერთობლივად გვემუშავა, — აღნიშნა პაატა ჩხეიძემ.

როსტომ ჩხეიძის ცნობით კი, როდესაც ბევრი საინტერესო ნათარგმნი მასალა დაგროვდა და წიგნის შედგენის ფორმაზე მსჯელობდნენ, გადაწყვიტეს ექვთიმე ათონელისეული თარგმანი გამოეყენებინათ და მკითხველისთვის გარკვეული ანალიზი და დამატებითი მასალები შეეთავაზებინათ, რამაც გაამართლა.

**მედიანიუსი**

# ნავთობის ფასი არასტაბილურობით გამოირჩევა

საქართველოს ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვარალაშვილის განცხადებით, ნავთობის ფასი ბოლო პერიოდში არასტაბილურობით ხასიათდება.

ორგანიზაციის განცხადებაში კი აღნიშნულია, რომ ოქტომბერში ნავთობის ფასი, ძირითადად, იზრდება. კერძოდ, თვის დასაწყისიდან 17 ოქტომბრის ჩათვლით, ლონდონში ბრინთ ქრად ტიპის ნავთობის ფასი ბარელზე 101,71-დან 110,16 აშშ დოლარამდე გაიზარდა. ნიუ-იორკის ბირჟაზე კი ლაით სვიჩ ქრად ტიპის ნავთობი ბარელზე 77,61-დან 86,38 დოლარამდე გაძვირდა.

ამავე ცნობით, რამდენიმე დღის წინათ დიდი ოცეულის ქვეყნების სამიტი გაიმართა, რომელიც ევროზონაში არსებულ ფინანსურ კრიზისს მიეძღვნა. მისმა მონაწილეებმა ევროპის ფინანსური სტაბილურობის ფონდის მიერ კრიზისის გაღრმავების თავიდან ასაცილებლად ახალი ზომების მიღებას დაუჭირეს მხარი.

მსოფლიოს სანავთობო სექტორში მომუშავე ინვესტორებმა ეს გარემოება პოზიტიურ სიგნალად აღიქვეს. ისინი მიიჩნევენ, რომ ახალი კრიზისის ნაცვლად, მსოფლიო ეკონომიკური ზრდის დონის შემცირება მოხდება.

ეს ფაქტორები კი ნავთობის ფასზე პირდაპირ გავლენას ახდენს. ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გამო წამყვანი საერთაშორისო ექსპერტები გრძელვადიან პერსპექტივაში ნავთობის ფასის პროგნოზს ვერ ახდენენ.

რაც შეეხება საქრათველოს საცალო ქსელს, აქ ფასის კორექტირება ბოლოს მიმდინარე წლის 3 ოქტომბერს მოხდა. ამ დღეს ყველა ტიპის საწვავი 5 თეთრით გაიაფდა. დღეისათვის ქვეყნის საცალო ქსელში 1 ლიტრი ბენზინი „სუპერი“ 2,25-2,30; „პრემიუმი“ – 2,18-2,25; „ევრორეგულარი“ – 2,05-2,10; „რეგულარი“ – 2,05; ევროდიზელი 2,30; ხოლო დიზელი (ლ-62) 2,10-2,15 ლარი ღირს.

**მედიანიუსი**

ჩვენს საყვარელ
**თამუნა ნინიძეს**
ვულოცავთ დაბადების დღეს!
ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას, წარმატებას ოჯახთან ერთად!
**„ახალი თაობა“**

# ხელისუფლებას ივანიშვილის შეეშინდა

ნათია ხურცილავა

**უკვე ცნობილი გახდა, რომ ბიძინა ივანიშვილი საქართველოს პრეზიდენტს საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის თხოვნით მიმართავს. ამ ინფორმაციას მისი მრჩეველი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ ბიგვავა ავრცელებს.**


გია ხუხაშვილი

როგორც ბიგვავა აცხადებს, საქმე სასამართლო წარმოებაშია, მაგრამ ბიზნესმენი თხოვნით მაინც მიმართავს პრეზიდენტს.

ბიგვავა არ გამორიცხავს, რომ ივანიშვილმა საფრანგეთის მოქალაქეობა ჩააბაროს და ამ შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტს არ ექნება საფუძველი, როგორც ბიგვავამ აღნიშნა, ივანიშვილს ქვეყნის მოქალაქეობაზე უარი უთხრას.

კიდევ ერთი განცხადება გია ხუხაშვილმა გააკეთა.

ექსპერტი გია ხუხაშვილი იმ ადამიანთა რიცხვშია, რომლებიც ბიძინა ივანიშვილის რჩეულთა სიაში არიან.

ხუხაშვილი უკვე შეხვდა ბიზნესმენს და მოლაპარაკებებიც გამართა.

ხუხაშვილი აცხადებს, რომ ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის გზებში საპროტესტო აქციები არ შედის.

ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის გზებში აქციები რომ არ შედის, ამის შესახებ, შეიძლება ითქვას, იქიდანაც არის ცნობილი, რომ ის დემოკრატიულ არჩევნებში სრული უმრავლესობით აპირებს გამარჯვებას. თუ თავად ვერ მიიღებს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას, მაშინ, როგორც „როიტერთან“ საუბარში აცხადებს, არჩევნები ლეგიტიმურად ვერ ჩაითვლება.

ექსპერტი ჟურნალისტებთან საუბარში ამბობს, რომ ბიძინა ივანიშვილს ყოველგვარი აქციების გარეშე სურს ხელისუფლებაში მოსვლა. მისივე თქმით, ივანიშვილი ხელისუფლების შეცვლას მხოლოდ არჩევნების გზით აპირებს და ამის თაობაზე ბიზნესმენმა მასთან შეხვედრაზეც აღნიშნა.

გია ხუხაშვილი ამბობს, რომ ხელისუფლება ივანიშვილს პროცესების რადიკალიზაციისკენ უბიძგებს.

ამის ერთ-ერთ მაგალითად ექსპერტს საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა მოჰყავს.

მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ გაიგო, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში აპირებს მოსვლას, არა სააკაშვილის გასაძლიერებლად და მისთვის გუნდრუკის საკმევლად, არამედ, არც მეტი, არც ნაკლები, მის ჩამოსაშორებლად ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ მას მოქალაქეობა ჩამოართვას, რაც, შეიძლება ითქვას, რომ ნონსენსად შეფასდა.

რატომ ჩამოართვა მოქალაქეობა ივანიშვილს ხელისუფლებამ? რაზე მიანიშნებს ეს?

პოლიტოლოგი გია ნოდია ხელისუფლების ამ ნაბიჯს ისტერიკულს უწოდებს.

არის თუ არა ხელისუფლება ისტერიკაში? რატომ ეშინა ხელისუფლებას ივანიშვილის?

ხელისუფლების სრულიად არაადეკვატურ ნაბიჯად და ჩვენ მიერ უკვე ნახსენებ ისტერიკად შეიძლება შეფასდეს ეკატერინე ხვედელიძისთვის, ბიძინა ივანიშვილის მეუღლისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა. ასეთი შეფასებები ექსპერტებმა უკვე გააკეთეს.

ექსპერტების ნაწილი ამბობს, რომ ხელისუფლებას შეეშინდა, ივანიშვილს მეუღლეზე არ მოეხდინა თავისი საქმიანობის გარკვეული ნაწილის დელეგირება და სწორედ ამიტომ შეუწყვიტა მას მოქალაქეობა.

რამდენად ადეკვატურია ხელისუფლება იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი დღით ადრე ყველაფერი რიგზეა, ყველაფერი რიგზეა მანამ, სანამ ხელისუფლების მყუდროებას არ ექმნება საფრთხე.

სანიმუშო, ღირსეული მოქალაქეობის სტატუსი ივანიშვილს ხელისუფლებამ ხელის ერთი მოსმით ჩამოართვა.

რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება ხელისუფლებამ? როგორც ექსპერტები ამბობენ, ამის მიზეზი მარგინალიზებული ოპოზიციის, ჩამკვდარი პოლიტიკური ცხოვრების ფონზე რეალური ალტერნატივის შექმნის რეალური წინაპირობაა.

რამდენად შეძლებს თითქმის 6 მილიარდამდე ამერიკული დოლარის მქონე ივანიშვილი ამის რეალობად ქცევას, ეს სხვა საქმეა.

შეძლებს ივანიშვილი, რომ რეალური პოლიტიკური ალტერნატივა შექმნას და, როგორც თავად ამბობს, დასავლეთიც გააკვირვოს ქართული დემოკრატიით.

რამდენად შეძლებს ამის რეალობად ქცევას ივანიშვილი, ექსპერტები ამბობენ, რომ ეს დამოკიდებულია არა მხოლოდ მასზე, არამედ ქართველ საზოგადოებაზე და ყველაზე მეტად იმ ადამიანებზე, რომლებიც მის გარშემო შეიკრიბებიან და რომელსაც ივანიშვილის გუნდი ეწოდება.

ჯერ კონსულტაციების პერიოდია და ივანიშვილის კარზე ერთმანეთს ენაცვლებიან ის ადამიანები, რომლებიც არცთუ ისე დიდი ხნის წინ სულ სხვა მენტალიტეტისა თუ პოლიტიკური ორიენტაციის ადამიანებზე დებდნენ ფსონს.

ბიძინა ივანიშვილი ჯერ ისევ არ გამოსულა სააშკარაოზე. ორიოდე ფოტოკადრის შემდეგ სააგენტო „როიტერმა“ მისგან ვრცელი ინტერვიუ მოიპოვა და ვიდეო კადრებთან ერთად ინტერვიუს ნაწილი გაავრცელა.

ექსპერტები ამბობენ, რომ ჯერ ისევ ივანიშვილის სასარგებლოდ მუშაობს მისი ერთგვარი მითოლოგიზება, მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ მისი ეს მდგომარეობაც უნდა დასრულდეს და ქართველი ჟურნალისტების კითხვებსაც უპასუხოს, საზოგადოების ინტერესები დააკმაყოფილოს.

უკვე ცნობილია, რომ ქართველი ჟურნალისტები შეძლებენ ივანიშვილისგან ინტერვიუს აღებას, მაგრამ ისევ გაურკვეველია, რა ფორმატით.

ექსპერტი გიორგი მარგველაშვილი აცხადებს, რომ ჯერ ივანიშვილს ქვეყნის განვითარების პოლიტიკური ხედვა, მისი პოლიტიკური პლატფორმა არ წარმოუდგენია.

დღემდე ორი საგაზეთო წერილი, რომლებიც ბიზნესმენმა გამოაქვეყნა, ქვეყნის შიგნით განვითარებული მოვლენების პოლიტიკური ანალიზი იყო. ასეთია გიორგი მარგველაშვილის შეფასება.

მნიშვნელოვანი განცხადება, რომელიც ექსპერტ გია ხუხაშვილთან ივანიშვილმა გააკეთა, ის არის, რომ ის ხელისუფლებაში აქციების გზებით არ აპირებს მოსვლას.

— ჩემთან შეხვედრისას ბიძინა ივანიშვილმა თქვა, რომ ხელისუფლების ცვლილება მხოლოდ არჩევნების გზით უნდა მოხდეს, მაგრამ, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ შეხვედრის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა მას მოქალაქეობა შეუწყვიტა. ცხადია, ხელისუფლება შეგნებულად უბიძგებს მას რადიკალიზაციისკენ და მოქალაქეობის შეწყვეტით მის ხელოვნურად პროვოცირებას ცდილობს, რომ ივანიშვილმა არაკონსტიტუციური ნაბიჯები გადადგას. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ივანიშვილი რაღაც მომენტში წყობიდან გამოვიდეს, ჩემი აზრით, საკუთარ პოლიტიკურ ინტერესებს ქვეყნის კეთილდღეობაზე მაღლა არ დააყენებს, — აღნიშნა ხუხაშვილმა.

ბიზნესმენის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ზურაბ ბიგვავამ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ 12-კაციანი მრჩეველთა საბჭო შეიქმნა, სადაც საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები შევლენ. მათ შორის არიან ბასა ჯანიკაშვილი, ზაზა შათირიშვილი, ირაკლი სესიაშვილი, გიორგი მარგველაშვილი, თუმცა, მან სააგენტო „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში განაცხადა, რომ ის არ არის საბჭოს წევრი.

# ციხის თანამშრომლებს დამატებით სამართლებრივ გარანტიებს უქმნიან

ციხის თანამშრომლებს დამატებით სამართლებრივ გარანტიებს უქმნიან. ამასთან დაკავშირებით ცვლილება „სისხლის სამართლის კოდექსში“ შედის.

კოდექსის მოქმედი რედაქციით, სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ამ დაწესებულების საქმიანობისათვის სხვაგვარად ხელის შეშლა ანდა ამ საქმიანობის დეზორგანიზაცია.

კანონპროექტით კი, სისხლისამართლებრივი პასუხიმგებლობა გავრცელდება პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების თანამშრომლის როგორც კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობაზე, ასევე მის მიმართ ძალადობაზე, ან მისი ან მისი ახლო ნათესავის მიმართ სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის ან ქონების დაზიანების მუქარაზეც.

კანონპროექტის ავტორი სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროა, ინიციატორები დეპუტატები პავლე კუბლაშვილი, კახაბერ ანჯაფარიძე, ზვიად კუკავა და ანდრო ალავიძე არიან.

კანონპროექტის განხილვა პარლამენტს ჯერ არ დაუწყია.

**ინტერპრესნიუსი**

# პროფკავშირები „ჰერკულესის“ ადმინისტრაციისგან მოლაპარაკებების დაწყებას მოითხოვენ

პროფკავშირები ქუთაისის მეტალურგიული ქარხნის „ჰერკულესის“ ადმინისტრაციისგან კოლექტიური მოლაპარაკებების დაწყებას მოითხოვენ.

ამის შესახებ გუშინ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე პროფკავშირის გაერთიანების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილმა განაცხადა.

პეტრიაშვილმა პრესკონფერენცია ადმინისტრაციული პატიმრობიდან გათავისუფლებულ ქუთაისის მეტალურგიული ქარხანა „ჰერკულესის“ პროფკავშირის წევრებთან ერთად ირაკლი იობიძესთან, ემილო გუმბერიძესთან და მალხაზ გოგიავასთან ერთად გამართა.

პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საჭიროა აღნიშნულ საწარმოში დასაქმებულთა შრომითი და სამართლებრივი უფლებების დაცვის მიზნით დაიწყოს ადმინისტრაციასთან კოლექტიური მოლაპარაკებები. პეტრიაშვილის თქმით, საწარმოს ადმინისტრაციამ უნდა დაასახელოს კონკრეტული ვადები იქ არსებული პრობლემების გადასაწყვეტად. მისივე განცხადებით, საწარმოში შრომის უსაფრთხოების თვალსაზრისით კატასტროფული მდგომარეობაა და ხშირია მუშების სამუშაოზე დაზიანების ფაქტები. ამასთან პეტრიაშვილმა აღნიშნა, რომ ქუთაისში გაერთიანებული პროფკავშირების იმერეთის ოფისი გაიხსნება, სადაც მათ წარმომადგენლებად იმუშავებენ ზემოთ დასახელებული პირები, კერძოდ ირაკლი იობიძე, ემილო გუმბერიძე და მალხაზ გოგიავა. თავის მხრივ, პრესკონფერენციაზე ირაკლი იობიძემ საზოგადოებას მათი აქციებისა და გაფიცვების მხარდაჭერისათვის მადლობა გადაუხადა.

**ინტერპრესნიუსი**

# აღსრულების პოლიციელს უფლებები ეზრდება

აღსრულების პოლიციელს პირის ადმინისტრაციული დაკავების, პოლიციაში წარდგენისა და პირადი და მისი ნივთების გაჩხრეკის უფლება მიეცემა. შესაბამისი ცვლილების შეტანა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში იგეგმება, რომლის ავტორი იუსტიციის სამინისტროა, ინიციატორები კი დეპუტატები: ზვიად კუკავა და ანდრო ალავიძე არიან.

კანონპროექტის თანახმად, როგორც სამართალდამცავი ორგანოს მუშაკის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის, ისე აღსრულების პოლიციელის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, პირის 400 ლარის ოდენობით დაჯარიმებას, ან 1-დან 6 თვემდე გამასწორებელ სამუშაოებს, ხელფასის 20 პროცენტის დაქვითვით, გამოიწვევს. თუ საქმის გარემოებათა და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით, ამ ზომების გამოყენება არასაკმარისად იქნება მიჩნეული, პირს 90 დღემდე ადმინისტრაციული პატიმრობა დაემუქრება.

კანონპროექტი პარლამენტში უკვე ინიცირებულია.

**მედიანიუსი**

# ეროვნულმა მუზეუმმა საუკეთესო მხატვრები გამოავლინა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს ეროვნულმა გალერეამ ხატვის ფესტივალი ჩაატარა. პროექტის „მე – მხატვარი“ მეორე ეტაპი ეროვნული გალერეის მიმდებარე ტერიტორიაზე, ალექსანდრეს ბაღში, ღია ცის ქვეშ გაიმართა.

ფესტივალში მონაწილეობას იღებდნენ თბილისის სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც გაიარეს ეროვნული გალერეის პროექტის პირველი ეტაპი – სპეციალური ტური. ტური გამოფენის დათვალიერების პარალელურად, სკოლის მოსწავლეების ჩართვას გულისხმობდა სხვადასხვა შემეცნებით-გასართობ აქტივობებში. გალერეის ტურებში მონაწილება უკვე მიიღო თბილისის სკოლების 1200-ზე მეტმა მოსწავლემ. მათთან ერთად, ფესტივალში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ გალერეის ნებისმიერი ასაკის დამთვალიერებელს, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს ერთი თემის ირგვლივ „ჩემი რჩეული ნამუშევარი“ გამოეხატათ თავისი შთაბეჭდილება.

გალერეის ორგანიზატორებმა უზრუნველყვეს კრეატიული გარემოს შექმნა და მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელებისთვის საჭირო სრული ეკიპირება. პროექტის მესამე ეტაპის თანახმად, მონაწილეთა მიერ ხატვის ფესტივალზე შესრულებული ნამუშევრები ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა გალერეაში გამოიფინა.

– პროექტის მიზანი განახლებულ ეროვნულ გალერეაში წარმოდგენილი გამოფენის მიმართ ინტერესის გაღვივებაა. სწორედ ამიტომ, საზოგადოების და განსაკუთრებით, მოზარდების დაინტერესებისთვის საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანმანათლებლო დეპარტამენტმა დაიწყო აღნიშნული პროექტი „მე მხატვარი“, რაც კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის, დაინტერესებისა და ცნობიერების ამაღლების პარალელურად, ახალგაზრდების ჩართულობას უზრუნველყოფს.

პროექტის ავტორი და ორგანიზატორია საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანმანათლებლო დეპარტამენტი, პარტნიორები კი არიან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, თბილისის მერია და ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშთა გალერეა, – განაცხადა ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელმა ანა ვერულაშვილმა.

ფესტივალი „მე – მხატვარი“ ბრიტანეთში 2000 წელს დაარსებული ერთდღიანი ღონისძიება „ბიგ დრავის“ ქართული ვერსიაა. ბრიტანეთში ის ძალიან მალე ერთთვიან, ყოველწლიურ ფესტივალად გადაიქცა. გასულ წელს ინგლისში „ბიგ დრავის“ ფესტივალში მონაწილეობა 300 000 სხვადასხვა ასაკის ადამიანმა მიიღო. ეს პოპულარული პროექტი გასცდა ბრიტანეთის საზღვრებს და ევროპის ქვეყნებში, ავსტრალიასა და ამერიკაში, განსხვავებული ინტერპრეტაციით ხორციელდება. საერთოა მხოლოდ იდეა – ხატვის პოპულარიზაცია თანამედროვე სამყაროში, დევიზით „ხატვა ყველასთვის“. ეროვნული მუზეუმი პარტნიორებთან ერთად გეგმავს ამ ღონისძიების დამკვიდრებას საქართველოშიც.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი მომავალ თაობებზე სხვა კუთხითაც ზრუნავს. ამიერიდან მუზეუმში მისულ ყველა მოსწავლეს განმეორებითი ვიზიტისათვის უფასო ბილეთები გადაეცემა. აქციის პრეზენტაცია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეროვნულ გალერეაში შედგა.

– 2011 წლის 12 ოქტომბრიდან საქართველოს ეროვნული მუზეუმის გაერთიანებაში შემავალ თბილისის ყველა მუზეუმში მოსულ და საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილე ყველა სკოლის მოსწავლეს გადაეცემა უფასო ბილეთი – განმეორებითი ვიზიტისათვის. „უფასო“ ბილეთის საშუალებით მოსწავლეს საშუალება ეძლევა მუზეუმში მოვიდეს ხელმეორედ. აღნიშნული ბილეთის წარდგენისას მოსწავლე თავისუფლდება ბილეთის საფასურისგან. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ამოცანაა აღნიშნული აქციით მუზეუმში მოსულ სკოლის მოსწავლეებს მიეცეთ სტიმული, რათა ხელმეორედ ეწვიონ ჩვენს გამოფენებს. აღნიშნული ბილეთი ერთჯერადად იმოქმედებს 2012 წლის 1 მაისამდე საქართველოს ეროვნული მუზეუმის გაერთიანებაში შემავალ შემდეგ მუზეუმებში – სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი, ეროვნული გალერეა, გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი და ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმი, – განაცხადა ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელმა ანა ვერულაშვილმა.

ხატვის ფესტივალის ჩატარებისა და მოსწავლეებისთვის უფასო ბილეთების გადაცემის პარალელურად, ეროვნულმა მუზეუმმა თბილისის ისტორიის მუზეუმში მხატვარ ირაკლი მაისურაძის ნამუშევრები გამოფინა.

– მის შემოქმედებაში დომინირებს სისადავე, გეომეტრიული კომპოზიციის ხედვა, მოქნილი და უცნაური ხელწერა. გამოფენაზე წარმოდგენილია ირაკლი მაისურაძის ნახატები, რომელთა ფილოსოფიური ჟღერადობა ხელოვნებათმცოდნეებისთვის სიმბოლოებით აზროვნების მანიშნებელია. ირაკლი მაისურაძე 1988 წლიდან მართავდა პერსონალურ გამოფენებს და მისი ხელოვნება ყოველთვის კონცეპტუალური იყო. 1992 წელს, პერსონალური გამოფენა სერიებიდან ,,ნეოკათარზისი“, ,,დაბრუნება“ და ,,დიდი საიდუმლო“, ფილოსოფიური რეალიზმის თემას უდებს სათავეს. მხატვარმა შექმნა შემდეგი სერიები ,,ლოკალური მეტამორფოზა“, ,,დიდი გამოცდა“, ,,არჩევანი“ მონაწილეობდა თანამედროვე ხელოვნების პირველ საერთაშორისო ბიენალეში საქართველოში. ირაკლი მაისურაძე მონაწილეობას იღებდა ჯგუფურ გამოფენებში თბილისში, მოსკოვში, ვენაში, უტრეხტში. მისი სერიები რთული აზროვნების სისტემას განავითარებდნენ და დამთვალიერებელს ახალ სივრცესთან ერთად, მთლიანობის აღქმას სთავაზობდნენ. ბოლო პერიოდში, გარდაცვლებამდე ქმნიდა ხატებს, – განაცხადა ანა ვერულაშვილმა.

ირაკლი მაისურაძის ნამუშევრები თბილისის ისტორიულ მუზეუმში 18 ოქტომბერამდე დარჩება.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით კი იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმში ქართველი კარიკატურისტი მხატვრების ექსპოზიცია გაიხსნა. გახსნას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე მაკო ჭოლოშვილი, მხატვრები, მოწვეული სტუმრები, კარიკატურის მოყვარული დამთვალიერებლები ესწრებოდნენ.

– ჯემალ ლოლუას, მურთაზ აბაშიძისა და ვახტანგ კუციას 1975 წლიდან 2000 წლამდე შესრულებულ ნამუშევრებთან ერთად ქარვასლაში ახალგაზრდა მხატვრების ზურაბ და ზაალ სულაკაურების, მანანა ქავთარაძისა და ია გოგილაშვილის კარიკატურებიც გამოიფინა. ქარვასლის საექსპოზიციო კოლექცია ჟურნალ „ნიანგის“ ყოფილი კორესპონდენტის, ჟურნალ „სიცილიას“ დამფუძნებლისა და მთავარი რედაქტორის, მწერალ თეიმურაზ გძელიძის პირადი არქივის ნაწილია. თეიმურაზ გძელიძის კოლექციაში დაცული ათობით ნამუშევრიდან, მწერლის მეუღლის სულიკო კერესელიძის მიერ საგამოფენოდ 300 შეირჩა. გასული და 21-ე საუკუნეების საუკუთესო კარიკატურების დამთვალიერებელმა დადებითად შეაფასა, – განაცხადა ანა ვერულაშვილმა.

# ბაგრატიონების საფლავებს ანადგურებენ

## სულხან-საბას საფლავი საფრთხეშია

ეკა ირემაშვილი

რუსეთში ბაგრატიონების საფლავებს ანადგურებენ. ამის შესახებ უკვე აქტიურად საუბრობენ რუსული მედიასაშუალებები. მოსკოვის შემოგარენში ქართული სამეფო დინასტიის საფლავებს ანადგურებენ. სოფელ ვსესვიატსკოეში, იქ ,სადაც ივანე მრისხანის მმართველობის დროიდან სამეფო ოჯახის წევრებსა და დიდგვაროვნებს ასაფლავებდნენ, სამეურნეო საწყობებს აგებენ. მშენებლობა ადგილობრივი ტაძრის მსახურებმა წამოიწყეს, რომლებიც მაღალჩინოსნებისა და არქეოლოგების პროტესტს არ ითვალისწინებენ და აცხადებენ, რომ კარტოფილის შესანახი ადგილი არ აქვთ.

სოფელ ვსესვიატკოეში ქართველი მეფის არჩილ მეორის შთამომავლები არიან დაკრძალული, სწორედ მათ ააგეს ადგილზე ქვის ტაძარი. იქვე იყო ივანე ბაგრატიონის საფლავიც, რომელიც უკვე გადაიტანეს და მის ადგილას ბეტონის ნაგებობა აღმართეს.

ქართველმა არქეოლოგმა, ისტორიკოსმა და ჟურნალისტმა გიორგი რამაზაშვილმა დაგეგმილი მშენებლობის შესახებ ჯერ კიდევ გასულ წელს შეიტყო და მოსკოვის კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტს მიმართა, თუმცა უწყების დადგენილება ტაძრის მსახურებმა მაინც არ გაითვალისწინეს.

ინფორმაცია რუსეთში მდებარე ბაგრატიონთა საფლავების განადგურების შესახებ აქტუალური გასულ კვირას გახდა. მაშინ გაირკვა, რომ შვეიცარიის საელჩოში საქართველოს ინტერესების სექცია ვერ აკონკრეტებდა, შეძლებდა თუ არა რუსეთში, დაბა ვსესვიატკოეში სულხან-საბა ორბელიანის საფლავის მდგომარეობასთან დაკავშირებით ინფორმაციის გარკვევას. ქართული მხარე ყველაფერს შვეიცარიის მხარის მეშვეობით ახორციელებს. ამ ინფორმაციის აქამდე ცნობილი არ იყო. ქართული მხარე ახლა უკვე ინფორმირებულია და ცდილობს, გაერკვეს საქმის ვითარებაში.

რუსულმა მედიასაშუალებებმა ჯერ კიდევ 6 ოქტომბერს გაავრცელეს ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ბაგრატიონთა უძველეს საფლავს რუსეთში, დაბა ვსესვიატკოეში საფრთხე ემუქრება. დარეჯან დედოფლის მიერ აგებულ ყველაწმინდას სახელობის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც სულხან-საბა ორბელიანი და სხვა ქართველი მოღვაწეები არიან დაკრძალული, მოსკოველმა მაღალჩინოსნებმა უკანონო მშენებლობა აღმოაჩინეს.

საყოფაცხოვრებო დანიშნულების ერთსართულიან ბეტონის ნაგებობებზე არავითარი სამშენებლო ნებართვა არ არსებობს. ტაძარი რუსეთის ფედერაციის დაცული ძეგლების ნუსხაშია, რის გამოც მოსკოვის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დეპარტამენტმა შენობების აღების გადაწყვეტილება მიიღო და ობიექტის მეპატრონეს მის ასაღებად ვადა 21 ნოემბრამდე მისცა.

ტაძარი ვსესვიატკოეში მეფე არჩილ მეორის ქალიშვილის, დარეჯან ბატონიშვილის ძალისხმევით 1733-1736 წლებშია აშენებული. ის მამასთან ერთად საქართველოდან რუსეთში იყო გადახვეწილი და ერთი წელი ვსესვიატსკოეში ცხოვრობდა. იმ პერიოდში ტაძარში ღვითსმსახურება ქართულად აღევლინებოდა. იქვეა სასაფლაოც, სადაც დაკრძალულნი არიან ბაგრატოვანთა დინასტიის წარმომადგენლები და სხვა ქართველი დიდგვაროვნები. მათ შორის, სულხან-საბა ორბელიანი და გენერალ პეტრე ბაგრატიონის მამა – იოანე ბაგრატიონი. სასაფლაო რუსეთის მთავრობის განკარგულებით 1982 წელს ოფიციალურად გაუქმდა, თუმცა დღემდე შემორჩენილია საფლავის ქვები და მონუმენტი, რომელიც პეტრე ბაგრატიონმა მამამისის საფლავზე აღმართა.

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)

## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

● მუხრან-თელეთში 275 კვ. მ საცხოვრებელი სახლის თეთრ კარკასს, მონტერეის გადახურვით, საკუთარი წყლით, ბუნებრივი აირით, 600 კვ. მ მიწის ნაკვეთით, თბილისიდან 20 კმ-ში. შესაძლებელია განვადება. ტელ.: 790-55-58-62; 577-42-41-22. გიორგი.

● ავერლოკი ტოიოტა, უხმარი, ოთხძაფიანი, ფასი: 539 ლარი. საკერავი მანქანა, გერმანული, უხმარი, 21 ოპერაცია, ფასი: 419 ლარი. ტელ: 790-75-45-78. 571-75-45-77. 557-59-97-54. ზურა.

● იაფად ფინურად დახურული სახლი, 2000 კვ. მ. ნაკვ. ხეხილით, ეზოში არის ორი დიდი კაკლის ხე. ფასი: 3000 დოლ. ხარაგაული, სოფ. სარგვეთი. 8-790-56-48-75.

● სააგარაკე მიწის ნაკვეთი, სახლის პროექტით. ეზოში არის პატარა შენობა. 700 კვ. მ ნაკვ. ნაძვნარში. იქვე მტკვარი. იაფად. ფასი: 7000 დოლ. ბორჯომი, ახალდაბა. 8-790-56-48-75.

● მუხიანის ტერიტორიაზე მაქვს მიწის ნაკვეთი 2000 კვ. მ, თავისი კეთილმოწყობილი ფერმით 30 ძროხაზე და 20 დედა ღორზე გათვლით. ვეძებ პარტნიორს 50-50%-ზე. 593-34-00-25. ჯემალი.

● სასწრაფოდ 2-სართულიანი კერძო სახლი 260 კვ. მ, სარდაფი – 130 კვ.მ, ეზო აუზით 450 კვ.მ. მეტრო „სარაჯიშვილთან“. ფასი: 180.000. ტელ: 577-77-93-65.

## განცხადებები

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით. მცენარეული ვიტამინების, მინერალების და ამინომჟავების კომპლექტი პლუს ვარჯიშები, 100%-იანი შედეგით, უკუჩვენების გარეშე. ტელ: 257-66-90 (საღამოს); 593-44-58-65 ექიმი ქ-ნი დეა.

● მკურნალობა უმაღლესი შედეგებით: ოსტეოქონდროზი, სმენისა და მხედველობის დაქვეითება, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, უძილობა, კუჭ-ნაწლავის დაავადებები, რადიკულიტი, ჰეპატიტი, სახსრების დაავადება, კიდურებში სიცივე და დაბუჟება, მასტიტი, ნეფრიტი, შარდსასქესო სისტემის დაავადებები, პროსტატიტი, ნეიროდერმიტი და სხვა. ტელ: 595 45 50 35; 599 97 85 46 ბ-ნი ლევანი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

# მანჩინის სიტიში დარჩენა სურს, ტევესს ბოკა ეპატიჟება


რობერტო მანჩინი

**46 წლის იტალიელმა სპეციალისტმა რობერტო მანჩინიმ „ვილიარეალთან“ მატჩის წინ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ კლუბში დარჩენას კიდევ დიდხანს აპირებს.**

– აქ მომწონს. მსურს დიდხანს დავრჩე, მაგრამ ფეხბურთში ყველაფერი სწრაფად იცვლება. საკმარისია სამი-ოთხი თამაში წააგო, რომ ყველაფერი შეიცვლება. თუმცა ჯერჯერობით კარგად ვმუშაობთ. „სიტიში“ მრავალი წლის მანძილზე სიამოვნებით დავრჩებოდი. მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ კონტრაქტით კიდევ ერთი წელი მრჩება, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობასთან მისი გაგრძელების შესახებ არ მისაუბრია. თუმცა, ჯერჯერობით ეს მნიშვნელოვანი არაა, – განაცხადა მანჩინიმ.

შეგახსენებთ, რობერტო მანჩინი „სიტის“ 2009 წელს ჩაუდგა სათავეში და მარკ ჰიუზი შეცვალა.

მანჩინიმ ისიც კარგად იცის, რასაც ნიშნავს ცხრილის სათავეში მოქცევა და არანაკლებ კარგად მოეხსენება, იქ დარჩენა როგორ უნდა. იტალიელ სპეციალისტს იმედი აქვს, რომ ისტლენდელებთან ერთად გააკეთებს იმავეს, რაც ადრე, იტალიაში, „ინტერთან“ ერთად გაუკეთებია. მოგეხსენებათ, შაბათს, „ასტონ ვილას“ შთამბეჭდავად, 4:1 დამარცხებამ „სიტი“ პრემიერლიგის ცხრილის სათავეში გადაიყვანა. რვა ტურის შემდეგ „სიტი“ თანაქალაქელ „იუნაიტედს“ ორი ქულით უსწრებს, დანარჩენი კი მომდევნო კვირას, „ოლდ ტრეფორდზე“, მათ უშუალო დაპირისპირებაში გაირკვევა.

– ჩემს გუნდში ყველამ უნდა გაიგოს, რომ თუ პირველ ადგილზე დარჩენა გვინდა, ერთ მარტივ წესს უნდა მივსდიოთ – მეტოქეები უნდა დავამარცხოთ. თუ ასე არ მოვიქცევით, ყველაფერი შეიცვლება. „ინტერთან“ ერთად სამჯერ გავხდი იტალიის ჩემპიონი და აქედან ორჯერ პირველ ადგილზე მეექვსე თუ მეშვიდე ტურის შემდეგ გადავედით, მერე კი ეს პოზიცია შევინარჩუნეთ. რასაკვირველია, ყველაფერს სჯობს, როდესაც მთელი სეზონის განმავლობაში პირველ ადგილზე მიდიხარ და თან მდევარს შვიდი-რვა ქულით უსწრებ, მაგრამ ამაზე ფიქრი არ შეიძლება. მთავარია ყოველი ტურის შემდეგ ინარჩუნებდე ლიდერობას. ფანებს უხარიათ „მანჩესტერ სიტი“ პირველ ადგილზე რომ გადავიდა და სრული უფლება აქვთ გუნდისგან სწორედ ამას ითხოვდნენ. ჩვენც ამისათვის ვმუშაობთ და ყველა ღონეს ვიხმართ, ლიდერობა რაც შეიძლება დიდხანს რომ შევინარჩუნოთ, – აღნიშნა მანჩინიმ.

აღსანიშნავია, რომ „სიტის“ ასე კარგად სეზონი არასდროს დაუწყია. ისტლენდელებმა რვა ტურიდან შვიდში გაიმარჯვეს, ერთში კი ფრედ ითამაშეს.

ბრიტანული მედია წერს, რომ შაბათის გამარჯვება ყველაფერთან ერთად კიდევ ერთი მესიჯი იყო 27 წლის არგენტინელი თავდამსხმელისთვის, კარლოს ტევესისთვის, რომ გუნდი მის გარეშეც შესანიშნავად გრძნობს თავს. თუმცა, მანჩინიმ ტევესის თემაზე ლაპარაკს თავი აარიდა. მან თქვა, რომ „სიტიმ“ ჩემპიონატი ლონივრად დაიწყო და ეს ყველაფერზე მნიშვნელოვანია.

რაც შეეხება ტევესს: არგენტინული კლუბის „ბოკა ხუნიორსის“ ვიცე-პრეზიდენტმა ხოსე ბერალდიმ განაცხადა, რომ „მანჩესტერ სიტიდან“ კარლოს ტევესის შეძენას შეეცდებიან.

– ჩვენ შევეცდებით „სიტის“ კარლოს ტევესის თაობაზე მოველაპარაკოთ. მესმის, რომ ეს იოლი არ იქნება, მაგრამ მაინც ვცდით. თუ კარლოსი „ბოკაში“ დაბრუნებას გადაწყვეტს, ჩვენი კარი მისთვის ყოველთვის ღიაა, რადგან ის ჩვენი აღზრდილია, – წერს ბერალდის სიტყვებს ბრიტანული გამოცემა გარდიანი.

შეგახსენებთ, რომ ტევესმა ჩემპიონთა ლიგაში მიუნხენის „ბაიერნთან“ მატჩის დროს, შეცვლაზე მოედანზე შესვლაზე უარი თქვა, რის გამოც, კლუბმა არგენტინელი ფეხბურთელი ორკვირიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. 27 წლის ფორვარდს „სიტისთან“ პრობლემები ადრეც ჰქონია და სასურველი თანხის მიღების შემთხვევაში, არგენტინელის გაყიდვაზე უარს არ იტყვიან.

ტევესი „ბოკაში“ 2001-2005 წლებში თამაშობდა და 75 შეხვედრაში 26 გოლი გაიტანა.

# სტივ ჯერარდი: „კარიერის დასრულებას „ენფილდზე“ ვფიქრობ“

გასულ უიქენდზე ევროპაში რამდენიმე გამორჩეული მატჩი ჩატარდა, ერთ-ერთი მათგანი ინგლისურ პრემიერლიგაში გაიმართა – ლივერპული-მანჩესტერი. „ენფილდზე“ ინგლისის 2 ყველაზე ტიტულოვანი გუნდის დაპირისპირებამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა, რამაც საპრემიერლიგო სატურნირო მდგომარეობა კიდევ უფრო დამაინტრიგებელი გახადა.

ეს მატჩი იმითიც იყო გამორჩეული, რომ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ სასტარტო შემადგენლობაში გამოჩნდა მერსისაიდელთა კაპიტანი სტივენ ჯერარდი, რომელმაც მატჩის შემდეგ ვრცლადაც ისაუბრა.


სტივ ჯერარდი

***– 6 მარტს „მანჩესტერ იუნაიტედი“ 3:1 დაამარცხეთ, თქვენთვის კი ეს მატჩი ცუდ მოსაგონებლადაც იქცა – მას შემდეგ მინდორზე გასვლას კარგა ხნის განმავლობაში ვერ ახერხებდით. ტრავმა არცთუ დიდი ხნის წინ მოირჩინეთ და კენი დალგლიშმა სასტარტო შემადგენლობაში მიმდინარე პრემიერლიგაში პირველად დაგაყენათ. „ენფილდზე“ „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ 90 წუთი გაატარეთ. ფიზიკურად არ გაგიჭირდათ?***

– რთული ოპერაცია გადავიტანე, მაგრამ აღდგენითმა პროცესმა კარგად ჩაიარა და ვფიქრობ, სადღეისოდ ნორმალურ ფიზიკურ კონდიციებში ვარ. რაც მთავარია, ტკივილის გრძნობა აღარ მაწუხებს. სასიამოვნოა, რომ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ძირითად შემადგენლობას სწორედ „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ ჩატარებულ შეხვედრაში რომ დავუბრუნდი. აქამდე დალგლიშს მხოლოდ შეცვლებზე შევყავდი სათამაშოდ. სიმართლეს ვიტყვი, სერ ალექსის გუნდის წინააღმედეგ 90 წუთის განმავლობაში თამაშმა ძალიან დამღალა და მატჩის შემდეგ ლამის მუხლები მომეკვეცა. ამაში გასაკვირი არაფერია. ჩვენი კლუბის სამედიცინო შტაბის წევრებმა მითხრეს, კიდევ კარგად გაუძელი ესოდენ დიდ დატვირთვასო. მათივე თქმით, ამიერიდან წვრთნებზე კიდევ უფრო მეტი დატვირთვით უნდა ვიმუშავო, რაც ოპტიმალური ფორმაში მალე შემიყვანს. თუმცა, ამას მხოლოდ ვარჯიშებით ვერ მივაღწევ. აუცილებელია რეგულარული თამაში და იმედი მაქვს, რომ კენი დალგლიში მომდევნო მატჩებშიც ნდობას გამომიცხადებს და 2-3 შეხვედრის შემდეგ ძველებურ კონდიციას დავიბრუნებ. ამ ეტაპზე უმთავრესი კი ისაა, რომ ჩემმა ორგანიზმმა ურთულესი მატჩის დატვირთვას ბოლომდე გაუძლო. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ საფეხბურთო კარიერის რთული პერიოდი უკან მოვიტოვე. ვერ წარმოიდგენთ, როგორი ძნელია საკუთარი თანაგუნდელების ასპარეზობისთვის ტრიბუნიდან თვალის მიდევნება და იმის შეგრძნება, რომ „ლივერპულს“ ვერაფრით დაეხმარები. იმედია, სეზონის ბოლომდე რეგულარულად ვითამაშებ და ტრავმიანობა ერთხელ და სამუდამოდ ისტორიას ჩაბარდება.

***– რამდენად კმაყოფილი დარჩით მატჩის მსვლელობით და საბოლოო ანგარიშით?***

– გაორებული გრძნობით ვარ. მშვენიერია, სასტარტო შემადგენლობაში რომ ვითამაშე და გოლიც გავიტანე, მაგრამ მეორეს მხრივ, მიზნად ლიდერებთან ჩამორჩენის შემცირება გვქონდა დასახული, მაგრამ ამ ამოცანის გადაჭრა ვერ მოვახერხეთ. ამით გულშემატკივარსაც დავწყვიტეთ გული, მაგრამ ქომაგებს ვპირდები, რომ „ლივერპული“ სადღეისოდ დაკავებულ მეხუთე ადგილს არ დასჯერდება.

***– მატჩის წინ თუ ფიქრობდით, რომ გოლის გატანას შეძლებდით?***

– ამაზე ყოველი კონკრეტული თამაშის წინ ვფიქრობ. ჩემ მიერ გატანილ გოლს რაც შეეხება, საჯარიმოს დარტყმა სხვაგვარად მქონდა ჩაფიქრებული. მინდოდა ბურთი „ცოცხალი კედლის“ ზემოთ გამეშვა, მაგრამ ბურთი შედარებით უფრო დაბალი ტრაექტორიით წავიდა. თუმცა, „მანჩესტერის“ მცველებმა იგი გაატარეს და ანგარიშიც გავხსენი. ანალოგიური ბურთი გავიტანე „ოლდ ტრაფორდზე“ პრემიერლიგის წინა ჩემპიონატის მატჩში.

***– უახლოეს პერიოდში „ლივერპულს“ რა პერსპექტივა ელის?***

– გუნდი თანდათან საუკეთესო ფორმაში უნდა შევიდეს და საამისოდ კარგი საწინდარი აქვს – მომდევნო 3 ტურში „ნორვიჩთან“, „ვესტ ბრომვიჩსა“ და „სუონსისთან“ ქულათა მაქსიმალური რაოდენობა უნდა ვილოთ, რაგან შემდეგ კი ურთულესი მატჩები გველის – ჯერ ლონდონურ „ჩელსის“ შევხვდებით, შემდეგ კი მანჩესტერულ „სიტის“. სწორედ ამ პრინციპული დაპირისპირებების შემდეგ რეალურად გამოჩნდება, რა შეეძლება „ლივერპულს“ პრემიერლიგის მიმდინარე გათამაშებაში.

***– რაა საჭირო „ლივერპულის“ „ძველი დიდების“ დასაბრუნებლად?***

– სტაბილურობა. კენი დალგლიშის მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ გუნდმა ამ მიმართულებით ძვრები უკვე გადადგა. გავიხსენოთ „ლივერპულის“ თამაში თუნდაც წინა პრემიერლიგის მეორე ეტაპზე. უფრო კონკრეტულად კი, შედეგიანობა უნდა გავზარდოთ. „ლივერპულს“ საამისო პოტენციალი ნამდვილად გააჩნია.

***– „ლივერპულთან“ კონტრაქტს ვადა 2013 წელს გაუდის, თუმცა, კლუბის ხელმძღვანელობამ გააჟღერა ინფორმაცია, რომ მალე თქვენთან ახალ ხელშეკრულებას გააფორმებს.***

– 31 წლის ვარ და „ლივერპულის“ გარდა სხვა კლუბის მაისური არასდროს ჩამიცვამს. ცხადია, კარიერის დასრულებასაც „ენფილდზე“ ვფიქრობ. რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, კონტრაქტის გაგრძელების იდეა კენი დალგლიშისგან მოდის. დიდი მადლობა მსურს ვუთხრა ჩვენ მთავარ მწვრთნელს გამოცხადებული ნდობისთვის, მე კი ყოველთვის ვეცდები მის ნდობას კარგი თამაშით ვუპასუხო და გულშემატკივრები გავახარო.

# ტრაგედია ტრასაზე

ტრაგედია დატრიალდა ლას ვეგასში, სადაც ინდიქარის წლევანდელი სეზონის დამამთავრებელ რბოლაში მომხდარმა ავარიამ, რომელშიც 15 მანქანა დაიმტვრა, ინდი 500-ის ორგზის გამარჯვებულის და ინდიქარის 2005 წლის ჩემპიონის, ბრიტანელი დენ უელდონის სიცოცხლე შეიწირა.

ლას ვეგასის „მოტორ სპიდუეიზე“ რბოლის მე-13 წრეზე, პელოტონის შუაში მიმავალმა ერთ-ერთმა მანქანამ მოულოდნელად იცვალა ტრაექტორია, რომელსაც უმალ უკნიდან მიმავალი მანქანა შეეჯახა. მოულოდნელად წარმოქმნილ ავარიას კი რამდენიმე პილოტმა ვერ დააღწია თავი – სულ ავარიაში 15 მანქანა მონაწილეობდა, რომელთა უმეტესობაც სერიოზულად დაშავდა.

ავარიის მომენტში, როდესაც მანქანები დაახლოებით 360 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობდნენ, უელდონი პელოტონის უკანა რიგებში იმყოფებოდა. ის ერთ-ერთ წინ მიმავალ და დატრიალებულ მანქანას შეეჯახა, რამაც მისი მანქანა ჰაერში ააგდო და რამდენიმე ბრუნის შემდეგ ბეტონის კედელს მიანარცხა. უელდონის გარდა, სერიოზულ ტრავმას ყველა გადაურჩა. სამწუხაროდ, ბრიტანელმა თავის მძიმე ტრავმები მიიღო – კედელთან შეჯახებას მისი ავტომობილის დამცავმა რკალმა ვერ გაუძლო. უელდონი მაშინვე ლას ვეგასის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრში გადაიყვანეს, მაგრამ სამწუხაროდ, უკვე გვიანი იყო...

რა თქმა უნდა, რბოლა შეწყდა და არ განახლებულა. მოგვიანებით, მრბოლები თავიანთი ბოლიდებით ტრასას დაუბრუნდნენ და დაღუპული კოლეგისთვის და მეგობრისთვის პატივის მისაგებად ოვალს ხუთჯერ შემოუარეს. ბოქსში დაბრუნების შემდეგ, ინდი 500-ის ორგზის გამარჯვებული და ინდიქარის სერიის ოთხგზის ჩემპიონი შოტლანდიელი დარიო ფრანკიტი მანქანიდან ძლივს ამოვიდა და ბავშვივით ტიროდა.

უელდონი თანმედროვე ინდქარის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურა იყო. 33 წლის ასაკში, ლეგენდარული ინდი 500 მას ორჯერ, 2005 და 2011 წლებში ჰქონდა მოგებული. 2005 წლის სეზონში კი ინდიქარის ჩემპიონიც გახდა. ცნობისათვის, წელს ინდი 500-ს 100 წელი შეუსრულდა და უელდონმა სწორედ ეს საიუბილეო რბოლა მოიგო. თანაც, სრულიად შემთხვევით – 800-კილომეტრიანი რბოლის ბოლო მოსახვევში ავარია მოუვიდა რბოლის ლიდერ ჯეი არ ჰილდებრანდს, რისი წყალობითაც, ფინიშის ხაზი პირველმა უელდონმა გადაკვეთა... უელდონს ინდიქარში სულ 16 რბოლა აქვს მოგებული, 2003 წელს კი, სერიის საუკეთესო ახალბედად დაასახელეს. ინდიზე გამარჯვების მიუხედავად, უელდონს ამ სეზონში აღარ უასპარეზია და მას შემდეგ ეს მისი მეორე რბოლა იყო...

– რბოლები ძალიან მიყვარს, მაგრამ ასეთ ავარიებზე იგივეს ვერ ვიტყვი. სხვისი უმნიშვნელო შეცდომა ასე ძვირი დაჯდა. სულ რამდენიმე წუთის წინ, მრბოლთა წარდგენისას, ერთად ვიცინოდით, ახლა კი ის აღარ არის. ექვსი წლის იყო, როდესაც პირველად შევხვდი. მერე კი თანაგუნდელებიც გავხდით. რბოლების დროს ერთმანეთს არ ვზოგავდით, დღეს კი ამ ყველაფერმა უეცრად დაკარგა ფასი, – განაცხადა ფრანკიტიმ.

# რაგბი ავჭალის კოლონიაში

**პროექტი – რაგბი არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის – გზა საზოგადოებაში რეინტეგრაციისკენ. პროგრამა ხორციელდება საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, რაგბის კავშირისა და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით.**


ხათუნა კალმახელიძე

2011 წლის აპრილიდან ავჭალის არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში მიმდინარეობს რაგბის გაკვეთილები, რომელში მონაწილეობაც 60-მა ახალგაზრდამ მიიღო. რაგბის სწავლება აღნიშნული დაწესებულების არასრულწლოვანთათვის ნოემბრის ბოლომდე გაგრძელდება.

რაგბი და ზოგადად სპორტი არის საუკეთესო გზა იმისათვის, რომ მოზარდები ავარიდოთ დანაშაულებრივ ქცევას და მათში პოპულარული გავხადოთ ცხოვრების ჯანსაღი სტილი, საფუძველი ჩავუყაროთ ისეთი ფასეულობების გაძლიერებას, როგორიცაა მოწინააღმდეგის პატივისცემა, წაგების ღირსეულად მიღება, ურთიერთმხარდაჭერა და გუნდური სულისკვეთება. ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ავჭალის დაწესებულებაში მყოფი ახალგაზრდების რეაბილიტაციას და საზოგადოებაში რეინტეგრაციას.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მიმართებით საერთაშორისო სტანდარტების დაცვას ითვალისწინებს. 17 ოქტომბერს, სასტუმრო თბილისი მერიოტში, პროექტის პრეზენტაცია-გამოფენა მოეწყო, სადაც პროექტის ორგანიზატორებმა ჟურნალისტების შეკითხვებსაც უპასუხეს.

განხორციელებულ პროექტზე სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ, გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლებმა, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ნამგალაურმა, რაგბის კავშირის

**გაგრძელება მე-11 გვერდზე**

# შედეგები

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი** | |
| ბილბაო-ოსასუნა | 3:1 |
| **იტალია. სერია ბ** | |
| ბრეშა-პესკარა | 0:3 |
| **გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა** | |
| ზანკტ პაული-ფორტუნა | 1:3 |
| **საფრანგეთი. მე-2 ლიგა** | |
| გენგამი-მონაკო | 4:0 |
| **ჰოლანდია. მე-2 დივიზიონი** | |
| სიტარდი-ტელსტარი | 1:5 |
| **ჩეხეთი. გამბრინუსლიგა** | |
| ჟიჟკოვი-სლავია | 1:0 |
| **პოლონეთი. ექსტრაკლასა** | |
| ვიძევი-ლოძი | 0:1 |
| **დანია. სუპერლიგა** | |
| ჰორსენსი-კოპენჰაგენი | 2:0 |
| **შვედეთი. ალსვენსკა** | |
| გაისი-გიოტებორგი | 1:0 |
| გეფლე-ჰელსინბორგი | 2:0 |
| მალმიო-სირიანსკა | 1:0 |
| ჰალმშტადი-დიურგარდენი | 1:3 |
| **ნორვეგია. ტიპელიგა** | |
| სტარტი-ბრანი | 3:1 |
| **ფინეთი. ვეიკაუსლიგა** | |
| ინტერი-ჰაკა | 1:1 |
| მარიეჰამნი-იარო | 5:2 |
| მიუპა-კუუპიო | 1:0 |
| **ირლანდია. თასი** | |
| სტ.პატრიკი-შელბურნი | 1:3 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ატპ. მოსკოვი. ჰალი** | |
| სეპი-ანდრეევი | 2:6;6:3;7:6 |
| კუკუშკინი-როსოლი | 7:6;7:5 |
| კუნიცინი-კუზნეცოვი | 7:5;4:6;6:3 |
| მიულერი-კრავჩუკი | 7:6;6:4 |
| კოლშრაიბერი-ბერლოკი | 7:5;6:3 |
| **ატპ. სტოკჰოლმი. ჰალი** | |
| პეტშტნერი-კუბოტი | 6:2;7:5 |
| ჰაასე-დევვარმანი | 7:6;6:4 |
| კამკე-რობრედო | 6:2;6:3 |
| ნიემინენი-კოპილი | 6:3;7:6 |
| **ვტა. ლუქსემბურგი. ჰალი** | |
| პაშეკი-მაკაროვა | 6:2;6:2 |
| დანილიდუ-კნაპი | 1:6;5:7 |
| ბენეშოვა-პარმენტიე | 3:6;6:3;6:2 |
| კირილენკო-სუარეს ნავარო | 7:6;3:6;6:0 |
| მედინა გარიგესი-კრემერი | 6:0;6:0 |
| იაკიმოვა-კანდანტუ | 1:6;4:6 |
| ტატიშვილი-ბრიანტი | 3:6;6:1;3:6 |
| **ვტა. მოსკოვი. ჰალი** | |
| ვინჩი-დუშევინა | 6:7;4:6 |
| იოვანოვსკი-ბონდარენკო!ა. | 6:3;6:0 |
| პეტროვა-როდინა | 6:4;7:6 |
| მარტიჩი-პირონკოვა | 1:6;0:6 |
| ზაკოპალოვა-სავჩუკი | 6:3;6:1 |
| ვოსკობაევა-პერვაკი | 5:7;4:6 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი** | |
| ტამპა ბეი-ფლორიდა | 4:7 |
| ვინიპეგი-პიტსბურგი | 2:1 |
| ედმონტონი-ნეშვილი | 3:1 |
| სან ხოსე-ანაჰაიმი | 2:3 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ბუბა კიკაბიძე საკონცერტო ტურნეს იწყებს

ეკა ირემაშვილი

ქართველი მომღერალი და მსახიობი ბუბა კიკაბიძე ევროპის ქვეყნებში საკონცერტო ტურნეს იწყებს. 19 ოქტომბერს მომღერალს კონცერტი დაგეგმილი აქვს ჩეხეთში, შემდეგ კი მისი კონცერტები გაგრძელდება საფრანგეთში, იტალიაში, საბერძნეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში. როგორც ბუბა კიკაბიძის პროდიუსერი სოსო აბზიანიძე ამბობს, ევროპულ ქვეყნებში ბუბაზე მოთხოვნა საკმაოდ მაღალია.

ესტრადაზე აქტიურად მოღვაწეობის პარალელურად, ქართველი მსახიობი რამდენიმე ფილმში იქნა მიწვეული. მიუხედავად იმისა, რომ მსახიობია, სცენარებსაც წერს და მომავალში ქართველ კინორეჟისორ ელდარ შენგელიასთან ერთად ფილმის გადაღებას გეგმავს. სურათის სახელწოდება „დიაგნოზი ქართველები" იქნება. როგორც კიკაბიძე აღნიშნავს ამ ფილმში ქართველების სახე და თვისებები იქნება გადმოცემული. მსახიობი ამ ეტაპზე სპონსორების მოძიების მცდელობაშია. რეჟისორ ელდარ შენგელაიას შვილის დაღუპვის შემდეგ, უკვე 5 წელია, ფილმი არ გადაუღია. როგორც კინომცოდნეები აცხადებენ, თუკი ბუბა კიკაბიძესა და ელდარ შენგელაიას შორის შეთანხმება მოხერხდა, ეს ფილმი ქართველი კინორეჟისორის კინოინდუსტრიაში ერთგვარი დაბრუნების სიმბოლოდ იქცევა.

საქართველოდან გამგზავრებამდე ბუბა კიკაბიძის ერთ-ერთ გამორჩეულ კინოგმირს ვალიკო მიზანდარის (გია დანელიას ფილმიდან „მიმინო") ავლაბარში ძეგლი დაუდგეს. ძეგლის გახნის ცერემონიამ საპროტესტო აქციის ფონზე ჩაიარა. ხელოვნებათმცოდნე თეო



ბუბა კიკაბიძე

ხატიაშვილმა თანამოაზრეები შემოიკრიბა და ზურაბ წერეთლის ძეგლის თბილისში ჩამოტანა და განთავსება გააპროტესტა. „სტოპ ზურა", „შვილო ზურაბ, სადამდე" — ასეთი ტრანსპარანტებით გააპროტესტეს რუსეთში მოღვაწე ქართველი მოქანდაკის ზურაბ წერეთლის მიერ შექმნილი „მიმინოს" ძეგლის გახსნა თბილისში. თეო ხატიაშვილის თქმით, ზურაბ წერეთელი მისთვის რუსული იმპერიალისტური კულტურის სიმბოლოა. აქციამ მოქალაქეების ნაწილი გააღიზიანა, მოგვიანებით მათ მონაწილეებს ტრანსფარანტებიც წაართვეს.

თბილისში ამ ძეგლის გახსნით რუსული პრესაც დაინტერესდა. გაზეთმა „კამსამოლსკაია პრავდამ" ბუბა კიკაბიძისგან ინტერვიუ აიღო და „მიმინოს" ძეგლის გახსნაზე ესაუბრა.

„ახალი თაობა" ამ ინტერვიუს გთავაზობთ:

— ძეგლის გახსნა თქვენი, მოსკოვური იდეა იყო. 5 წლის წინ მოსკოვიდან დამირეკეს და მითხრეს, რომ წერეთელმა ძეგლი შექმნა და ის დანელიას საცხოვრებელთან — წმინდა წყლებზე უნდა დაედგათ. შემდეგ პოლიტიკოსები ერთმანეთთან ვერ შეთანხმდნენ და პროექტი დაიხურა. გამზადებული ძეგლი წერეთლის სახელოსნოში იდგა. ის ჩამოიტანეს და აქ, თბილისში დადგეს, — ასე დაიწყო საუბარი ბუბა კიკაბიძემ რუს ჟურნალისტთან.

***— გიორგი დანელიასთან გაქვთ ურთიერთობა?***

— ჩვენ მხოლოდ სატელეფონო ურთიერთობა გვაქვს. მოსკოვში არ ჩავდივარ, ის კი თავს ცუდად გრძნობს.

***— მაინც, რაზე საუბრობთ ხოლმე?***

— მას ძალიან უყვარს ჩვენებული გუდის ყველი. ყველაფერი სწორედ ამ ყველით იწყება ხოლმე. როცა ადრე მოსკოვში ჩავდიოდი, მისთვის ჩამქონდა. რაც მოსკოვში ჩასვლაზე უარი ვთქვი, გიასაც გუდის ყველი ენატრება. როცა ერთმანეთს ტელეფონით ვეკონტაქტებით, ვსაუბრობთ იმაზე, რომ დრო ძალიან მალე გადის, აბა, სხვა რაზე უნდა ვისაუბროთ? უკვე 40 წელი გავიდა, მე კი მგონია, რომ ის მხოლოდ გუშინ გავიცანი.

***— გახსოვთ, როგორ დაიწყო თქვენი და გია დანელიას ურთიერთობა?***

— რა თქმა უნდა. მსახიობებს ეძებდა ფილმისთვის „არ დაიდარდო", მაშინ საშინლად არ მოვეწონე.

***— რატომ?***

— ფილმისთვის ყველა მსახიობი, მთავარი გმირის გარდა, უკვე შერჩეული ჰყავდათ. ჩემი გასინჯვა ვერიკო ანჯაფარიძემ ურჩია. სცენარის მიხედვით, მთავარი გმირი მსუქანი, წითური და მსმელი კაცი უნდა ყოფილიყო. როდესაც დამინახა, კინაღამ წაიქცა. ის აბსოლუტურად განსხვავებულ ტიპაჟს ელოდა. თითქმის ერთი თვე მაწვალა, სანამ სასინჯი გადაღება დანიშნა. მოკლედ, გადავიღეთ და გავემგზავრე. ზუსტად 10 დღეში წერილი მოვიდა. როლზე დამამტკიცეს და სასწრაფოდ გამომიძახეს გადაღებებზე. გია დანელიას ეგონა, რომ მსახიობობას გავაგრძელებდი, მაგრამ კინო „ჩემი" არ არის. ძალიან გამიმართლა, რომ სწორედ მასთან მოვხვდი. პოპულარული ერთ დღეში გავხდი.

***— თქვენ არაერთი კინოგმირი განასახიერეთ. დაგრჩათ რაიმე საოცნებო როლი?***

— მთელი ცხოვრება ხაჯი მურატის როლის თამაში მინდოდა. თავგადაპარსულმა და წვერმოშვებულმა მივაკითხე გია დანელიას სახლში. მაშინ სწორედ ამ ფილმისთვის ემზადებოდა. შემომხედა და მითხრა: „ხაჯი მურატს არ ითამაშებ, შამილს — კი ბატონოო". საბოლოოდ, ამ სურათმა დღის სინათლე ვერ იხილა, ეს პროექტი რატომღაც დახურეს.

***— რუსეთს რატომ აღარ სტუმრობთ?***

— სანამ რამეს ვიტყვი, ყოველთვის ვფიქრობ. ხალხმა, რასაკვირველია, არაფერი დააშავა. მაგრამ არ შემიძლია, გესმით? თუ სურთ, რომ რუსულ პროექტში მივიღო მონაწილეობა, ჩამოვიდნენ და გადამიღონ, ჩვენ ხომ მათ ამაზე უარს არ ვეუბნებით? დღესაც უამრავ წერილს ვიღებ რუსებისგან. მწერენ, რომ პოლიტიკა არაფერ შუაშია და მათ ვუყვარვარ, მაგრამ არ შემიძლია. ვიცი, რომ ბოლოს და ბოლოს, ეს პრობლემა მოგვარდება. ისიც მესმის, რომ ასე ცხოვრება რთულია, მაგრამ დამიჯერეთ, ახლა სხვაგვარად ნამდვილად არ შემიძლია.

# რამაზ ჩხიკვაძეს დიდუბის პანთეონში დაკრძალავენ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ბის შემდეგ, რამაზ ჩხიკვაძის სამსახიობო ცხოვრებაში სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო.

თეატრალური როლების გარდა, მსახიობმა მონაწილეობა მიიღო ქართულ ფილმებშიც. მისი პირველი კინოროლი იყო ფილმში „ჭრიჭინა". ამ კინოსურათს კი მოყვა „ლონდრე", „ვედრება", „ვერის უბნის მელოდიები", „ჩირიკი და ჩიკოტელა", „ნატვრის ხე", „ნერგები", სადაც მოსკოვის VIII საერთაშორისო კინოფესტივალზე მიენიჭა პრემია მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის. საუკეთესო სამსახიობო მონაცემებისთვის რამაზ ჩხიკვაძე არაერთი პრემიითა და ჯილდოთი დაასაჩუქრეს, თუმცა მისთვის ყველაზე გამორჩეული მაინც ის ვარსკვლავი იყო, რომელიც მშობლიური რუსთაველის თეატრის წინ მადლიერმა ქართველმა საზოგადოებამ 2006 წლის 28 თებერვალს მსახიობის 78 წლის იუბილეზე პატივისცემისა და დიდი სიყვარულის ნიშნად გაუხსნა. ამ დღეს რუსთაველის თეატრის დასმა 609-ჯერ ითამაშა გენიალური „კავკასიური ცარცის წრე", სადაც იუბილარმა მსახიობმა უკანასკნელად მოირგო აზდაკის როლი.

რამაზ ჩხიკვაძის სახლში მთელი დღის განმავლობაში უკანასკნელი პატივის მისაგებად მიდიოდნენ მისი კოლეგები, მეგობრები და ნაცნობები. მსახიობმა ჯემალ ღაღანიძის თქმით, რამაზ ჩხიკვაძეზე წარსულში საუბარი მისთვის განსაკუთრებულად რთულია.

— როგორ ცუდ გუნებაზეც არ უნდა ყოფილიყავი, როცა რამაზს დაინახავდი, გუნება გიკეთდებოდა. ბავშვობიდან ერთად მოვდივართ, მიჭირს რამაზზე წარსულში საუბარი, — აღნიშნა მსახიობმა.

მსახიობმა გურამ სალარაძემ კი მხოლოდ იმის თქმა მოახერხა, რომ რამაზ ჩხიკვაძესთან ერთ სცენაზე 55 წელი იდგა და ეს მისთვის დიდი პატივია.

მსახიობ რამაზ ჩხიკვაძეს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მეუღლის, ნატაშა ჩხიკვაძის გვერდით, შაბათს, 22 ოქტომბერს დაკრძალავენ. დედაქალაქის მერიის ინფორმაციით, სამოქალაქო პანაშვიდები რუსთაველის თეატრში გაიმართება. მსახიობთან გამომშვიდობება ქართველ საზოგადოებას სწორედ მისთვის მშობლიურ თეატრში შეეძლება, სადაც ცხედარს პარასკევს საღამოს გადაასვენებენ. სამოქალაქო პანაშვიდები კი მანამდე მსახიობის საცხოვრებელ სახლში ჭავჭავაძის 5 ნომერში გაიმართება.

# ეროვნულმა არქივმა 22.000 ფურცელი აღადგინა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის რესტავრაციისა და მიკროფილმირების ლაბორატორიაში 2011 წლის 9 თვეში სარესტავრაციო და საკონსერვაციო სამუშაოები ჩაუტარდა 21.851 ფურცელს, 2.727 ფოტოპოზიტივს, 103 ტექნიკურ ნახაზს, 8 აფიშას.

რესტავრირებულ დოკუმენტებს შორის არის ძველ საბუთთა განყოფილების 404 ფურცელი. დასრულდა ხელნაწერი წიგნის „ეფრემ ასური და ლავსაიკონი", ასევე, მე-15-მე-19 საუკუნეების საბუთების — მეფეთა სიგელების, წყალობის წიგნების, რელიგიური შინაარსის საბუთების რესტავრაცია. ამავე პერიოდში რესტავრაცია ჩაუტარდა ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების საქმეების 3.574 ფურცელსა და 8 აფიშას. მათ შორის იყო — ჯუაკინო როსინის ოპერის „სევილიელი დალაქი" პარტიტურა, სტამბური, იტალიურ ენაზე, ჩანაწერებით, ლუდვიგ-ვან ბეთჰოვენის „ორი დიდი სონატა", ვიოლონჩელოს პარტია, სტამბური, ფრანგულ ენაზე, ია კარგარეთელის „მშვენიერთა ხელმწიფევ", კოტე მესხის გამოცემა, სტამბური, თავფურცელი, ეფემია მესხის მოგონება აკაკი წერეთლის შესახებ, ხელნაწერი, უთარიღო.

ამ სტატისტიკის გამოქვეყნებასთან ერთად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულმა არქივმა სხვა სტატისტიკაც გამოაქვეყნა — ცენტრალური და ადგილობრივი არქივები 2011 წლის 9 თვის განმავლობაში 38.000-მდე მოქალაქეს მოემსახურნენ. ამ პერიოდში გაცემულია სოციალურ-უფლებრივი ხასიათის 37.520 ცნობა. მოქალაქეები, ძირითადად, ითხოვდნენ ცნობებს საეკლესიო მეტრიკული ჩანაწერების, საკომლო ჩანაწერების მიხედვით, ასევე, რეპრესიებისა და რეაბილიტაციის შესახებ დოკუმენტებს.

ცენტრალური არქივების მკვლევართა დარბაზების მომსახურებით 420-მა მკვლევარმა ისარგებლა, მათ შორის 33 უცხოელი იყო (ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, იაპონიის, პოლონეთის, შვედეთის, იტალიის, გერმანიის, საბერძნეთის, რუსეთის, ბელორუსის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ირანის, თურქეთის, დაღესტნის მოქალაქეები). მკვლევრები დაინტერესებულნი იყვნენ შემდეგი თემებით — „ამიერკავკასიის ისტორია XX საუკუნეში", „განათლება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში 1918-1921 წლებში", „საინგილო და საქართველო", „დასავლეთ საქართველოს ეკლესია-მონასტრები XIX-XX საუკუნეებში", „ძმები ნობელებისა და შვედური კომპანიების მოღვაწეობა საქართველოსა და აზერბაიჯანში", „მეორე ინტერნაციონალის ვიზიტი საქართველოში".

საქართველოს ეროვნული არქივი მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს შემდეგი სახის მომსახურებას უწევს — სამკითხველო დარბაზებში დოკუმენტების გაცნობა, დოკუმენტების ქსეროასლების დამზადება და ციფრულ ფორმატზე გადატანა, დოკუმენტების შესახებ საინფორმაციო ცნობისა და ანალიტიკური მიმოხილვის მომზადება, ფოტოდოკუმენტის ნეგატივიდან ანაბეჭდის დამზადება, კინოდოკუმენტების ეკრანზე ჩვენება და ციფრულ ფორმატზე გადატანა, ფონოდოკუმენტის მოსმენა და ციფრულ ფორმატზე გადატანა. ეროვნულ არქივში მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ სოციალურ-უფლებრივი ხასიათის ცნობები — დაბადების, გარდაცვალების, ქორწინების ცნობა, რეპრესიისა და რეაბილიტაციის ცნობა, სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა, გენეალოგიური და ბიოგრაფიული ხასიათის ცნობა, ქონებრივი უფლების დამადასტურებელი ცნობა.

სტატისტიკებზე მუშაობასთან ერთად, ეროვნული არქივი სხვადასხვა საპატიო სტუმრებსაც მასპინძლობს. რუსეთის იმპერიის მიერ ჩერქეზი ხალხის მიმართ განხორციელებული გენოციდის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალის ესკიზური პროექტის შესარჩევი კონკურსის კომისიის წევრები და დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, მირზა (პაპუნა) დავითაია იუსტიციის სამინისტროს საქართველოს ეროვნულ არქივს სტუმრობდნენ.

ეროვნული არქივის გენერალურ დირექტორთან თეონა იაშვილთან გამართულ შეხვედრაზე საუბარი შეეხო იმ დოკუმენტებს, რომლებიც ჩერქეზეთა გენოციდთან დაკავშირებით ეროვნულ არქივშია დაცული. სტუმრები გაეცნენ როგორც წერილობით, ისე ფოტოდოკუმენტებს.

როგორც შეხვედრაზე სტუმრებმა აღნიშნეს, საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული უნიკალური მასალები რუსეთის მხრიდან ჩერქეზთა მიმართ განხორციელებული გენოციდის ერთ-ერთი დასტურია და ქართული მხარის თანამშრომლობა ამ საკითხის კვლევაში განსაკუთრებით დასაფასებელია.

საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა ისიც, რომ საქართველოში ჩერქეზული კულტურის ცენტრი იქმნება, რასაც საქართველოს პრეზიდენტის 603 ბრძანებულება მოწმობს. მიხეილ სააკაშვილის მიერ, 11 ოქტომბერს გამოცემული ბრძანებულების თანახმად, ცენტრის სახელმწიფო კონტროლს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო განახორციელებს. ნიკა რურუას უწყების პრეროგატივაა ასევე ცენტრის უფლებამოსილი პირის დანიშვნაც. 19 ოქტომბერს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში სსიპ „ჩერქეზული კულტურის ცენტრის" პრეზენტაცია გაიმართება. ჩერქეზული კულტურის ცენტრი შეიქმნა საქართველოს პრეზიდენტის სპეციალური ბრძანებულებით, რომელსაც ხელი მოეწერა 2011 წლის 12 ოქტომბერს. სსიპ „ჩერქეზული კულტირის ცენტრი" იფუნქციონირებს საქართველოს კულტურისა და ძეგთა დაცვის სამინისტროსთან. მოწვეული სტუმრებისათვის პრეზენტაციას გამართავენ კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი მირზა (პაპუნა) დავითაია და საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ნუგზარ წიკლაური.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ანაკლიაში ჩერქეზთა გენოციდის მემორიალის გახსნაა დაგეგმილი. ჩერქეზთა გენოციდის მემორიალთან დაკავშირებით სახელმწიფო მინისტრმა დიასპორის საკითხებში მირზა (პაპუნა) დავითაიამ მოქანდაკეებს, მხატვრებსა და სამხატვრო აკადემიის სტუდენტებს კონკურსის პირობები უკვე გააცნო. ესკიზების მიღება 15 ნოემბრისთვის დასრულდება. 25 ნოემბერს კი გამარჯვებული პროექტი და მისი ავტორის ვინაობა გახდება ცნობილი.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 2. ბოშათა წინამძღოლი; 3. რუმინეთის დედაქალაქი; 4. ქვის ხავსი; 5. თეთრყურძნიანი ვაზის გერმანული ჯიში; 7. ოპერა „აბესალომ და ეთერის" პერსონაჟი; 11. ქარიშხალი წყნარ ოკეანეში; 13. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი გერმანული ფირმა; 15. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების საერთაშორისო გაერთიანება; 16. ძველად სადგური, შემდეგ იმპრესიონისტთა მუზეუმი პარიზში; 18. „ფიატის" მარკის მცირელიტრაჟიანი მსუბუქი ავტომობილი; 19. ხელოვნური მარმარილო.

**თარაზულად:** 6. დიდი შეჯიბრება ნიჩბიანი, იალქნიანი და მოტორიანი ნავების; 8. კოსმოსში გაგზავნილი ქართული ხალხური სიმღერა; 9. ანგლიკანური ეკლესიის უმაღლესი სასულიერო პირი; 10. აზნაური ტიტული ძველად საფრანგეთში; 12. გერმანელი ფილოსოფოსი; 14. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 17. სამფეხიანი მაგიდა; 20. უღელტეხილი კავკასიონზე; 21. კრემისებრი ნამცხვარი; 22. ტყის ფრინველი; 23. სპორტის სათამაშო სახეობა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პარკუჭი; 2. ლაშქმი; 3. ბენეფისი; 4. ვილაიეთი; 7. პოსტულატი; 8. კლაპონი; 12. იაგდაში; 14. კონგრესი; 16. ბოქსიტი; 17. ფუტბოლი; 19. კიჩო; 20. სარი.

**თარაზულად:** 5. „ბაბუშკა"; 6. ედელვაისი; 9. „სულიკო"; 10. მესეფი; 11. სარკე; 13. კანტი; 15. კოპოლა; 18. რომბი; 21. თეოდოლიტი; 22. ინფანტა; 23. კონკური.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დნესტრი; 2. „საბენა"; 3. თერაპევტი; 4. ვირთხა; 5. ფორსინგი; 7. „არსი"; 11. ლუმიერი; 13. ვარაუდი; 15. ელენა; 16. პოლკი; 18. ნიდერი; 19. რურუა.

**თარაზულად:** 6. ნაგანი; 8. ბარელია; 9. ტრეტერა; 10. ტარიელი; 12. მამბო; 14. იაზონი; 17. ტერენკური; 20. „გრეგორი"; 21. ესკიზი; 22. დურუჯი; 23. დინდგლია.

# ბიორკის ახალი ალბომი — მუსიკა, ბუნება და აიპადი



**ისლანდიელი მომღერლის, ბიორკის მორიგი ალბომი მოვლენად თუნდაც იმიტომ იქცა, რომ დღის სინათლე იხილა. უჩვეულო კი იგი იმითაც არის, რომ მომღერალმა ის პლანშეტური კომპიუტერის „აიპადის“ დახმარებით შექმნა.**

გარდა ჩვეულებრივი სიმღერებისა, ალბომს თან კიდევ 10 კომპიუტერული პროგრამა ახლავს, აიპადისათვის განკუთვნილი თითო პროგრამა თითო სიმღერისათვის.

ერთი მხრივ, აიფონი და აიპადი თანამედროვე ცხოვრების განუყრელ ნაწილად იქცნენ, ამიტომ ასეთი სინთეზური მხატვრული პროდუქციის გამოჩენა უჩვეულო არ უნდა იყოს, განსაკუთრებით ისეთი თვითმყოფადი ხელოვანისათვის, როგორიც ბიორკია, რომელიც ახალ ტექნოლოგიებს არასდროს უფრთხოდა.

გარდა ამისა, ამ სინთეზს უკვე თავისი ისტორიაც აქვს.

„ჯერ კიდევ წინა ტურნეს დროს ფართოდ ვიყენებდით სენსორულ ეკრანებს, აიპოდისა და აიფონის წინამორბედებს, — აცხადებს ბიორკი, — ძალიან მომწონდა ისინი, მიმაჩნდა, რომ მათ გიგანტური პოტენციალი ჰქონდათ. მუსიკის სამყაროდან ათი ელემენტი შევარჩიე, გამები, რიტმი, აკორდები და ბუნების 10 მოვლენას შევუსაბამე.

აიპად კომპიუტერები მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა, თუმცა, ჭორად ამბობდნენ, რომ მალე გამოჩნდებოდა ახალი ელექტრონული ხელსაწყო, ნოუთბუქისა და აიფონის მსგავსი.

„აიპადი ამ ამოცანას იდეალურად მოერგო, — აგრძელებს ბიორკი ალბომის შექმნის ისტორიაზე საუბარს, — სამი წლის განმავლობაში საქმეში არაერთი მეცნიერი, სხვადასხვა დარგის სპეციალისტი ჩავრთეთ. ამ პროექტის მონაწილეთა რიცხვის დათვლა თითქმის შეუძლებელია, მასში ერთმანეთს შეერწყა მუსიკა, ბუნება და ახალი ტექნოლოგიები“.

ალბომის სახელწოდება „ბიოფილია“ სიტყვასიტყვით სიცოცხლის სიყვარულს ნიშნავს, სიყვარულს ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმისადმი.

პირველად ეს ცნება ერიხ ფრომმა შემოიტანა, ბიოფილიის თეორიის ავტორს, ამერიკელ მეცნიერს ედვარდ უილსონს კი მიაჩნდა, რომ ადამიანებსა და სხვა ცოცხალ ორგანიზმებს შორის ინსტინქტური კავშირი არსებობს. იგი ბიოფილიას წარმოიდგენდა, როგორც ადამიანის მიერ სიცოცხლის სხვა გამოვლინებების მიმართ კავშირის ქვეცნობიერ ძიებას.

ალბომის თითოეულ სიმღერას ბუნების ამა თუ იმ მოვლენის სახელი ჰქვია — „მთვარე“, „მზებუდობა“, „ბნელი მატერია“, „კრისტალი“, „კოსმოგონია“ და ასე შემდეგ.

თითოეულ სიმღერას თან კომპიუტერული პროგრამა ახლავს, რომლის საშუალებითაც ნებისმიერ მსურველს სიმღერის თემასთან უკეთ გაცნობა და პროგრამის საკუთარი ვერსიის შექმნაც კი შეუძლია. ყოველი პროგრამა, იმავდროულად, თამაშიც არის.

თამაშში „ვირუსი“ ვირუსი უჯრედში აღწევს და მათ შორის რაღაც ურთიერთობა მყარდება.

„თავდაპირველად ამ ალბომის იდეა მუსიკაზე საუბარი იყო, — ამბობს ბიორკი, — ხანდახან, მუსიკას რომ უსმენ, ფიქრობ ხოლმე, მასში ჩარევა და შეცვლა თუ იქნებოდა შესაძლებელი. მეორე მხრივ, მე, როგორც მუსიკოსს, ყოველთვის ეჭვი მეპარება ხოლმე, გამოვა რამე თუ არა ჩემი წამოწყებიდან? მოვუსმენ თუ არა ამ მუსიკას შინ? ასე შეიქმნა სიმღერა „ვირუსი“, მარტივი მელოდია სიყვარულის შესახებ, ნამდვილი პოპ-სიმღერა. ვირუსი მუსიკაა, მუსიკა ვირუსია, რომელიც შენში აღწევს, მთლიანად გიპყრობს და ეს პროცესი უსასრულოდ გრძელდება“.

ბიორკი თანამედროვე ადამიანია. მას ყოველთვის იზიდავდა თანამედროვე ტექნოლოგიები და მუსიკაში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო. ამ მხრივ მისთვის რაიმე მოულოდნელი არ ყოფილა.

არანაკლებ იზიდავდა მას ცოცხალი ბუნება. მისი ერთ-ერთი საყვარელი თემა იყო დევიდ ეტენბორის ტელეგადაცემები ბუნებაზე.

გარდა უახლესი ელექტრონული ტექნოლოგიებისა, ბიორკმა თავის ალბომში სრულიად ეგზოტიკური, თუმცა არა ახალი ინსტრუმენტები გამოიყენა. ასე მაგალითად, მის „ბიოფილიაში“ ჟღერს ტესლას ტრანსფორმატორი, მაღალი სიხშირის დენის შესაქმნელი ხელსაწყო, რომელიც ნიკოლა ტესლამ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში შექმნა. ალბომში მომღერალი იყენებს აგრეთვე ფუკოს რამდენიმე ქანქარას, მათი საშუალებით დედამიწის მოძრაობა არფას გადაეცემა.

# ისრაელის მთავრობამ არმიის სერჟანტი 1000 პალესტინელ პატიმარზე გადაცვალა



ისრაელის არმიის სერჟანტი, გილად შალითი, რომელიც ჰამასის მეამბოხეებმა ხუთი წლის წინ ჩაიგდეს ტყვედ, ისრაელის ხელისუფლებს გადასცეს.

მისი გათავისუფლების სანაცვლოდ ისრაელის ხელისუფლებმა ციხეებიდან ათასზე მეტი პალესტინელი გაათავისუფლეს. მათგან 477 პატიმრის გათავისუფლება სამშაბათს დაიწყეს.

ეგვიპტის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში გილად შალითმა იმედი გამოთქვა, რომ ეს გარიგება ისრაელსა და პალესტინელებს შორის მშვიდობის მიღწევას შეუწყობს ხელს.

შალითის თქმით, იგი ბედნიერად იგრძნობს თავს, როდესაც ყველა გათავისუფლებული თავის ოჯახებს დაუბრუნდება.

შალითის თქმით, ეგვიპტის წარმომადგენლებმა მისი გაცვლის შესახებ მოლაპარაკება ისრაელთან და ჰამასთან კარგი ურთიერთობების წყალობით მოახერხეს.

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ნეთანიაჰუმ ტელ ნოფის ავიაბაზაზე, სადაც გათავისუფლებული ჯარისკაცი მიიყვანეს, თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ ჯარისკაცის პალესტინელ ტყვეებზე გათავისუფლების გადაწყვეტილების მიღება ადვილი არ ყოფილა.

პალესტინის ავტონომიის ლიდერი მაჰმუდ აბასი მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირზე, ქალაქ რამალაში პალესტინელების გათავისუფლებას მიესალმა. მან მადლობა გადაუხადა ეგვიპტელ შუამავლებს და განაცხადა, რომ პალესტინელები თავიანთი სახელმწიფოს დამოუკიდებლობისათვის მუშაობას გააგრძელებენ.

გაცვლის პროცედურა მკაცრად განსაზღვრული განრიგით მიმდინარეობს. გათავისუფლებული პალესტინელების ნაწილი გაზაში ჩავიდა.

შალითი დილით ადრე გაზასა და ეგვიპტის საზღვარზე რაფაჰში მიიყვანეს, სადაც ისრაელის წარმომადგენლების თანდასწრებით ეგვიპტის ხელისუფლებს გადასცეს. ამჟამად იგი უკვე ისრაელის ტერიტორიაზეა.

მშობლებთან სატელეფონო ზარისა და სამედიცინო შემოწმების შემდეგ იგი ვერტმფრენით ტელ ნოფის სამხედრო ბაზაზე გადაიყვანეს. აქ იგი მშობლებსა და პრემიერ-მინისტრს შეხვდა.

იმ შემთხვევაში, თუკი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას დამაკმაყოფილებლად მიიჩნევენ, მას ახლობლებთან ერთად ისრაელის ჩრდილოეთით გადაიყვანენ, შემდეგ სამხედრო ესკორტის თანხლებით შინამდე მიაცილებენ, გალილეის დასავლეთით, ქალაქ მიცპე ჰილაში.

პალესტინელი პატიმრების მეორე ჯგუფს, 550 ადამიანს, ნოემბერში გაათავისუფლებენ.

# ევროკავშირის ხელმძღვანელობა უკრაინის პრეზიდენტს ტიმოშენკოს პროცესის გამო არ შეხვდა



ევროკავშირის ხელმძღვანელობამ უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩთან ბრიუსელში ხუთშაბათისათვის დანიშნული შეხვედრა ყოფილი პრემიერ-მინისტრის, იულია ტიმოშენკოს გასამართლებასთან დაკავშირებით გადადო.

ევროკავშირის ლიდერებმა, ევროპის ქვეყნების მთავრობებმა, ასევე აშშ-მ სასამართლოს განაჩენი გააკრიტიკეს. ტიმოშენკოსათვის შვიდწლიანი პატიმრობის მისჯას მათ აშკარად პოლიტიკური შეფერილობის მქონე მართლმსაჯულების ნიმუში უწოდეს.

დასავლეთის ზოგიერთმა ლიდერმა პრემიერის გათავისუფლებისაკენ პირდაპირ მოუწოდა, ხოლო ორგანიზაცია „ემნესტი ინტერნეიშნლმა“ ტიმოშენკოს სინდისის პატიმარი უწოდა.

ვიქტორ იანუკოვიჩი ევროკომისიის ლიდერ ჟოზე მანუელ ბაროზუსა და ევროკავშირის მაღალი რანგის სხვა წარმომადგენლებს უნდა შეხვედროდა.

ევროკავშირის წარმომადგენლებმა მანამდე აღნიშნეს, რომ ტიმოშენკოს საქმემ ევროპისა და უკრაინის დაახლოებას ხელი შეიძლება შეუშალოს, კერძოდ, უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს თავისუფალი ვაჭრობის ზონაში ასოცირებული წევრობის შეთანხმების ხელმოწერაზე. ამ შეთანხმების დადებას კიევი ბრიუსელთან ახლო მომავალში იმედოვნებდა.

იმავდროულად, პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩს ყოფილი პრემიერ-მინისტრის საქმეზე საუბარი არ სურს.

დასავლეთის წამყვან გაზეთებთან, მათ შორის „თაიმსთან“, „უოლ სტრიტ ჯორნალთან“, „ნიუ იორკ თაიმსთან“ და სააგენტო „ბლუმბერგის“ წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს უკრაინის ლიდერმა განაცხადა, რომ ტიმოშენკოს გათავისუფლება არასწორი სიგნალი იქნებოდა.

მისი თქმით, ოპოზიციონერობა დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას არ უნდა ნიშნავდეს.

უცხოელი ჟურნალისტებისათვის მიცემულ ინტერვიუში იანუკოვიჩმა დასავლეთის ქვეყნების კრიტიკა უარყო და განაცხადა, რომ ტიმოშენკო დამოუკიდებელმა სასამართლომ აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან რაიმე ზეწოლის გარეშე გაასამართლა.

ექსპერტებმა და დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლებმა მსგავსი მტკიცებულებების მართებულობით დაეჭვება არაერთხელ გამოხატეს.

ტიმოშენკოსათვის შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთის განაჩენის გამოტანის შემდეგ უკრაინელმა და დასავლეთის ექსპერტებმა ივარაუდეს, რომ, საბრალდებო დასკვნის მიუხედავად, ყოფილ პრემიერსა და ოპოზიციის ყველაზე პოპულარულ პოლიტიკოსს მაინც გაათავისუფლებდნენ.

უზენაესი რადა, სადაც უმრავლესობა პროპრეზიდენტულ რეგიონების პარტიას ეკუთვნის, ამჟამად სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლების გაუქმების საკითხს იხილავს, რომლის მიხედვითაც ტიმოშენკოა გასამართლებული.

რაიმე ცვლილებების მიღების შემთხვევაში ყოფილი პრემიერი შეიძლება გაათავისუფლონ.

ამასთან, ცოტა ხნის წინ უკრაინის უშიშროების სამსახურმა ტიმოშენკოს წინააღმდეგ კიდევ ერთი სისხლის სამართლის საქმე აღძრა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მიმართ კორპორაცია „ედინიე ენერგეტიჩესკიე სისტემი უკრაინის“ ვალების სახელმწიფო ბიუჯეტისათვის „გადაბარების“ ბრალდებებით.

ამ საქმესთან დაკავშირებით უკრაინელი ექსპერტების ერთი ნაწილი აღნიშნავს, რომ უკრაინის ხელისუფლებაში გაიმარჯვა ე.წ. ომის პარტიამ, რომელსაც ტიმოშენკოს მიმართ დასავლეთის ზეწოლის წინაშე უკანდახევა საჭიროდ არ მიაჩნია და მისი ციხეში გაგზავნა სურს.

ტიმოშენკოს განაჩენი გააკრიტიკეს როგორც დასავლეთის ქვეყნებმა, ასევე რუსეთმაც. Mოსკოვმა აღნიშნა, რომ განაჩენს „ანტირუსული მიმართულება“ გააჩნია, რადგან ყოფილი პრემიერი რუსეთთან გაზის მიწოდების კონტრაქტის დადების გამო გაასამართლეს.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# რაგბი ავჭალის კოლონიაში

**დასაწყისი მე-9 გვერდზე**

საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერმა ლაშა ხურციძემ და თავად პროექტის უშუალოდ შემსრულებლებმა ისაუბრეს.

**ხათუნა კალმახელიძე:**

— ავჭალის არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში არაერთ პროექტს ვახორციელებთ, რითიც მოზარდებს ხელს ვუწყობთ საზოგადოებასთან ინტეგრაციაში და სავალდებულო ვადის მოხდის შემდეგ გარემო პირობებთან იოლად ადაპტაციაში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. განსაკუთრებული მოწონება და ინტერესი რაგბის კავშირის მიერ წამოწყებულმა პროექტმა დაიმსახურა. ახალგაზრდები რაგბის თამაშს დიდი მონდომებით დაეუფლნენ და საოცარი შემართებით თამაშობენ, რაც გვაფიქრებინებს, რომ პროექტის გაგრძელება მათთვის ძალიან კარგი იქნება.

**დავით ნამგალაური:**

— სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო მიესალმება ამ პროექტს, რომელიც მართლაც მნიშვნელოვანი და სასარგებლოა. რაგბი ჩვენთვის ტრადიციული, ეროვნული სპორტის სახეობაა და სულაც არ გვიკვირს, რომ ახალგაზრდების მოწონება და ინტერესი გამოიწვია. ეს სახეობა ადამიანებს — ამეგობრებს, ერთმანეთის თანადგომას, დახმარებას და სიყვარულს ასწავლის. მეტოქის მიმართ პატივისცემით განაწყობს, რაც ამ ახალგაზრდებს მომავალში სავალდებულო ვადის მოხდის შემდეგ საზოგადოებასთან ადაპტაციაში დაეხმარებათ.

**ლაშა ხურციძე:**

— რაგბის კავშირი მოხარულია ამ პროექტში მონაწილეობით და მზად არის, რომ ამ საქმეზე მომავალშიც იმუშაოს. კარგია, რომ ახალგაზრდებს რაგბის თამაში ასე ძალიან მოეწონათ და დიდი ენთუზიაზმით ვარჯიშობენ. საინტერესო კი ის არის, რომ ახალგაზრდებიდან რამდენიმე გამორჩეულად მონდომებულია და სავალდებულო ვადის გასვლის შემდეგ რაგბის თამაშის გაგრძელებას აპირებს.

# სამგლოვიარო განცხადებები

შვილები ელისო, დალი, ხათუნა, ვლადიმერი, დები ვენერა ქარაია, ციცინო, ძმები ომარ, დავითი, სიძეები შოთა ხარანია, ზაქრო ქარდავა, მინდია ჩაფიჩაძე, რძლები სულიკო სალუქვაძე, ფლორა შანავა, დალი კუკავა, ცოლისძმა შამილ გულუა, შვილიშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, დისშვილები და ძმისშვილები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ამირან (ვაჟა) ნოჩოს ძე შონია**

დაკრძალვა: შაბათს, 22 ოქტომბერს წყალტუბოში.
მისამართი: უშიშროების სანატორიუმი „წყალტუბო“.

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აპარატის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თანამშრომელს კახა თორიას მამის

**ჯამბულ თორიას**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**ოთხშაბათი 19 ოქტომბერი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.45** ცხოვრება მშვენიერია **13.50** კავკასუს ლაივი **15.00** სერიალი **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** **17.00** დოკ. ფილმი "რომის იმპერიის აღმავლობა და დაცემა" **18.00** ან. ფილმი "ადამიანი ობობა" **19.05** სერიალი **"ვილმენის საქმე"** **21.00** სერიალი **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** **22.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **22.40 ჩემპიონთა ლიგა**. ჯგუფური ეტაპი **00.35** მხ. ფილმი **"სისხლი და ძვალი"** (15) **02.45** მოამბე **03.05** მხ. ფილმი **"დედა"** (სუბტ.) **04.55** სერიალი **"ზიანი"** (12)

**08.00, 00.40** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00, 01.00** სერიალი **"ზიანი"** **20.00** მხ. ფილმი **"ჯესიკა"** **02.00** მხ. ფილმი **"როზანას საფლავი"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერიალი **"როსალინდა"** **11.00** სერიალი **"კლონი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** კომედი შოუ **17.00** სერიალი **"ავრორა"** **18.45** სერიალი **"ახალგაზრდა ქვრივი"** **19.45** სერიალი **"სახლი მეზობლად"** **22.00** იღბლიანი ბორბალი **22.40 ჩემპიონთა ლიგა**. (ჩანაწერი) **01.00** შუა დღე **02.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **02.30** პატრული **03.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერიალი **"მოპარული ბედნიერება"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.25** ქრონიკა **11.40** სერიალი **"ქალის სიტყვა"** **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** სერ. **"ყავა და ლუდი"** მე-17. **16.00** სერიალი **"მეტოქეები"** **17.40** სერიალი **"ევა ლუნა"** **18.40** სერიალი **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერიალი **"დამალული სიმართლე"** **22.00** ნანუკას შოუ **23.30** ლიდერი **00.30** ყოფილი ცოლების კლუბი (გან.) **01.50** მხ. ფილმი **"კრისტი"** (სუბტ.) **03.40** მხ. ფილმი **"უკანასკნელი ლეგიონი"** (კ. ფერტი) (სუბტ.) **06.30** სერიალი **"მარინა"**

**08.00** მხ. ფილმი **10.00** სერიალი **"ჩემი შეყვარებული"** **11.00** ანიმაცია "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერიალი **"დაკარგული ქვეყანა 3"** **13.00** მხ. ფილმი **15.30** მხ. ფილმი **17.10** სერიალი **"ტყუპები"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერიალი **"მისი სულის მუსიკა"** **21.00** სერიალი **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00, 23.40** სერიალი **"სოფია, ცოტა მადროვე"** **10.00** დოკ. ფილმი **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერიალი **"სოპრანოს კლანი"** **12.50, 19.35** სერიალი **"მხოლოდ შენ"** **15.15** სერიალი **"ექიმი ქმორი"** **16.00** დოკ. ფილმი **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **23.00** სცენა **00.30** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** განთიადი **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.20** საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია **10.55** მგზავრები წუთისოფლისა **11.20** დროის ჩანაწერები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"ჩემი მეგობარი ნოდარი"** **13.30** კონცერტი — ზვიად ბოლქვაძე **15.05** განთიადის სტუმარი **15.20** მხ. ფილმი **"აურზაური სალხინეთში"** **16.30** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **16.55** კვირიაკე **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.20** ტელეზღაპარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"განგაში"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** გზა, რომლითაც ვიარე **22.15** ქართული ალბომი **22.35** დოკ. ფილმი "ტაო-კლარჯეთი" მე-2ნ. **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** პერსპექტივა **01.30** მხ. ფილმი **"ბეღურების გადაფრენა"**

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba


**19 ოქტომბერი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6613

ევრო —2,2702

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208

რუსული რუბლი — 0,057

## ამინდის პროგნოზი 19 ოქტომბრისთვის

<u>აღმოსავლეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 13–20, ღამით — 3–7

<u>დასავლეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 13–16, ღამით — 7–14

<u>სამხრეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 12–14, ღამით — -5–6





## გაზეთ „ახალი თაობის“ 17 ოქტომბრის ნომერთან ერთად გაიყიდება



# „ქართული მწერლობის საუნჯის“

## მესამე ტომი



# ვეფხისტყაოსანი

## ეს წიგნი ყველა ოჯახში უნდა იყოს!


# კალაძე 4 მატჩით და 7.000 დოლარით დასაჯეს



იტალიის „ჯენოას“ ქართველი მცველი კახა კალაძე 4, ხოლო „ვიტესის“ შემტევი გიორგი ჭანტურის 2 მატჩით იუქმებენ. ასეთი ვერდიქტი, გამოუტანეს ქართველ ფეხბურთელებს გასულ ტურში მიღებული წითელი ბარათების გამო.

საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტნის დასჯის მოტივი არბიტრ გაბრიელე გავას შეურაცხყოფა. იტალიელი დისციპლინარების გადაწყვეტილებით, „ჯენოასა“ და „ლეჩეს“ უგოლოდ დასრულებული მატჩის მე-80 წუთზე ჩადენილი საქციელის გამო, კახა კალაძეს 7 ათასი აშშ დოლარის გადახდაც მოუწევს.

რაც შეეხება ჭანტურიას, მან წითელი ბარათი „ნაიმეგენთან“ მატჩისას მიიღო. მართალია, ჩვენებურმა ბევრი იძახა უსამართლოდ გამაძევესო, მაგრამ 2 მატჩის გამოტოვება მაინც მოუწევს.

— მე არაფერი დამიშავებია. მეტოქემ ხელი სახეში მომარტყა. არ ვიცი, წითელი ბარათი რატომ მივიღე. მსაჯებზე საუბარი არ მიყვარს. მათ გადაწყვეტილებას პატივი უნდა ვცე, ისევე როგორც თითოეულმა ფეხბურთელმა, — აცხადებს ჭანტურია.

**მ. ჟ.**

## ყველამ გაითვალისწინეთ!

# ასტროპროგნოზი

19 ოქტომბრისთვის

შემოქმედებითი დღეა

**ვერძი** — ახალი საქმე გაამართლებს, მთავარია არ იზარმაცოთ. **კურო** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, დღეს ნუ გადაიღლებით. **ტყუპები** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. **კირჩხიბი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ლომი** — ყურადღების ცენტრში ხართ, ყველა საქმე გამოგდით. **ქალწული** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **სასწორი** — ფიქრებში ხართ, კითხვაზე პასუხს თქვენით იპოვით. **ღრიანკალი** — გაანაწილეთ დრო, საწადელს ასე უფრო ადვილად მიაღწევთ. **მშვილდოსანი** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **თხის რქა** — თქვენი პარტნიორი ინიციატივას თქვენგან ელის, ნუ დააყოვნებთ. **მერწყული** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **თევზები** — პატარა პრობლემას ადვილად გადალახავთ, მთავარია იმოქმედოთ.

## გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# კროსვორდი

**შვეულად**: 1. წინასწარ შეთანხმებული შეხვედრა სატრფოსთან; 2. შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები უძველესი ქართული ტომი; 3. რელიგიური საგალობელი; 4. გასუფთავებული ნატეხი შაქარი; 7. მარმარილოსა და ეგეოსის ზღვების დამაკავშირებელი სრუტე; 8. მდინარე გაგრაში; 12. ნათესავის, შთამომავლის ძველი ქართული სახელწოდება; 14. რაიმე სიდიდეების შეფარდების გამომსახველი გრაფიკული ნახაზი; 16. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 17. მონასტრის მსახური; 19. ლიტერატურული პრემია საქართველოში; 20. ადამიანის გარემომცველი ბიოველი.

**თარაზულად**: 5. ქართული ტელეკომპანია; 6. სინათლის სხივის დაშლა სპექტრის ცალკეულ ფერებად; 9. სამონასტრო კომპლექსი ახალციხის რაიონში; 10. მაღალმთიანი კურორტი აჭარაში; 11. პერიოდული სხდომა; 13. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 15. აეროპორტი მილანში; 18. ჩქარტემპიანი მექსიკური ცეკვა; 21. სამთო-კლიმატური კურორტი საქართველოში; 22. უაზრობა, შეუსაბამობა; 23. ნახშირის სახატავი ფანქარი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



# მერკი გელზენკირხენში ცუდად გაიხსენეს



ცნობილი გერმანელი მსაჯი მარკუს მერკი, რომელსაც სამსაჯო კარიერა დამთავრებული აქვს და დღეს ტელეექსპერტია, გელზენკირხენში პირველად ჩავიდა მას მერე, რაც 2001 წელს სწორედ მისი გადაწყვეტილების გამო დაკარგა „შალკემ“ გერმანიის ჩემპიონობა ბოლო ტურის ბოლო წუთებზე. მიუხედავად იმისა, რომ მას მერე ათი წელია გასული, „შალკეს“ ქომაგებმა 49 წლის მერკი არ დაინდეს და პირველიდან ბოლო წუთამდე უკიდურესად უხამსი სიტყვებით ლანძღავდნენ.

აღარაფერს ვამბობთ მისი მისამართით ნასროლ სხვადასხვა საგნებზე. შესვენებაზე მერკი მატჩს პირდაპირ ეთერში აანალიზებდა, როცა „აუფ შალკეს“ ტრიბუნები განსაკუთრებით მწარე სიტყვებს სკანდირებდნენ.

პრინციპში, „შალკეს“ ქომაგების გაგება შეიძლება: ნახევარ საუკუნეზე მეტია, გელზენკირხენულ კლუბს გერმანიის ჩემპიონობა არ უზეიმია და ამ ხნის მანძილზე „შალკე“ „ვერცხლის სინთან“ ყველაზე ახლოს სწორედ 2001 წელს იყო და მაშინაც მერკის გამო ვერ გახდა ჩემპიონი. **მ. ჟ.**

# რამაზ ჩხიკვაძეს დიდუბის პანთეონში დაკრძალავენ

ეკა ირემაშვილი



ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავი რამაზ ჩხიკვაძე გარდაიცვალა. ინფორმაცია გენიალური მსახიობის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, რეჟისორმა ქეთი დოლიძემ „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე გაავრცელა.

— გენიალური რამაზ ჩხიკვაძე გარდაიცვალა! ჩვენი რამაზი! დამთავრდა ეპოქა! დამთავრდა, — განაცხადა ქეთი დოლიძემ.

ლეგენდარული მსახიობი 83 წლის იყო და ბოლო პერიოდში მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. მსახიობს რამდენიმე ოპერაციაც ჰქონდა გადატანილი. ორიოდე დღის წინ, ჟურნალისტებმა გაავრცელეს ინფორმაცია მსახიობის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, რომელიც მცდარი აღმოჩნდა. ჩხიკვაძეების ოჯახის ახლობლებმა მაშინ განმარტეს, რომ რამაზ ჩხიკვაძე ცოცხალი იყო, თუმცა ის უკვე მძიმედ იყო ავად და ლაპარაკი არ შეეძლო.

რუსთაველის თეატრის ერთ-ერთი გამორჩეული მსახიობის ჯანმრთელობის მდგომარეობა მას შემდეგ დამძიმდა, რაც მას 28 აგვისტოს, მარიამობის დღესასწაულზე პრაღაში მეუღლე, ნატაშა ჩხიკვაძე გარდაეცვალა. მსახიობმა ავადმყოფობის გამო, მეუღლის უკანასკნელ გზაზე გაცილებაც კი ვერ შეძლო. გარდაცვალებამდე ნახევარი საათით ადრე ნატაშა ჩხიკვაძემ მედიაკავშირ „ობიექტივს“ ბოლო ინტერვიუ მისცა, სადაც რობერტ სტურუას თანამდებობიდან გათავისუფლებაზე ისაუბრა. ნატაშა ჩხიკვაძემ განცხადება შემდეგი სიტყვებით დაიწყო: „დღეს უკვე საკითხავია რუსულ ენაზე მოგცეთ თუ არა ინტერვიუ, მაგრამ 54 წლის განმავლობაში, რაც საქართველოში ვიცხოვრე, მიკეთებია მხოლოდ სიკეთე ქართველი ხალხისთვის და ქართული ხელოვნებისთვის“.

რამაზ ჩხიკვაძეს წილად ხვდა ბედნიერება, ემუშავა უდიდეს რეჟისორებთან — მიხეილ თუმანიშვილთან და რობერტ სტურუასთან. მან კარიერის განმავლობაში 100-მდე კინო და თეატრალური როლი შეასრულა, უამრავი ჯილდო და პრემია დაიმსახურა. როგორც ქართული საზოგადოება ერთხმად აღნიშნავს, რამაზ ჩხიკვაძემ ქართული თეატრის ისტორიაში ნამდვილად დიდი ეპოქა შექმნა.

თეატრალური უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, სადაც მისი პედაგოგი მიხეილ თუმანიშვილი იყო, რამაზ ჩხიკვაძემ რუსთაველის თეატრში დაიწყო მუშაობა და ბოლომდე მისი ერთგული დარჩა. თეატრში 50-წლიანი მოღვაწეობის განმავლობაში მან არაერთი დაუვიწყარი როლი შექმნა, თუმცა მათგან ყველაზე მეტად გამორჩეულია აზდაკის როლი სპექტაკლში „კავკასიური ცარცის წრე“. თეატრმცოდნეები რამაზ ჩხიკვაძის შემოქმედებაში ყველაზე წარმატებულ პერიოდად მაინც მსახიობისა და რეჟისორ რობერტ სტურუას თანამშრომლობის ეტაპს მიიჩნევენ. რამაზ ჩხიკვაძეს მის მიერ განსახიერებულმა პერსონაჟებმა მსოფლიო აღიარება და წარმატება მოუტანა. გენიალური მსახიობი შექსპირის გმირების ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად აღიარეს, დიდ ბრიტანეთში კი ქართველ ოლივიედ მონათლეს.

მსახიობის მიერ შესრულებული თეატრალური როლებიდან მაყურებელმა განსაკუთრებით შეიყვარა აზდაკი — სპექტაკლიდან „კავკასიური ცარცის წრე“, ლეანდრო სპექტაკლიდან „ესპანელი მღვდელი“, ვეფხია გაბიდაური — „ამბავი სიყვარულისა“, ლირი — „მეფე ლირი“, „რიჩარდი — რიჩარდ III“, ქოსა მრჩეველი — „ჭინჭრაქა“, მაქპითი — „სამგროშიანი ოპერა“, ფადინარი — „ჩალის ქუდი“, აკოფა — „ხანუმა“, კირილე მიმინოშვილი — „სამანიშვილის დედინაცვალი“, შოშია — „საბრალდებო დასკვნა“, ყვარყვარე — „ყვარყვარე“. ამ როლის შესრულებისთვის მსახიობს საქართველოს სახელმწიფო და კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიები მიენიჭა. რობერტ სტურუასთან თანამშრომლო-

გაგრძელება მე-10 გვერდზე